

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ნუგზარ ანთელავა
ბერდია მარსაგიშვილი
შახბან ხაფიზოვი**

**ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომი
ხალხების ეთნოგენეზის პრობლემები**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2026**



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION



გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი - CS-I-25-58]

რედაქტორი

ნუგზარ ანთელავა

ინგლისური ტექსტის რედაქტორი

ნანა ქავთარაძე

© ნ. ანთელავა, ბ. მარსაგიშვილი, შ. ხაფიზოვი, 2026

დაცულია საავტორო უფლებები

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2026

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-533-99-0

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	9

თავი I.

აფხაზურ-ადიღური ეთნოლინგვისტური ჯგუფის ეთნოგენეზის პრობლემები (ნუგზარ ანთელავა)	18
--	----

თავი II.

ნახური/ვაინახური ჯგუფის ეთნოგენეზი და თავდაპირველი განსახლების არეალი (ნუგზარ ანთელავა)	51
--	----

თავი III.

ინგუშური და ჩეჩნური ენდო- და ეგზოეთნონიმები (ბერდია მარსაგიშვილი)	73
--	----

თავი IV.

დაღესტნის ცალკეული ხალხების ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია (შახბან ხაფიზოვი)	104
1.1 კავკასიის „ჰონები“	107
1.2 ეთნონიმი „ავარი“ და ავარების ეთნიკური ისტორია	115
1.3 ეთნონიმი „ლაკზი“ და მისი წარმოშობა	129

1.4	ეთნონიმი „დარგო“ და მისი წარმოშობა	134
1.5	ლაკები (ყაზიყუმუხები)	138
1.6	თაბასარანელები	142
1.7	რუთულები, წახურები, აღულები	147
1.8	დასკვნა	153

წინასიტყვაობა

ორ კონტინენტზე მდებარე კავკასია მსოფლიოს უძველესი რეგიონი და დიდი გეოგრაფიული ერთეულია. მიჩნეულია, რომ კავკასიონის მთავარი ქედი ევროპისა და აზიის გამმიჯნელი და ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზათა შესაყარზეა განფენილი, რაც ამ რეგიონს ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს დღესაც.

კავკასია ადამიანთა უძველესი საბინადრო რეგიონია. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში კავკასიაში ჩამოყალიბდა მონათმფლობელური სახელმწიფო ურარტუ, ძვ. წ. VI საუკუნეში შეიქმნა კოლხეთის სამეფო, ძვ. წ. IV საუკუნეში არარატისა და ძვ. წ. IV-III საუკუნეებში იბერიის სამეფოები. ძვ. წ. II საუკუნეში წარმოიშვა კავკასიის ალბანეთის სახელმწიფო.

კავკასიის რეგიონი რეალურად უფრო ვრცელი ფართობის მომცველია, ვიდრე მას განსაზღვრავენ. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე თურქეთისა და ირანის რაიონებსაც მოიცავს. ისტორიულად კავკასია მთლიანად რომელიმე იმპერიის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ცარისტული პოლიტიკის შედეგად ის რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. დღეს პოლიტიკურ რუკაზე სამხრეთ კავკასია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენულ სახელმწიფოებს მოიცავს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში შედის.

კავკასია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი და 11 კლიმატური ოლქი გამოიყოფა. შესაბამისად, მრავალფეროვანია მისი ფლორა და ფაუნა.

კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი პოლიეთნიკური რეგიონიცაა. მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ენათა მრავალრიცხოვნობა, მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ნაირგვარობა, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, დიდწილად კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმაც განაპირობა. სხვადასხვა ლანდშაფტურ და კლიმატურ პირობებში განსახლებულ ეთნოსებს ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ და უმდიდრეს კულტურას ქმნიდნენ.

ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობის გამო, კავკასიის მოსახლეობას მშვიდობიანი განვითარების საშუალება იშვიათად ჰქონდა. კავკასიის ეთნიკური რუკა განსაკუთრებით აქ რუსეთის იმპერიის შემოჭრის შემდეგ შეიცვალა. რუსეთის იმპერიამ კავკასია ეთნიკურად უფრო ჭრელი გახადა.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის ისტორიაში მონადირე-შემგროვებელთა მეურნეობიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა ფუნდამენტური ცვლილებებით აღინიშნა. „ნეოლითური რევოლუცია“, „დემოგრაფიული აფეთქება“, ადამიანთა განსახლება მთელ დედამიწაზე (მათ შორის კავკასიის რეგიონში) საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონის აჩქარება – მწარმოებლური ეკონომიკის საფუძველზე მოხდა. ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც არქეოლოგები მწარმოებლური ეკონომიკის გენეზისის პრობლემებისადმი იჩენენ. მომდევნო პერიოდში მწარმოებლური ეკონომიკის შემდგომი განვითარების კვლევაში, არქეოლოგებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული პალეობიოლოგები (არქეობოტანიკოსები, პალეოზოოლოგები, პალინოლოგები). კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შედეგის (მწარმოებლური ეკონომიკის) კვლევა – შეუძლებელია მთლიანად კავკასიის შესწავლის გარეშე, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა მეურნეობის განვითარების, მეცხოველეობის, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ პირველ და უძველეს კერად.

პრეისტორიული კავკასიის არქეოლოგიური, პალეობიოლოგიური, ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების გათვალისწინების გარეშე ვერ შეიქმნება სრული სურათი უძველესი ეთნოსების, მათი ეთნოგენეზის, განსახლების არეალის, ყოფა-ცხოვრების, ენისა და კულტურის შესახებ.

კავკასიის ხალხების მეცნიერული აღწერა და შესწავლა XIX საუკუნიდან დაიწყო, თუმცა, მოყოლებული ანტიკური პერიოდიდან, ინტერესი ამ რეგიონის მკვიდრთა ენის, ყოფისა და კულტურის ცალკეული ელემენტების ფიქსაციისა და მათში არსობრივი წვდომის მცდელობებისა არასოდეს განელებულა. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მეტნაკლები წარმატებით განხორციელდა კავკასიის, როგორც ავტოქთონი (პალეოკავკასიელი) ეთნოსების – ქართველების, აფხაზურ-ადიღური (ჩერქეზები, უბიხები, აფხაზები, აბაზები), ნახური (ჩეჩნები, ინგუშები, წოვა–თუშები–ბაცები)

და დაღესტნური (ხუნძები, ანდიელები, ბოთლიხელები, კარატა-ელები, ტინდიელები, ბაგვალეები, ახვახები, ჭამალალები, დიდო-ელები, ჰუნზიბელები, ბეჟიტელები, ჰინუხები, ინხოყვარელები, ხვარშიელები, დარგუელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, არჩი-ბელები, ალულელები, ხინალულები, ბუდუხები, თაბასარანელები, წახები, რუთულები, კრიჩები, უდიები) ეთნოლინგვისტური ჯგუფე-ბის, ისე კავკასიაში გვიან მოსული ინდოევროპული (სომხები, ბერ-ძნები, ოსები, თათები, თალიშები, ქურთები), თურქული (აზერბა-იჯანელები, ნოღაელები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ყუმიკები, თურქმენები) და მონღოლური (ყალმუხები) მოდგმის ხალხების სინქრონული აღწერა. მსოფლიოს არაერთი საენათმეცნიერო და ანთროპოლოგიური ცენტრი დღესაც დიდ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ხალხების, მათი ენებისა და კულტურების წარმომავ-ლობის პრობლემებს; აზრთა სხვადასხვაობა თავჩენილია პალეოკ-ავკასიელთა გენეტიკური ნათესაობის თაობაზე. კავკასია დიდი ხა-ნია სხვადასხვა პროფილის მკვლევრების – ისტორიკოსების, არ-ქეო-ლოგების, ეთნოლოგების, ლინგვისტების, ფოლკლორისტე-ბის, კულტუროლოგების ყურადღებას იპყრობს. და ეს შემთხვევი-თი არაა: სწორედ აქ იყო თავმოყრილი ეთნიკური ერთობებისა და კულტურების გავრცელების საკვანძო წერტილები. ამიტომ ზოგი-ერთი ხალხების ეთნოგენეზისა და ევოლუციის პრობლემების გა-დაწყვეტაში შესაძლოა, იმ ხალხების ფორმირების პრობლემის გა-დაწყვეტაც იმალება, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს, არაფ-რით არიან დაკავშირებულნი კავკასიასთან. რას წარმოადგენენ კავ-კასიის ხალხები? მაშინაც კი, როცა მათ ავტოქთონურ ნაწილს ვგუ-ლისხმობთ, მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია, არაოდენ იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ ძალზე ძველი ხალხების საწყისები წარსულში იკარგება, არამედ, აგრეთვე, იმიტაც, რომ თვით ეს ერთობა არაერთმნიშვნელოვანია და მისი (ერთობის) გე-ნეალოგიური კრიტერიუმების გამოყოფა არცთუ ისე იოლი საქ-მეა, თუმცა ენობრივი და კულტურული ნათესაობა აშკარაა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, თავს იჩენს ავტოქთონი მოსახლეობისა და დანარჩენი ჩრდილო-კავკასიელი ხალხების მსგავსებაც. სწორედ ამ მიზეზის გამო სა-კითხი საკმაოდ რთულია და სკრუპულოზურ შესწავლას მოითხოვს. ჩრდილოეთ კავკასია რთული რეგიონია არამარტო ენობრივი, ეთ-ნიკური და რელიგიური თვალსაზრისით. აქ შედარებით მცირე ტე-

რიტორიაზე უძველესი დროიდან გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ხალხები, რომლებიც ერთმანეთისაგან მეურნეობის, ყოველდღიური ყოფის, ტრადიციების თავისებურებებით განსხვავდებოდნენ. შორეულ წარსულში ჩამოყალიბებული ასეთი მრავალგვარობა დღემდეა შემორჩენილი. რეგიონის განსაკუთრებულობად შეიძლება ის გარემოებაც ჩაითვალოს, რომ აღნიშნულ სფეროებში არსებული განსხვავებები შეიმჩნევა არაოდენ ეთნოსებს შორის, არამედ ხშირ შემთხვევაში იგი ერთი ეთნოსის შიგნითაც ფიქსირდება: არცთუ იშვიათად სოფლები და თემები ერთმანეთისგან განცალკევებულნი იყვნენ, რამაც ყოველი მათგანის ლოკალური ტრადიციებისა და ჩვეულებების ფორმირება განაპირობა. ეს პირველ რიგში დაღესტანს ეხება, სადაც ხშირად არამარტო ცალკეული სოფლები, არამედ თუხუმებიც კი ენდოგამიური იყო, რაც მეზობლებთან კონტაქტს დიდწილად ზღუდავდა. „ყოველი აული ხორცს მისებურად ჭრის“, – ამბობს ბოთლიხური ანდაზა. ლოკალური ეთნიკური ტრადიციები მოქმედებდა კულტურის ისეთ ერთიან ნორმებშიც კი, როგორიცაა სქესთა შორის შრომის განაწილება.

მაგალითად, დაღესტნის მთიანეთში ზურგით მძიმე ტვირთის გადაზიდვა უცილობლად ქალების საქმეა, ხოლო ბარის მოსახლეობაში – მამაკაცების; დიდოელი მამაკაცი სამეთუნეო დაზგასთან დაუშვებელი მოცემულობაა, მაშინ, როცა სულევექენტელ დარგულებსა და ჯულინელ თაბასარანელებში – ჩვეულებრივი; დაღესტანში თიბვა მამაკაცის საქმეა, მაგრამ თინდიელებში – ტრადიციულად ქალების. ასეთი მაგალითები მრავლადაა. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობის ეთნიკური კულტურა თავის ძირითად ნაწილში ერთიანია, მაგრამ რიგ შემთხვევაში მათი და დანარჩენი ჩრდილოკავკასიელი ხალხების შესაბამისი მონაცემების მსგავსებაც აშკარაა. ყოველივე ამის გამო, შეუძლებელია იმის დადგენა, დაკავშირებულია თუ არა კულტურის ცალკეული ელემენტები მათ საერთო გენეზისთან, თუ ეს მხოლოდ ნაწილობრივი აკულტურაციის შედეგია.

შესავალი

ეთნოგენეზი ეთნიკური ერთობების წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და განვითარების სტადიების ხანგრძლივი პროცესია და დაკავშირებულია ენის, კულტურის, თვითშეგნების ფორმირებასთან. ეთნიკური ერთობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მისი ეთნონიმი. მაგრამ ამ ფაქტორების კავშირი, როგორც წესი, საკმაოდ მედიაციურია. პრაქტიკულად ყველა ცნობილი ეთნოსი რთული გზით, რამდენიმე სხვადასხვაგვარი ნაწილისგან ყალიბდებოდა, ვიდრე თავის ერთობას არ შეიმეცნებდა. გამორკვევა ეთნიკური კომპონენტებისა, რომელთაგან ესა თუ ის ეთნოსი შედგება, მის ფორმირებაში თითოეული მათგანის მონაწილეობის სვედრითი წილის განსაზღვრა, ხშირად ძალზე ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც კი. ძველ პერიოდსა და შუასაუკუნეებში მიმდინარე მასობრივი მიგრაციების პირობებში შეუძლებელია ვისაუბროთ რომელიმე ხალხზე, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით „სუფთა“, უმინარევო წარმონაქმნზე. აღნიშნული პალეოკავკასიელ ხალხებსაც ეხება.

ეთნოგენეზის პრობლემის მართებული გადაწყვეტა ვერ გულისხმობს როგორც გამარტივებულ მიგრაციულ კონცეფციებს (რომელთა თანახმად, ცალკეული ხალხების ეთნოგენეზი ძველთაგანვე არსებული ეთნიკური წარმონაქმნების უბრალო გადაადგილებაა), ისე ნ. მარისა და მისი მიმდევრების წარმოდგენებს ეთნოგენეზზე, როგორც „ენობრივი აფეთქებების“, ენათა შეჯვარების გზით ახალი ენებისა და ხალხების წარმოშობის შედეგზე. ნებისმიერი ხალხის, ნებისმიერი ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება რეზულტატი იყო ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა ცალკეული ჯგუფების განვითარების შინაგანმა კანონზომიერებებმა, სხვადასხვაგვარმა ორმხრივმა გავლენებმა, გადაადგილებებმა და განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების შერწყმებმა.

ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზის შესწავლა მოიცავს მისი წარმოშობის არაოდენ საწყის პერიოდს, არამედ ეთნოსის ფორმირების შემდგომი ისტორიის ეტაპებს, თანამედროვე ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური თავისებურებების ჩათ-

ვლით, რაც ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ისტორიული, ლინგვისტური მონაცემების გათვალისწინებას, ანუ კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

ეთნიკური ერთობა – არაოდენ ენისა და კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების, არამედ ისტორიის ერთობაა, საერთო წარმოშობის, ყველასა და თითოეულის ისტორიული ნათესაობის შესახებ მეხსიერებაა. სწორედ ამიტომ, კოლექტიური მეხსიერება ეთნოსის მთლიანობაზე წარმოდგენების ერთ-ერთი საბაზისო მდგენელია, ხოლო ეთნიკური ისტორია მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი.

ეთნიკური ისტორიის ყველაზე საინტერესო ნაწილი მისი საწყისი, ხალხის გენეზისი, ისტორიის სცენაზე ეთნოსის გამოჩენის დრო და ადგილია. რაც უფრო უუშორეს წარსულს უკავშირდება ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური ისტორიის სტარტი, მით უფრო ამაყია იგი. პრაქტიკულად ყოველ ხალხს თავისი წარმომავლობის თაობაზე სხვადასხვა ვერსია გააჩნია, რომელთა უმრავლესობა წყაროთმცოდნეობითი ბაზით არ არის გამყარებული და უპერსპექტივო ვარაუდებზეა დაფუძნებული. სავსებით გასაგებია, რომ ამა თუ იმ ხალხს სურს ჰქონდეს რაც შეიძლება ძველი ისტორია და მდიდარი კულტურა, საიდანაც წარმოიქმნება კიდევ ე. წ. „ისტორიის დაძველების“ პრობლემა. ხშირ შემთხვევაში ესა თუ ის ხალხი ცნობილი მსოფლიო კულტურების, პირველ რიგში, მახლობელადმოსავლური და სამხრეთაზიური (მაგალითად, ინდური) კულტურების მემკვიდრედ ცხადდება. პრინციპში, გარკვეული მიზეზის გამო, ამაში არაფერია დასაძრახი, თუკი საკუთარი ისტორიის გადღიდება და „დაძველება“ სხვა ხალხების როლის დამცრობითა და მათი ისტორიის უპატივცემულობით არ ხდება. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში კავკასიოლოგიაში ხშირად ჩნდება ტენდენციური ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც მონათესავე ხალხების ეთნიკური ისტორიისა და კულტურის „მითვისების“ მცდელობა აშკარად იკვეთება.

ასეთ ვითარებაში კავკასიის ავტოქთონი ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევა ძალზე რთულია, მაშინაც კი, როცა საამისოდ გამოყენებულია არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალები, წერილობითი ძეგლები, ლინგვისტური,

ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის წყაროები. არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა და მათ შორის პირდაპირი პარალელის გავლება ხშირად შეუძლებელია და მართებულიც არაა. ამასთან, მატერიალური კულტურის ერთგვაროვნება არ შეიძლება იყოს ეთნიკური შემადგენლობის ერთგვაროვნების მოწმობა, რადგან მატერიალური კულტურის საგნების (საბრძოლო და შრომისა იარაღები, სამკაულები და სხვ.) სესხება და გავრცელება სწრაფად ხდებოდა. ამიტომ უძველეს წარსულში ამა თუ იმ ხალხის საცხოვრებელი არეალის გამოყოფის დროს არქეოლოგიური მონაცემების აბსოლუტიზირება დაუშვებელია.

კავკასიის ავტოქთონი ხალხების ეთნოგენეზის კვლევისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ლინგვისტური მონაცემები; ადგენს რა ენობრივ ნათესაობას, ეს მონაცემები მისი მატარებლების ეთნიკურ ნათესაობაზეც მოწმობს. რეგიონის ხალხების ეთნიკური ისტორიის სირთულე განპირობებულია უკიდურესი ენობრივი სიჭრელით, რაც გამოიხატა შუა საუკუნეების აღმოსავლელი ავტორების თხზულებებში, რომლებშიც კავკასია „ენათა მთად“ იწოდება. ლინგვისტური მონაცემები შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ადგილობრივი მოსახლეობის ენებზე გვიანმოსული ხალხების ლექსიკის გავლენა, შეფასდეს ნასესხობათა ხარისხი და შედეგები. ენობრივი მასალების რიგში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ტოპონიმია (ჰიდრონიმების ჩათვლით). ყველაზე ხშირად სწორედ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები ინახავენ ინფორმაციას რეგიონის პირველმოსახლეთა შესახებ. თუ ტოპონიმები თანამედროვე მოსახლეობის ენაზე ვერ აიხსნება, საძიებელია აღნიშნულ სახელწოდებათა მიმნიჭებელი ეთნოსები. აქედან ჩანს, რომ ენობრივი ნათესაობა ყოველთვის კულტურათა ნათესაობა არაა.

კავკასიელი ავტოქთონების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები (ანტიკური, ბიზანტიური, არაბული, სპარსული, თურქული და სხვ.) დროსა და სივრცეში შეზღუდულია. მათი ადრეული ინფორმაცია, რომლებიც კავკასიიდან შორს მცხოვრებ ავტორებს ეკუთვნით, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამა თუ იმ ხალხის ლოკალიზაციის საკითხში ყოველთვის ზუსტი არაა. ამასთან, რიგ შემთხვე-

ვამი ფიქსირდებიან ეთნოსები, რომლებიც უკვე გამქრალნი არიან. ამ თვალსაზრისით, შედარებით სანდოა ქართველი და სომეხი ავტორები, რომლებიც უკეთ იცნობენ კავკასიაში არსებულ ვითარებას, თუმცა ზოგიერთი ხალხის ზუსტი ლოკალიზაციისა და ენობრივ სიტუაციასთან დაკავშირებულ საკითხებში მოიკოჭლებენ. უკვე აღრეულ წერილობით წყაროებში მოცემულია ეთნონიმები (ენდო- და ეგზოეთნონიმები), დიდწილად განსაზღვრულნი რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეთნიკური ვითარებით. ამასთან, ეთნონიმთა გენეტიკური მემკვიდროებითობის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება, რამდენადაც მსგავსი სახელწოდებები ერთმანეთს ასეული წლებით ან სულაც ათასწლეულებით არიან დაშორებულნი. გარდა ამისა, ერთი და იგივე ეთნონიმით სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა ხალხები ან მათი ცალკეული ნაწილები იწოდებიან.

განსაკუთრებულ წყაროს განეკუთვნება კარტოგრაფიული მასალა. ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნიდან იყო მცდელობები შეედგინათ რეგიონის რუკა ადგილობრივი ხალხების სახელწოდებების დატანით, მაგრამ შედარებით სრული და სანდო კარტოგრაფიული მონაცემები XVIII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება.

არსებული წყაროები საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური რუკა, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ტერიტორიებისა, მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა და განიცდის. თავდაპირველად ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო მონადირეებისა და შემგროვებლების მოძრაობასთან, შემდეგ კი მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომებისა და ხალხების გადაადგილებასთან და ამ პროცესის თანმხლებ ურთიერთგავლენებთან, რომელიც ხშირად აკულტურაციასა და ასიმილაციას იწვევდა. ხალხთა დემოგრაფიულ დინამიკაზე გავლენას ახდენდა სტიქიური უბედურებები (უმოსავლიანობა, შიმშილი), ავადმყოფობები (ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორიცაა ჭირი, ქოლერა, ყვავილბატონები და სხვ.), რაც, ბუნებრივია, კავკასიელ ავტოქთონებსაც შეეხო.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხთა ურთიერთობებმა, ხან მშვიდობიანი, ხანაც მტრული ფორმებით, განაპირობეს ის, რომ რეგიონში შეუძლებელია მოვიძიოთ ყველაზე „ძველი“ და

ყველაზე „სუფთა სისხლის“ ეთნოსები. კავკასიის ხალხების ეთნიკურ სისტემაში (უწინარესად ენის, მატერიალური და სულიერი კულტურების ჩათვლით) ძველ ავტოქთონურ ელემენტებთან ერთად შეიძლება ინდოირანული, მახლობელადმოსავლური, თურქული და სხვა სახის გავლენებიც აღმოვაჩინოთ. ამასთან, უმედეგოა მცდელობები დიდი წინაპრების (ხათების, ურარტუელებისა თუ ალანების) „პრივატიზებისა“.

მეცნიერების სხვადასხვა დარგების მონაცემები კავკასიელ ავტოქთონთა შესახებ გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ძველია ხალხი, მით უფრო მეტნი არიან წინაპრები, მით უფრო მდიდარია მისი ენა, მატერიალური და სულიერი კულტურა, რომელშიც ბევრი ეპოქისა და ტრადიციის დანაშრევი შეიმჩნევა.

კავკასია განსაკუთრებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია ძალზე რთული ეთნიკური შედგენილობით. იმ ხალხებთან ერთად, რომლებიც მილიონობით ადამიანს ითვლიან, რეგიონში ბინადრობს ბევრი მცირერიცხოვანი ეთნოსი, რომელთაგან თითოეულის რაოდენობა რამდენიმე ათასს კაცს, სულაც ათეულ ადამიანს, არ აღემატება. მათი დიდი ნაწილი იბერიულ კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ენობრივი და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ხალხების წინაპრები კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობაა. აფხაზურ-ადიღური ეთნოლინგვისტური ჯგუფის დაკავშირება ძველ ხათურ ენასთან, ხოლო ნახური და დაღესტნური ენებისა – ჰურიტულ ურარტულთან ის თემებია, რომელიც არაერთ ლინგვისტს, ისტორიკოსს, ეთნოლოგსა თუ კულტუროლოგს იზიდავს. მაგრამ ეს კავშირები მოცემული მომენტისათვის მხოლოდ ჰიპოთეტურია, და ავტოქთონთა ჩრდილოკავკასიური ნაწილის წარმოშობა ურარტუელებისგან ან ხათებისგან ვარაუდების სფეროს ვერა და ვერ ცდება.

არქაული პერიოდის შემდგომ, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა პერმანენტულ კონტაქტში იყო სხვადასხვა წარმომავლობის მომთაბარე ტომებთან. ძვ. წ. I ათასწლეულსა და ჩვენი ერის დასაწყისში სტეპის ზონის კავკასიისწინეთი ირანულენოვანი სკვითების, სარმატების, შემდეგ კი ალანების სამომთაბარეო ტერიტორიას წარმოადგენდა; IV საუკ-

უნეში კავკასიაში ჰუნები მოვიდნენ, მათ კვალდაკვალ კი – აკაცირ-
თა თურქული ტომების კავშირი. V საუკუნეში აკაცირებს თურქი სა-
ბირები ჩაენაცვლნენ; VI საუკუნეში ვოლგის პირეთიდან მოსული
თურქი ავარები გამოჩნდნენ, ხოლო VII საუკუნის დასაწყისში კავ
კასიისწინეთში იქმნება სხვადასხვა თურქული ტომების მძლავრი
კონფედერაცია ბულგარეთის სახელწოდებით; შემდეგი იყო ხა-
ზართა კაგანატი, პაჭანიგები, ალანთა სამეფო, ოქროს ურდო. ყვე-
ლა ამ მომთაბარე ტომმა, ბუნებრივია, გავლენა იქონია ჩრდილო-
კავკასიელ ავტოქთონთა ენასა და კულტურაზე. თურქულ- და ირ-
ანულენოვანი მომთაბარეების ნაწილი კავკასიის მთისწინეთსა და
მთებში დამკვიდრდა, ზოგი ადგილობრივ ტომებს შეერწყა, ზო-
გიც მათი მეზობელი გახდა და კავკასიის ეთნოპოლიტიკური, ეთ-
ნოენობრივი, ეთნოკულტურული სურათიც შეიცვალა.

აქვე უნდა შევხვით ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

კავკასიური ერთობა, ეთნიკური, გენეალოგიური, ეკონომიკუ-
რი და პოლიტიკური თვალსაზრისით, პირობითი ცნებაა. ეთნოგე-
ნეტიკურად კავკასიის ხალხები წარმოადგენენ ძალზე ჭრელ პო-
ლიფილიურ შტოს, უფრო სწორად მრავალ შტოებს, რომელთა
რასობრივი შედგენილობაც კი არაერთგვაროვანია, რაც ზოგიერთ
ეთნიკურ ჯგუფებში ევროპოიდული და მონღოლური რასების შე-
რევის შედეგია.

სავსებით ბუნებრივია დაისვას კითხვა – მრავალსაუკუნოვანი
ისტორიის განმავლობაში რატომ ვერ მოახერხეს კავკასიის ხალ-
ხებმა ერთიან ეთნოსოციალურ ერთობაში ინტეგრირება? საუბარ-
ია არა მარტო ეთნიკურ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონ-
ომიკურ ინტეგრაციაზე. ეთნიკურ პლანში კავკასია ყოველთვის
წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს პალეოკავკასიელების
(ავტოქთონების), სომხების, ბერძნების, ირანულ- და თურქულე-
ნოვანი ეთნოსების, სლავებისა და სხვა ხალხების ძალზე მოზაიკ-
ურ და დაქსაქსულ ნარევს. როგორც ჩანს, ინტეგრაციისათვის და-
მახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კავკასი-
ელი ხალხები არასოდეს ყოფილან რომელიმე მთლიანი ერთო-
ბის შემადგენლობაში.

კავკასიის ავტოქთონმა ეთნოსებმა, იყვნენ რა ჩრდილოეთი-
სა და სამხრეთის ხალხებისა და სახელმწიფოების სტრატეგიული

ინტერესების ზონაში, ძალზე არაერთმნიშვნელოვანი (სხვადასხვაგვარი) გავლენები განიცადეს. ამიტომ ინტეგრაციის შემაფრხებელი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი ლანდშაფტის ჰეტეროგენურობა და ერთმანეთისგან გასხვავებული მეზობლების გავლენები იყო.

ევროპისა და აზიის გზათა შეასაყარზე მდებარე კავკასია, გეოლოგიური, პალეობიოლოგიური, ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების მიხედვით, ევრაზიის ბიოგეოგრაფიული, კულტურული და პოლიტიკური გზაჯვარედინის როლს ასრულებდა და დღემდე ასრულებს. ადრეული ჰომინიდების კავკასიაში განსახლება, რაც 1.800 ათასი წლის წინ დაიწყო (მხედველობაშია დმანისელი ჰომინიდები, რომელთა ნაშთები ზოგიერთი პარამეტრით იმდენად არქაულია, რომ დედამიწაზე ყველაზე ძველ ოლდუვას კულტურას უახლოვდება), მთელი პალეოლითის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო ზედა პალეოლითიდან აქ ჰომო საპიენსი მკვიდრდება. ამდენად, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კავკასია ანთროპოგენეზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა.

კავკასიაში აღმოჩენილი არქეოლოგიური და პალეობიოლოგიური მასალები შესაძლებლობას იძლევა თვალი მივადევნოთ აგრარულ (ნეოლითურ) რევოლუციას, მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლისა და მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, როგორც მეურნეობის ძირითადი დარგების, ჩამოყალიბების პროცესებს, რაც ძვ. წ. VII-VI ათასწლეულების მიჯნაზე დასრულდა. ეს ეპოქალური წინსვლა დაფიქსირებულია მეშოყოს, ჭოხის, დარკვეთის, ... განათხარი მასალებით, რომლითაც დასტურდება კავკასიის მეზოლითისა და ნეოლით-ენეოლითის კულტურების მემკვიდრეობითობა. ეს მემკვიდრეობითობა გრძელდება ადრებრინჯაოს ხანამდე, ძვ. წ. IV ათასწლეულამდე, როცა აშკარად შეიმჩნევა ადრესამიწათმოქმედო (ენეოლითური) კულტურებისა და მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის ადრებრინჯაოს ხანის კულტურების სოციალურ-ეკონომიკურ და მატერიალურ კომპლექსებს შორის არსებული მკვეთრი კონტრასტი (თუმცა

არის ვარაუდი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბები-სათვის სუბსტრატის როლს სიონ-წოფის კულტურა თამაშობს, ხოლო მაიკოპისათვის – მემოყოს კულტურა). ეს ცვლილებები კავკასიის ადრესამიწათმოქმედო საზოგადოებების წიაღში, თითქმის, სამი ათასი წელი მწიფდებოდა და რეალიზებას ახდენდა საწარმოო ძალების განვითარებითა და ცხოვრების დონის ამაღლებით (არ გამოირიცხება ამ პროცესში მიგრირებული ჯგუფების მონაწილეობაც). ძალზე ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი და ათასი წლის განმავლობაში არსებული მტკვარ-არაქსის მაღალგანვითარებული და სტაბილური კულტურის წიაღში ძვ. წ. IV ათასწლეულის უკანასკნელ მესამედში თვისობრივად ახალი სტრუქტურა – ადრეული კომპლექსური საზოგადოება¹. ჩამოყალიბდა. წინაურართულ პერიოდში კავკასიაში ვითარდება მსხვილი დასახლებები, რომლებსაც ურბანისტულ ცენტრებად ფორმირების ყველა პირობა გააჩნდათ (მოსახლეობისა და ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია), მაგრამ ადრეული კომპლექსური საზოგადოებების განვითარება ადრე და შუაბრინჯაოს ხანების ყორღანული კულტურების გზით წარიმართა, რაც, საბოლოო ჯამში, არაურბანისტული, სამხედრო-არისტოკრატიული პოლიტოგენეზით დასრულდა. განვითარების ეს გრძელი გზა, რომელიც, როგორც ყველგან, ადრესამიწათმოქმედო კულტურების წიაღში დაიწყო, სამხრეთ კავკასიაში საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ცივილიზაციური სისტემების ფორმირებით დასრულდა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – სამხედრო მენტალობით გაჯერებული

¹ ადრეული კომპლექსური საზოგადოებები ხასიათდება: ორგანიზაციული სტრუქტურების იერარქიზაციით; რთული სტრუქტურებით სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, სადაც ეკონომიკური სფერო შესამჩნევად განსხვავდება პრიმიტიული ავტარკიისგან; სოციალური იერარქიით, ცენტრის როლის ამაღლებით, ხოლო პოლიტიკურ პლანში – ბელადის/ლიდერის როლით, საზოგადოების ინტეგრაციით; ახალი ორგანიზაციული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას იძლევა კონცენტრაციის გაძლიერების გზით მიღწეულ იქნას მნიშვნელოვანი ეფექტი, განსაკუთრებით სამშენებლო საქმეში. ამასთან ერთად, სოციალურ სტრატატა არამდგრადობა პირველი ცივილიზაციებისა და სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეობით სტატუსთან უკმარის ბმაში გამოიხატება. უნდა ითქვას, რომ ადრეულ კომპლექსურ საზოგადოებებში, სახელმწიფო წარმონაქმნებისგან განსხვავებით, არ არსებობდა მუდმივი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც სოციალურ-პოლიტიკურ და სოციალურ ეკონომიკურ სტაბილურობას ხელს შეუწყობდა.

ტრადიციული საზოგადოებების მილიტარული კულტურის ჩამოყალიბებით. განვითარების ეს ხაზი ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქთონი ხალხების ისტორიასა და კულტურას მთელი შუასაუკუნეების მანძილზე წითელ ზოლად გასდევდა.

ასეთია პალეოკავკასიელი ხალხების განვითარების ზოგადი სურათი, რაც თავის ძირითად ნაწილში ადგილობრივ კულტურათა მემკვიდრეობითობაზე მიუთითებს (შეუძლებელია კულტურათშორისი კავშირების გაუთვალისწინებლობა).

თავი I. აფხაზურ-ადიღური ეთნოლინგვისტური ჯგუფი

აფხაზურ-ადიღურ ეთნოლინგვისტურ ჯგუფში შემავალი ხალხების (აფხაზები, აბაზები, ადიღები, უბიხები) ადრეული ეთნოგენეზის პრობლემა კვლავ დიდ სირთულეს წარმოადგენს. დროითი სიშორის გამო, მათი წარმოშობის სწორედ ეს პერიოდი, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მეცნიერებაში არასაკმარისად არის გამოკვლეული, რის გამოც პერიოდულად მრავალგვარი ვარაუდები ჩნდება, ზოგჯერ წარმოუდგენელიც კი.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის, ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხების, ჩამოყალიბების პრობლემა დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. პრობლემის სირთულემ და მის მიმართ გაუწელებელმა ინტერესმა, როგორც ითქვა, სხვადასხვა ჰიპოთეზა და ვარაუდი გააჩინა. XX საუკუნის 20-იან წლებამდე ისტორიოგრაფიაში პოპულარული იყო აფხაზ-ადიღთა წარმოშობის მიგრაციული ვერსია. მიიჩნეოდა, რომ აღნიშნული ეთნოსების წინაპრები მიგრაციული მოძრაობის ნარჩენები, კერძოდ, კიმერიელები, სარმატ-ალანები, ინდოარიელები, თურქები, არაბები, სლავები და სხვა ხალხები იყვნენ. აღნიშნული ვერსიებიდან ზოგიერთმა 20 იანი წლების შემდგომაც მხარდაჭერა პოვა, ზოგიც საერთოდ არ განიხილებოდა. ბევრმა მეცნიერმა უარი თქვა მიგრაციულ თეორიაზე და აფხაზ-ადიღების ჩამოყალიბების პროცესი ათასწლეულების სიღრმეში გადაწია. შესაბამისად, წამყვანი ადგილი ავტოქთონურმა კონცეფციამ დაიკავა, რაც ამ ხალხთა წინაპრების ცხოვრებას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში პალეოლითის ეპოქიდან გულისხმობს. მაგრამ მხარს უჭერენ რა ავტოქთონობის თეზისს, არც მიგრაციული ფაქტორის არსებობას გამორიცხავენ და ავტოქთონურ-მიგრაციულ თეორიას ანვითარებენ, რის დასტურადაც მოჰყავთ ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მონაცემები. ამ მონაცემთა საფუძველზე ადიღთა და აფხაზთა ფორმირება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მათი მოსული წინაპრებისა და ადგი-

ლობრივი მოსახლეობის ეთნიკური შერწყმის ხანგრძლივი პროცესის შედეგად მოხდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ცალკეულ შრომებში კვლავ რეანიმირდება მიგრაციული ვარაუდები, რომელთაგან ერთი, როგორც ჩანს, ე. წ. სინო(დენე)-კავკასიურ ჰიპოთეზას უკავშირდება. აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, პროტოადიდურ-აფხაზური ჯგუფები კავკასიელი ავტოქთონები არ არიან და შესაძლოა მათი ადრეული მიგრაცია ჩინეთიდან განხორციელდა. ამ აზრის საფუძველი გახდა ძალზე საეჭვო ლინგვისტური მონაცემები ჩინური და აფხაზურ-ადიდური ენების გენეტიკური ნათესაობის შესახებ [ჰანეში 1996 : 67]. ამ ვარაუდის მომხრეთა აზრით, ერთ დროს ჩინეთში მოსახლე ძველევროპოიდული რასის წარმომადგენლებმა, ე. წ. დინლინებმა, ეთნიკური კონფლიქტის შედეგად დატოვეს რა თავიანთი პირველსაცხოვრისი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დაიღეს ბინა და პროტოადიდების ყოფა კულტურის ბევრი ელემენტით, მათ შორის რაინდული კოდექსით [ჰანეში 1996 : 69], ზოგადად, ქცევის ეთნიკური სტერეოტიპებით გაამდიდრეს და დინლინური კულტურა ადიღთა წინაპრებისთვის სუბსტრატული გახადეს [გუდაკოვი 2007 : 33]. გარდა აღნიშნულისა, ჰიპოთეზის ავტორები ვარაუდობენ, რომ ნართული ეპოსის ოსურ და ჩერქეზულ ვერსიებში ნახსენებ ხალხთან – ჩინებთან (გაიგივებულია ჩინელებთან) დაკავშირებული სიუჟეტები დინლინებისა და ჩინელების კონფლიქტის (ძვ. წ. III ათასწლეული, როცა ჩინური წყაროები ეთნონიმ „დინლინს“ ჯერ კიდევ არ იცნობს) გამოძახილია [გუდაკოვი 2007 : 33].

ვინ იყვნენ დინლინები და რა ვიციტ მათ შესახებ?

დინლინთა შესახებ პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა, დაფუძნებული იმ დროისათვის ხელმისაწვდომ თითქმის ყველა წერილობით წყაროზე, გ. გრუმ-გრჟიმაილოს ნაშრომია [იხ. გრუმ-გრჟიმაილო 1929], რომელშიც წამოყენებულია ჰიპოთეზა ცენტრალურ აზიაში დინლინების (და არამართო მათი) სახით ევროპოიდული ადგილობრივი მოსახლეობის არსებობის თაობაზე. მოგვიანებით, დინლინებით ბევრი მეცნიერი დაინტერესდა, მაგრამ კვლევები ასე თუ ისე პირველი ავტორის ნაშრომზეა ბაზირებული. 1959 წელს დინლინების საკითხს სპეციალურად შეეხო ლ. გუმი-

ლიოვიც, რომელმაც, დაწვრილებით განიხილა რა გრუმ-გრჟიმა-ილოს ნაშრომი, შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1. გრუმ-გრჟიმაილოს ჰიპოთეზა ახ. წ. X საუკუნემდე პერიოდში ცენტრალურ აზიაში ევროპოიდული ადგილობრივი მოსახლეობის არსებობის შესახებ დადასტურდა, როგორც სამხრეთ ციმბირში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრებით, ისე ჩინეთის ტერიტორიის შესახებ გამოვლენილი ახალი წერილობითი წყაროებით. ცენტრალურ აზიაში ძველი თეთრი რასა ნამდვილად არსებობდა. სამხრეთციმბირელი დოლიქოცეფალები (დინლინები) და ჩრდილო ჩინელი ბრახიცეფალები (დი) ურთიერთმიმართებაში მეორე რიგის ევროპულ რასობრივ ღერძს წარმოადგენდნენ.
2. დინლინებს ევროპელებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ, შეადგენდნენ რა ჯერ კიდევ პალეოლითში გადახრილი შტოს.
3. დინლინების მემკვიდრეები – ენისეელი ყირგიზები – ახ. წ. II ათასწლეულში სამხრეთიდან მონღოლებმა შთანთქმეს, ჩრდილოეთიდან კი – უგრებმა. ჟუნ-დის მემკვიდრეები I ათასწლეულში ნაწილობრივ ძველჩინელთა შემადგენლობაში შევიდნენ, ნაწილობრივ ასიმილირებულ იქნენ აღმოსავლელი ტიბეტელების მიერ, შერევისას წარმოშვეს რა ტანგუტების ტომები.
4. სტეპის დინლინებმა ჰუნების შემადგენლობა შეავსეს, ხოლო დი-უსუნი და ტელე – IX XII საუკუნეებში (840 წელს იუგურების სახანოს განადგურების შემდეგ) მონღოლურ ტომებს შეერწყნენ“ [გუმილიოვი 1959 : 128].

ზემოჩამოთვლილი ეთნონიმებით სახელდებულ ხალხებში რომ გავერკვეთ, მოკლედ გადავხედოთ ჩინურ ისტორიულ წყაროებს, რომლებსაც გრუმ-გრჟიმაილო და ლ. გუმილიოვი იხილავენ.

ჩინური ისტორიოგრაფიის მიხედვით, პირველი ნახევრად ლეგენდარული ჩინური დინასტია სია ძვ. წ. III ათასწლეულში ებრძოდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებ ჟუნისა და დის ტომებს. რამდენადაც ეს უკანასკნელნი მუდამ ერთად იხსენიებიან, სპეციალისტები მათ ერთ ხალხად (ჟუნ-დი) მიიჩნევენ. საყურადღებოა, რომ ჟუნ-დისთან სიას დინასტიის ომები დაპყრობითი ხასიათისაა, თუმცა წყაროები მათ აბორიგენობაზე მიუთითებ-

ენ. ჩინელებმა ამ ომში „წითურთმიანი დემონები“ დაამარცხეს და ჩრდილოეთისკენ განდევნეს.

ხალხი „დი“ ჩინურ წყაროებში ძვ. წ. III საუკუნეში ჰუნთა (ჩრდილოჩინური ტრანსკრიფციით „სიუნი“) დაპყრობებთან დაკავშირებით კვლავ ჩნდება. წყაროები მათ განაკუთვნიებენ სიჩუანის, ჰანსუსა და შენსის მთიანეთში მცხოვრებ ბაი-დისა („თეთრი დი“ -) და სიჩუანის სტეპურ ზონაში დამკვიდრებულ ჩი-დის („წითელი დი“) ტომებს (თანის ქრონიკებში მოხსენიებული ჩი დი ჩრდილოეთ მონღოლეთში, საიანის მთისწინეთამდე სახლობს).

ჰუნების (სიუნების) მიერ დამარცხებულმა ჩი-დიმ, „დილი“ თვითსახელწოდებით, საცხოვრისი ორდოხის დასავლეთ სივრცეში მოიძია. ჩინურმა წყაროებმა ეთნონიმი „ჩი-დი“ თანდათანობით „დილი/დინლინი“ სახელწოდებით ჩაანაცვლა, მაგრამ ეს ეთნონიმებიც ჯერ „გაოჩე“ („გაოგიუი“), შემდეგ კი „ტელე“ სახელებით შეცვალა. მას მერე დინლინები არ იხსენიებიან, თუმცა წარმოადგენენ დომინირებულ კომპონენტს უპირატესად ტელეს შემადგენ- ლობაში.

ამგვარად, მიიჩნევა, რომ ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთისა და მონღოლეთის ძველი აბორიგენი ხალხების – ჟუნ-დისა და შუა საუკუნეების ტელეების – გენეტიკური კავშირი ეჭვგარეშეა. ტელეს ტომობრივი ჯგუფები, რომელთა შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ საიან ალთაის ტერიტორიაზე, თანამედროვე ტელეუტები, ხაკასები და უიგურები არიან.

როგორია დინლინთა ანთროპოლოგიური სახე?

„არსებობს ყველა საფუძველი, რომ დინლინები ევროპოიდული რასის განსაკუთრებულ ხალხად ჩაითვალოს“ [გუმბელი 1959 : 92].

უარყოფილია დინლინების კავშირი გვიანი ნეოლითის აფანასიევოს კულტურასთან. ამ სამხრეთციმბირული არქეოლოგიური კულტურის პერიოდში დის (დინლინები მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ) ტომები ჩრდილოეთ ჩინეთსა და მონღოლეთში ლოკალიზდებიან, რაც ციმბირში ავტოქთონურად განვითარებულ სხვა პალეოევროპულ შტოზე მიუთითებს. აფანასიევოს მკვიდრებს მკვეთრად გამოწეული ცხვირი, შედარებით დაბალი სახე, დაბალი თვალის ბუდე, ფართო შუბლი ჰქონდათ. ყველა ეს ნიშანი

მეტყველებს, რომ ისინი ევროპულ ღერძს მიეკუთვნებიან, მაგრამ თანამედროვე ევროპელებისგან შედარებით ფართო სახით განსხვავდებიან. ამ ნიშნით, აფანასიევილები დასავლეთ ევროპის ზედაპალეოლითურ თავის ქალებს – „კრომანონურ“ ტიპს ემსგავსებიან, მაგრამ ევროპის ხალხებთან მათი იდენტობა არ დასტურდება: „ეს ტიპი ევროპული რასობრივი ღერძის არადიფერენცირებული საერთო პროტოტიპია“ [დებეცი 1948 : 65]. გარდა ამისა, მეცნიერი ძალზე საფუძვლიანი არგუმენტებით ასკვნის, რომ სამხრეთის სტეპური ზოლი (ციმბირი ენისეიმდე) ჯერ კიდევ პალეოლითში ევროპოიდულებით იყო დასახლებული“ (იქვე, 68), რაც გამორიცხავს მათი წარმოშობის შესახებ არსებულ ვერსიას, როგორც დასავლეთიდან – ორმოსამარხელთა, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დი ხალხის მიგრაციის თაობაზე.

ანდრონოვოს კულტურის (ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურა) მატარებელნი ახლოს დგანან აფანასიევის კულტურის შემქმნელებთან, მაგრამ მათი იდენტურნი არ არიან. ანდრონოველები ყაზახეთის სტეპებში ჩამოყალიბდნენ, ხოლო მინუსის ტაფობში „კარასუკის ეპოქაში“ გამოჩნდნენ, როგორც მოსულები [კისელიოვი 1951 : 142].

აფანასიევოსა და ანდრონოვოს კულტურების შემქმნელთაგან განსხვავებით, ბრინჯაოს ხანის კარასუკის არქეოლოგიური კულტურის მოსახლეობის რასობრივი ტიპი უკიდურესად ნარევი აღმოჩნდა: შეინიშნება ევროპოიდულ ბრახიკრანულ (მოკლეთავიანი) ტიპთან ვიწროსახიანი მონღოლოიდური ელემენტის (განეკუთვნება შორეულაღმოსავლურ რასას) შერევა. მონღოლოიდური ელემენტის წყარო ცხადია, ხოლო ბრახიკრანული ევროპოიდული ელემენტი ედარება აფანასიევო-ანდრონოვოს ავტოქთონ მოსახლეობასა და დის.

სწორედ ეს ევროპოიდულ-მონღოლური სუბსტრატია დამახასიათებელი დინლინებისათვის, რომლებმაც იგი თავიანთ მემკვიდრეებს გადასცეს. აი, როგორ აღწერენ ძველი ჩინელები დინლინებსა და უიგურებს: მსხვილი ცხვირი, დიდი თვალები, სახესა და მთელ სხეულზე ძლიერ განვითარებული თმის საფარი, წვეროსნები, ფუმფულა უღვაშებით და ხშირი წარბებით [გრუმ-გრჟიმაილო 1926 : 18].

მაგრამ, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, არ შეიძლება სამხრეთ ციმბირის ევროპოიდული ტიპის არსებობა მაინცდამაინც ჩრდილოეთ ჩინეთიდან დი ხალხის გადმოსახლებას დაუკავშიროთ. აქ ევროპოიდული ტიპი ჯერ კიდევ პალეოლითიდან ცხოვრობს [დებეცი 1948 : 68; ოკლადნიკოვი 1955 : 56]. მიუხედავად ამისა, არ გამოირიცხება სამხრეთ ციმბირისა და ჩრდილოეთ ჩინეთის მოსახლეობის გენეტიკური ნათესაობაც. მაგრამ ციმბირის ნეოლითური ხანის ავტოქთონი ევროპოიდული ტომები კი არ გახდნენ დინლინების წინაპრები, არამედ მათთან შერწყმული დი.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი დინლინების წინაპრებსა და შთამომავლებს:

- სიას დინასტიის სამხედრო ოპერაციების შედეგად ჩრდილოეთ ჩინეთსა და მონღოლეთში გადახვეწილი ჟუნ-დის ტომები თითქმის 2500 წლის განმავლობაში ჩინელთა ინტერესების სფეროში არ მოხვედრილან.
- ჟუნ-დის ერთ-ერთი შტო, ჰუნ-იუი, რომელიც გობის სამხრეთ ნაწილში მკვიდრობდა, ძვ. წ. III საუკუნეში ცნობილი გახდა, როგორც ჰუნუ.
- ჰუნუს შეტევის შედეგად, ადრე ერთიანი დი ხალხის დანარჩენი შტოები იძულებულნი გახდნენ სამოსახლო ადგილებიდან აყრილიყვნენ: ბაი-დი გვხვდება პამირსა, იშქაშიმსა და ჰინდუ-ყუშში, ბომა – ბაიკალისპირეთში, ჩი-დი მთლიანად ინარჩუნებს ლოკაციას ორდოსის დასავლეთით. უკვე „დილი“ სახელწოდებით ისინი ახერხებენ მინუსსა, ალთაისა, ტიან-შანსა და ყაზახეთში შეღწევას. რიგი მკვლევრები, ეყრდნობიან რა მონაცემებს ირტიშის აუზში დასავლელი დინლინების არსებობის შესახებ, მათი ფესვების კვალს ყაზახთა წინაპრებში – ძველ ყივჩაყებსა (ქიუე-შე) და ნაიმანებში – აფიქსირებენ.
- დაწყებული II საუკუნიდან ეთნონიმი „დილი“ ანუ „დინლინი“ თანდათანობით ცვლილებას იწყებს ეთნონიმ „ტელეს“ მიმართულებით, რომელიც IV საუკუნის წყაროებში ერთმნიშვნელოვნად დომინირებს.

- დინლინ-ტელეების თანამედროვე შთამომავლებს ტელეუბებს, უიგურებს, ხაკასებს, ალთაელებსა და სხვებს განაკუთვნებენ.

ანთროპოლოგიური და პალეოგენეტიკური მონაცემებით, დინლინების წინაპრებისა და შთამომავლების რაიმე კავშირი მახლობელ აღმოსავლეთთან (უარყოფილია ამ რეგიონიდან ევროპოიდული რასის წარმომადგენელთა მიგრაცია ცენტრალურ აზიაში) და, მითუმეტეს, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრ ადიღებთან, გამორიცხულია.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დინლინთა მიერ ჩინეთში ათვისებული კულტურული ელემენტებისა და ქცევის ეთნიკური სტერეოტიპების ადიღთა წინაპრებისთვის გადაცემა. ჩერქეზული ეთიკის, ეტიკეტისა და ჩვეულებითი სამართლის დაუწერელი კოდექსი – „ადიღა ხაბზე“, ისევე როგორც აფხაზური „აფსუარა“, ინგუშური „ეზდელი“, ჩეჩნური „ღალღან“, ბალყარულ-ყარაჩული „თაუ-ადეთ“, ოსური „ადღაუ“ და სხვა, წარმოადგენს საკუთრივ კავკასიაში შემუშავებულ მორალურ ფასეულობათა და ნორმათა რთულ სისტემას, რომელიც ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება და საერთო არაფერი აქვს ქცევის მარეგულირებელ ჩინურ სოციალურ-ნორმატიულ კულტურასთან.

აქვე უნდა ითქვას „დინლინური ჰიპოთეზის“ მიმდევართა კიდევ ერთ არგუმენტზე, კერძოდ, ჩერქეზული და იაპონური რაინდული კოდექსების („უორკ ხაბზესა“ და „ბუსიდოს“) გენეტიკურ კავშირზე.

ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასია, ჩერქეზთა ისტორიული სამშობლო, ათასწლეულების მანძილზე საერთაშორისო გეოპოლიტიკური ინტერესების განუწყვეტელი დაპირისპირების რეგიონი იყო. ამ დაპირისპირებათა ფონზე წარიმართა ჩერქეზი ხალხის ეთნოგენეზის პროცესი, მისი პერმანენტული ბრძოლა გადარჩენისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის. მუდმივი საგარეო საფრთხე და ფეოდალური შინააშლილობა ამ ხალხის ეთნიკური და პოლიტიკური ცხოვრების თანამდევი მოვლენა, ყოველდღიური რეალობა გახდა. ასეთმა ვითარებამ განაპირობა გასამხედროებული ხასიათის ადიღური კულტურისა და სამხედრო მენტალობით გაჯერებული ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბ-

ბება. მეომრის განსაკუთრებულმა სტატუსმა და სამხედრო საქმის მაღალპრესტიჟულობამ დიდად განსაზღვრა მილიტარული ჩერქეზული საზოგადოების ტრადიციული კულტურის, თითქმის, ყველა დარგის ფორმირება და განვითარება.

თავისი მაღალი პრესტიჟულობის ძალით, თავადაზნაურული კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოების ყველა ფენის ქცევის სტილზე, რამაც, სოციალური განსხვავების მიუხედავად, ელიტარულ რაინდულ კოდექსს შესაძლებლობა მისცა, რაინდული შეხედულებები საერთოეთნიკურ ფასეულობათა სათავეში მოექცია, ჩერქეზული კულტურის ბირთვი გაეხადა. ჩერქეზი თავადაზნაურობის განუწყვეტელ თარეშსა და ომში მიმდინარე ცხოვრების წესი ეფუძნებოდა ხანმოკლე სიცოცხლის გარდუვალობის იდეოლოგიას, რომლის თანახმად, ხანგრძლივი სიცოცხლე საჩოთიროდ მიიჩნეოდა; ყოველი ჩერქეზი უორკი (აზნაური) ღირსეულ სიკვდილს ესწრაფვოდა. სიბერისაგან ან ავადმყოფობისაგან სახლში გარდაცვალება მისი ბიოგრაფიის სასურველ და სასრულად არ მიიჩნეოდა. ასეთი სიკვდილი არათუ საზოგადოების, არამედ უახლოესი ნათესავების თვალშიც კი დაცინვის ობიექტს ხდიდა და, უკვე სიბერეში შესულს, სიცოცხლესთან განშორებისკენ უბიძგებდა [მარზეი 2000 : 215].

ჩერქეზმა თავადაზნაურობამ, რომლის დევიზი „ღირსება და ომი“ იყო, მეტად ორიგინალური რაინდული კოდექსი, ე. წ. „უორკ ხაბზე“ შეიმუშავა. ამ დაუწერელი კოდექსით რეგულირდებოდა მისი ქცევის ნორმები არა მარტო საომარ სიტუაციაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. კოდექსს საფუძვლად ედო რაინდული ღირსების სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, საერთოჩერქეზულ ეთიკურ-ეტიკეტური კოდექსის, ე.წ. „ადიდა ხაბზეს“ პრინციპებს ეფუძნებოდა. ეს უკანასკნელი მოიცავდა არა მარტო ეტიკეტსა და მორალურ-ზნეობრივ, არამედ ჩერქეზული ეთნოსის ჩვეულებითი სამართლის ნორმებსაც. აზნაურები „ადიდა ხაბზეს“ პრინციპების დაცვაში სანიმუშონი უნდა ყოფილიყვნენ, ანუ ის, რაც ეპატიებოდა უბრალო ხალხს, მათ არ ეპატიებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი კატეგორიის აზნაური თავის სტატუსს ჰკარგავდა. ამდენად, ადიღურ საზოგადოებაში აზნაურის წოდება გაცილებით მეტი ვალდებულებით იყო დატვირთული, ვიდრე პრივილეგიით.

რაინდულ კოდექსში ასევე აისახა გაბატონებული კლასის შიდა-ურთიერთობების, კერძოდ, სიუზერენისა და ვასალის ურთიერთდამოკიდებულების მარეგულირებელი ნორმები.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და იაპონიას ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრი ამორებს და ადიღებსა და იაპონელებს შორის კულტურული კავშირები შეუძლებელია ოდესმე ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს რაინდული კოდექსები (უორკხაბზე და ბუსილო) ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად ვითარდებოდა, მათი (ისევე როგორც ევროპული რაინდული იდეოლოგიის) ფუნდამენტური საფუძვლების (ღირსება, ერთგულება, სიკვდილის არად ჩაგდება) მსგავსება თვალსაჩინოა. არანაკლებ თვალსაჩინოა სხვა რიგის განსხვავებებიც. აქ ვწყვეტთ ამ თემაზე საუბარს, რადგან იგი საფუძვლანად არის შესწავლილი [იხ. მირზოევი: 2017 : 29-37].

რაც შეეხება ოსურ და ადიღურ ნართულ თქმულებებში ხშირად ნახსენებ ხალხს – ჩინთებს, ნართების მეზობლებს, ისინი სხვადასხვაგვარად ხასიათდებიან: ოსი ნართებისათვის ჩინთები უპირატესად მეგობრები არიან (ერთ-ერთი თქმულებით – „ნართები და ჩინთები“ – მათ საერთო ნიხასიც კი ჰქონიათ) და შედარებით იშვიათად – მტრები, მაშინ, როდესაც ადიღი ნართებისათვის ისინი დაუძინებელი მტრებს წარმოადგენენ.

ნართოლოგებს ჯერ ისიც კი არ დაუდგენიათ, ჩინთები მითური ხალხია თუ რეალურად არსებული, ცდით კი, შეეცადნენ მის იდენტიფიცირებას რომელიმე ისტორიულ ეთნოსთან, მაგრამ ამას ვერც შეძლეს. იმთავითვე უარყოფილ იქნა ტ. გურიევის მიერ ჩინთების ჩინელებთან გაიგივება [გურიევი 1981 : 99], ისევე როგორც მ. კუმახოვის ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც ეთნონიმი ჩინთ-ი დაკავშირებულია ხათ-ი ეთნონიმთან [კუმახოვი 1982 : 118]. მკვლევარებს შედარებით მისაღებად მიაჩნიათ და არა საბოლოოდ არგუმენტირებულად XIX საუკუნის ავტორის, ლ. ლოპატინსკის, მოსაზრება ეპიკური ჩინთისა და ეთნონიმ სინდის იგივეობის შესახებ [ძიცოიტი 1992 : 138-161; ჯურთუბაევი 2010 : 537-541].

დავუბრუნდეთ აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ეთნოგენეზის პრობლემას.

თანამედროვე ისტორიული და ეთნოლოგიური მეცნიერება ეჭვქვეშ არ აყენებს პალეოკავკასიელი ხალხების ავტოქთონურ წარმოშობას, ანუ ადიარებს ადიღურ-აფხაზური ერთობის ფორმირებას იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი ისტორიამ მოიხელთა. საამისო საფუძველს მათ არქეოლოგიის, ლინგვისტიკისა და განსაკუთრებით ანთროპოლოგიის მონაცემები აძლევთ.

3. ალექსეევი, იკვლევდა რა კავკასიის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპების წარმოშობის პრობლემას, მივიდა დასკვნამდე, რომ „... პოპულაციის პონტიური ტიპი (რომელსაც მეცნიერი დასავლელ ადიღებს, აბაზებსა და აფხაზებს (?) განეკუთვნებს. -ნ. ა.) წარმოადგენს იმ ტიპის გრაცილიზაციის (სახის ნაკვთების დახვეწა, დამახასიათებელი სამხრეთის ევრო პოიდულებისათვის. – ნ. ა.) შედეგს, რომელსაც ეწოდა კავკასიონური (ყაბარდოელები და ცენტრალური კავკასიის ხალხები, მათ შორის ქართველი მთიელები. – ნ. ა.). ამგვარად, ადიღი და აბაზი ხალხების დასავლური ეთნოგრაფიული ჯგუფების ავტოქთონური წარმოშობა სარწმუნოა, მაგრამ არა საბოლოოდ არგუმენტირებული. რაც შეეხება აღნიშნული ხალხების კავკასიონურ ტიპს, შეგვიძლია გაცილებით მეტი დამაჯერებლობით ვთქვათ, რომ ისინი ჩრდილოეთ კავკასიისა და დასავლეთ კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობის მთამომავლები არიან“ [ალექსეევი 1974 : 133]. რამდენადაც აღმოსავლელ ადიღ-აბაზათა ჯგუფები შეუძლებელია დასავლელთაგან ცალკე განვიხილოთ, ამ უკანასკნელთა ავტოქთონობა მოცემული დასკვნითაც მტკიცდება.

ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, მკვლევრებს შესაძლებლობას აძლევს, ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ხალხების ისტორიარეგიონის პირველი არქეოლოგიური კულტურების, უწინარესად, მაიკოპისა (ძვ. წ. IV-III ათასწლეულები) და დოლმენურის (ძვ. წ. III-II ათასწლეულები) წარმოქმნის დროიდან აითვალონ. საამისოდ ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია ორივე კულტურის ერთობლივი არეალისა და ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ისტორიული ტერიტორიების თითქმის ზუსტი დამთხვევა. აფხაზურ-ადიღური ტომების ამ საცხოვრისის ფარგლებს გარეთ კავკასიაში ნამდვილი დოლმენები არსად არ გვხვდება. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ დოლმენური კულტურის საფუძველს, მის არსობრივ დომინანტს

მაგიურ-რელიგიური წარმოდგენები ქმნის, ხოლო მათი ლოკალური მახასიათებლები ადგილობრივი ტომების ყოფითი სპეციფიკის მარკერებს წარმოადგენენ. კავკასიური დოლმენებისათვის ასეთი მარკერებია კამერის ჰერმერტულობა და ფასადის დიობის მკვიდრად დახურვა ცობოლათი. სწორედ ეს ნიშნები განასხვავებს მათ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონების დოლმენებისაგან [ბლაჟნოყოვი 2012 : 50]. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კავკასიური დოლმენების თვითმყოფადობა არ გამორიცხავს საგარეო ზემოქმედების შესაძლებლობას, როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. ადგილობრივ მოსახლეობას მაგიურ-რელიგიური წარმოდგენების დოლმენური ხორცმესხმის იდეა შესაძლოა განუვითარდა იმ ხალხებთან ურთიერთობის პროცესში, რომლებთანაც ეს იდეა უკვე რეალიზებული იყო. ამას ეთანხმება თანამედროვე მკვლევართა უმრავლესი ნაწილი და ხშირად მიუთითებენ დასავლეთ ევროპულ გავლენაზე, რამდენადაც პირენეის ნახევარკუნძულსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის კუნძულებზე, აგრეთვე, საფრანგეთსა და ბრიტანეთში არის დოლმენები, რომლებიც თავიანთ კავკასიურ ანალოგებზე თითქმის ათასი წლითაა უფროსი. სწორედ დოლმენებს უკავშირდება ვ. მარკოვინის ჰიპოთეზა უძველეს წარსულში კავკასიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის არაინდოევროპული მოსახლეობის, კერძოდ, ბასკების ეთნიკური კავშირების შესახებ. მეცნიერი თავის თვალსაზრისს ასაბუთებს პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ დოლმენტა მშენებელ ბასკებთან სავარაუდო გენეტიკური ნათესაობით. იგი მიიჩნევს, რომ დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მოსულებმა მონაწილეობა მიიღეს ადიღ-აფხაზთა ადრეულ ეთნოგენეზში დასავლეთ კავკასიის მოსახლეობასთან შერევის გზით [მარკოვინი 1975 : 29-31; 40]. ამ ჰიპოთეზას საკმარისი დასაბუთება აკლია, თუმცა საკითხის დაყენება სავსებით მართებულია და მკვლევართა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს დოლმენური კულტურის დამოუკიდებელი განვითარების ძალზე სუსტად არგუმენტირებული ჰიპოთეზა ადგილობრივი საკულტო (ქვის კულტი, წინაპართა კულტი) ტრადიციებისა და ქვის დამუშავების ჯერ კიდევ ადრე ჩამოყალიბებული ტექნოლოგიური ხერხების გამოყენების საფუძ-

ველზე. ამ ჰიპოთეზის მომხრეთა აზრით, დოლმენური კულტურა მაიკოპამდელი და მაიკოპის კულტურის თავისებური გაგრძელება და განვითარებაა. როგორც ვარაუდობენ, ამაზე მოწმობს შუალედური ძეგლების დიდი რაოდენობა, მათ შორის დოლმენური ტიპის ყორღანქვეშა სამარხები (ნოვოსვობოდნაიას კულტურა). ამასთან, დოლმენური ნაგებობის ინვენტარში ტიპურად მაიკოპური ნაწარმის (განსაკუთრებით ქვისა და კერამიკის) არსებობა აღნიშნული ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს [ბლაჟნოევი 2012 : 51].

მკვლევრები ადიღურ პარალელებს ხედავენ მაიკოპის კულტურაშიც, განსაკუთრებით ბუნებრივ გარემო პირობებთან დაკავშირებულ ყოფით ნაწილში. აღნიშნავენ, რომ „ეს ბრწყინვალე კულტურა არსად გამქრალა: გრძელდება გვიანბრინჯაოს ხანაში; ადრეული რკინის ეპოქაში შეიმჩნევა მაიკოპის კულტურის ბევრი ელემენტის არსებობა ყუბანელი ტომების კულტურაშიც. მათი აზრით, მსგავსი მოვლენა შეინიშნება X-XIII საუკუნეების კულტურაშიც და აღნიშნავენ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადიღები მაიკოპის კულტურის მატარებელთა შთამომავლები არიან, რადგან მათ XIX საუკუნემდე მოიტანეს ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის ძირითადი ფორმები, გამომუშავებული ჯერ კიდევ მაიკოპის კულტურის წიაღში [ლოვჰაჩე 1991 : 34-35]. უკანასკნელი არგუმენტი, ისევე როგორც აზრი ადრეული რკინის ხანისა და X-XIII საუკუნეების ადიღურ კულტურებში მაიკოპური კულტურის ელემენტების არსებობის თაობაზე, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია და ამ საკითხის ფართოდ განხილვა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

„ადიღური (ჩერქეზული) ენციკლოპედია“ პირდაპირ მიუთითებს, რომ „... მაიკოპის კულტურის ტომები ადიღების ძველი წინაპრები არიან“ (იხ. გვ. 87). უფრო ადრე რ. ბეტროზოვმა დაასკვნა: „დღეისათვის მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აფხაზ-ადიღთა წინაპრები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ჯერ კიდევ III ათასწლეულში ცხოვრობდნენ“ [ბეტროზოვი 1990 : 8]. თუ ჩერქეზ მეცნიერებს დაუუჯერებთ, შავიზღვისპირა შაფსულები თავიანთ თავს დოლმენტა მშენებლებთან აიგივებენ, რაც გახდა საფუძველი შემდეგი თეზისა: „მეცნიერებამ

სარწმუნოდ დაადგინა, რომ შაფსულები დასავლეთ კავკასიაში ჯერ კიდევ შვიდი ათასი წლის წინ მკვიდრობდნენ“ [კუაჯე 1993 : 3].

XX საუკუნის 90-იან წლებში ავტოქტონური თეზისის საპირისპიროდ გვევლინება დღეისათვის ყველაზე პოპულარული ჰიპოთეზა ადიღთა ადრეულ ეთნოგენეზში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში წინა აზიიდან ინდოევროპელი ხელების (ნესიტების) მიერ განდევნილი ხათური ტომების – კასკების/ქასქების მონაწილეობის შესახებ (ბეტროზოვი: 1990, 48-58), რისთვისაც მისმა ავტორმა მოგვიანებით ხათებსა და აფხაზ-ადიღებს შორის არსებული ლინგვისტური, ეთნონიმიკური და მითოლოგიურ-რელიგიური ხასიათის პარალელები გაავლო [ბეტროზოვი 1991 : 81-91]. რ. ბეტროზოვი თავის ვერსიაში ორივე თეორიის (ავტოქტონური და მიგრაციული) ერთგვარ კომპრომისს გვთავაზობს: მიგრანტებმა (კასკები/ქასქები), სამხრეთიდან შეერწყნენ რა ადგილობრივ მოსახლეობას დოლმენების არეალში, მათ თავიანთი ენა გადასცეს [ბეტროზოვი 1996: 92], თუმცა მკვლევარი ხათურ თეორიას ოდენ „პერსპექტიულს“ უწოდებს (იქვე, 77).

მაგრამ სხვა ისტორიკოსები უფრო კატეგორიულნი არიან და ხათებს მათ სავარაუდო შთამომავლებთან პრაქტიკულად პირდაპირ აიგივებენ. მაგალითად, ა. ბაკიევი ადიღთა ცივილიზაციის ისტორიის შემდეგ ეტაპებს გვთავაზობს: „პროტოადიღური ანუ ხათური (კასკური/ქასქური) პერიოდი (ძვ. წ. V-I ათასწლეულები), სინდო-მეოტური პერიოდი (ძვ. წ. X საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე), ზიხური ანუ ადრეჩერქეზული პერიოდი (V-XII საუკუნეები), გვიანჩერქეზული პერიოდი „მამლუქთა ისტორიის“ ჩათვლით (XIII საუკუნე – 1475 წელი), ახალჩერქეზული ანუ კლასიკური პერიოდი (1475-1864 წლები)“ [ბაკიევი 1997 : 9-14]. რ. კუაჯე, ავლებს რა ანალოგიას თანამედროვე ადიღებსა და ძველ ანთებს, აგრეთვე, ანთო-ადიღებს, ხათებსა და პელაზგებს შორის, ასკვნის: „პელაზგ-ხათოქაღდებმა, ეს კი ნიშნავს ანთო-ადიღებს (ჩერქეზებს), ბერძნებს გადასცეს შორეული ძვ. წ. V ათასწლეულის თავიანთი უდიდესი ცივილიზაცია და კულტურა [კუაჯე 1993 : 3], რომელიც „... თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის საფუძველია“ (იქვე, 1).; შესაბამისად, „... ანთო-ადიღები თავს შეიმეცნებენ შავი და კასპი-

ის ზღვებისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმოქმნის დროიდან და წარმოადგენენ უიშვიათეს, ყველაზე ძველ ერს მსოფლიოში“ (იქ-ვე).

მხოლოდ ადიღები როდი არიან უძველესი წინააზიური მემკვიდრეობის პრეტენდენტები. მაგალითად, დაღესტნელი მეცნიერები, ი. იარალიევი და ვ. ოსმანოვი, სცადეს რა ლეზგიური ენის საფუძველზე გაეშიფრათ პელაზგების – კრეტისა და ეგეოსის კუნძულების ბერძნებამდელი, არაინდოევროპელი მოსახლეობის – ე. წ. „A ხაზოვანი დამწერლობა“, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეთნონიმები „პელაზგი“ და „ლეზგი“ იდენტურია, ისევე როგორც ენები, და „ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ პელაზგები ლეზგების წინაპრები არიან“ [იარალიევი, ოსმანოვი 2003 : 508].

უკანასკნელ ხანებში დაისვა საკითხი მეზოლითის პერიოდში (შუა ქვის ხანა, პალეოლითიდან ნეოლითზე გარდამავალი ეპოქა) პროტოხეთური (ხათური) მოსახლეობის ორი შტოს – ანატოლიურისა და კავკასიურის (მაიკოპურის) – ფორმირების შესახებ. ამ კონცეფციის ავტორი „მაიკოპურ-ანატოლიურს“ უწოდებს ძველ ტომებს, ჩამოყალიბებულს ხათურ-აფხაზურ ადიღური კულტურულ-ენობრივი და გენეტიკური ურთიერთქმედების გავლენით. მისი აზრით, ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა აქცენტი გაკეთდეს, ერთი მხრივ, ხათების (კასკების/ქასქების) კავშირზე მაიკოპის არქეოლოგიურ კულტურასთან, აგრეთვე, ცირკუმ პონტიური ძველი ცივილიზაციების მეტალურგიულ პროვინციებთან ცენტრალურ ევრაზიაში, ხოლო, მეორე მხრივ, დაფიქსირდეს ხათ-კასკელთა/ქასქელთა უდაო (?) მონაწილეობა ჩერქეზების, აფხაზებისა და აბაზების ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიაში. მეცნიერის შეხედულებით, ხათურ-აფხაზურ-ჩერქეზული ტომების სემანტიკურად სავსებით არაერთმნიშვნელოვანი სახელწოდებებიდან პირველი (ხათები) ძირითადად თვითსახელწოდების (ენდო-ეთნონიმის) სახით ფუნქციონირებდა, როგორც კავკასიურ-ანატოლიური ერთობის თვითიდენტიფიკაციის გამომხატველი, ხოლო მეორე (კასკები/ქასქები) ეგზოეთნონიმის (გარესახელწოდების) ფუნქციას ასრულებდა და მიემართებოდა ე. წ. მაიკოპურ-ანატოლიურ ტომებს. კასკა/ქასქა ეთნონიმი წარმოიქმნა და აქტიურად გამოიყენებოდა უპირატესად ინდოევროპელებში (აღმოსავლეთ-

ში – მესოპოტამიასა, ირანსა და ანატოლიაში, ევროპაში – აზოვის-პირეთსა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კარპატებში), რომლებთანაც, კონცეფციის ავტორის აზრით, ხათები მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდნენ [ბლაჟნოყოვი 2018 : 8].

ამდენად, ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად ეთნონიმი კასკა/ქასქა წარმოადგენს მონათესავე (სავარაუდოდ ხათურ) ტომთა აღმნიშვნელ კრებით სახელწოდებას, ბ. ბლაჟნოყოვმა უარყო და დაასკვნა, რომ „რეალურად ეს არის ხათურ-აფხაზურ ადიღური ტომების ინდოირანული სახელწოდება, რომელიც ფაქტიურად ეთნიკური სახელის – ხათის – სინონიმი“ [ბლაჟნოყოვი 2018 : 8]. მეცნიერი უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ ეთნონიმებს – კასკასა/ქასქასა და კასიტს – საფუძვლად უდევს საერთო ინდური ძირი „კას“ („ელვარება, კამკაში“), და აღნიშნავს, რომ კასიტები ხათ-კასკელების/ქასქელების განშტოებას წარმოადგენდნენ. ბ. ბლაჟნოყოვის ეს აზრი უფუძნება 1930 წელს გამოთქმულ ვარაუდს კასიტური და ხათური ენების შესაძლო ნათესაობაზე [ე. ფორერი 1930 : 230], აგრეთვე, ბ. ჰროზნის ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც კასიტური ერთ-ერთი კავკასიური ენაა [ჰროზნი 1953 : 2]. თავის დროზე, ნ. მარი, რიგი ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებით, კასიტურისა და ქართველური და ბასკური ენების სიახლოვეზე მიუთითებდა [მარი 1933 : 5; 156; 464]. მოგვიანებით კასიტური ენა ჰური-ურარტულსაც დაუკავშირეს [შნაიდერი 2003, 372-381; ფურნეტი 2011 : 1-19]. აღნიშნული კონცეფციების გასაძლიერებლად ბ. ბლაჟნოყოვმა მთელ ევრაზიულ სივრცეში კას-ძირიანი ტოპონიმები დაძებნა და იგი კასკებსა/ქასქებსა და კასიტებს, როგორც წარმომავლობით ერთიან ხალხს, დაუკავშირა, და ეს იმიტომ, რომ როგორმე შეეცაო ის დროითი სიცარიელე (ათასწლეულები), რომელიც კასკა/ქასქასა და ახ. წ. X საუკუნიდან ცნობილ ჩერქეზთა აღმნიშვნელ კასოგ/ქაშაგ/ქეშეგ ეთნონიმებს შორის არსებობს.

ორიოდ სიტყვა კასიტების შესახებ.

კასიტურ ენაზე შემონახული ტექსტები არ არსებობს. აქადურენოვან წყაროებში დაცული კასიტური სიტყვების რაოდენობა ძალზე მჭირია და ისეთ სემანტიკურ ველებს განეკუთვნება, როგორიცაა ცხენთა ჯიშები (ფერები), ეტლის დეტალები, ირიგაციის

ტერმინები, მცენარეთა სახელწოდება და ტიტულები. დაახლოებით 200 დამატებითი ფორმანტი ანთროპონიმთა, ტოპონიმთა, თეონიმთა და ცხენების სახელთა კვლევით დგინდება. კასიტური ტექსტების არარსებობა ამ ენის გრამატიკის რეკონსტრუქციას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის, რის გამოც კასიტური ენის დამაჯერებელი გენეტიკური კავშირები გამოვლენილი არაა. ცნობილ კასიტურ სიტყვებს საერთო არაფერი აქვს სემიტურთან; იზოლირებულ ელამურ ენასთან ნათესაობის ჰიპოთეზაც ძალზე საეჭვოა. რიგ მკვლევართა შორის პოპულარულია მისი ინდოარიული წარმომავლობა. მათი აზრით, წინა აზიაში ინდოარიელების ყოფნის შესახებ მოწმობს ძვ. წ. XIV XIII საუკუნეების სირიულ, პალესტინურ და განსაკუთრებით მითანურ (ტიგროსისა და ევფრატის ზემოწელი) ტექსტებში მოცემული თეონიმები, მეფეთა და წარჩინებულთა სახელები, მეცხენეობასთან დაკავშირებული ტერმინების სერია, ამასთან, ღმერთების სახელები იგივეა, რაც რიგვედამი, იხსენიებიან იმავე რიგით: მითრა, ვარუნა, ინდრა და სხვ. ძვ. წ. XIV საუკუნის საცხენოსნო ტრაქტატში ჯირითთან დაკავშირებული ტერმინები – აიკა-ვართანა, ტერა-ვართანა, პანცა-ვართანა – ინდოარიულიდან შემდეგნაირად ითარგმნება: „ერთი მოსახვევი“, „სამი მოსახვევი“, „ხუთი მოსახვევი“ [კლეინი 2007 : 39].

ხამურაბის მმართველობის დროს, ძვ. წ. XVIII საუკუნის დასასრულს, ბაბილონში კასიტები (აქად. Kaššū) გამოჩნდნენ; მომდევნო საუკუნეში კი ისინი ხანის სამეფოში (ევფრატის შუაწელი) დამკვიდრდნენ, როგორც მმართველები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კასიტების ინდოარიელობაზე მოწმობს მათი ღმერთების სახელები – მარუტაში (ინდოარიული მარუტი) და სურიაში (ინდოარიული სურა – „მზე“), მესამე ღმერთის, ბურიამის, სახელი მატერიალურად ახლოსაა ბერძნულ ბორეასთან (ჩრდილოეთის ქარის ღმერთი) (კლეინი: 2007, 39). „ინდოარიელები წინა აზიაში მოვიდნენ როგორც მეომარი-დამპყრობლები, ეტლით რბოლასა და ბრძოლაში გაწაფულები; მითანსა და ხანში დააფუძნეს თავიანთი დინასტიები და წარჩინებულები – „მარიანები“ (არიული „მარია“). მართალია, მათი ენა რიგვედის ენისგან დიალექტურად განსხვავდებოდა, მაგრამ რწმენა იგივე ჰქონდათ. ქრონოლოგიის მიხედვით, ეს ინდოარიელები ემთხვევიან ვედამდელ და ინდო-

ელებამდელ არიელებს. ზოგიერთი ნიშნით (ონომასტიკის ელემენტებით) გინდინი (Gindin) წინა აზიაში არიელების ამ პირველ მოძრაობაში პროტოარიელების მცირე ნაწილის მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს“ [კლეინი 2007 : 39].

როგორც ვხედავთ, კასიტების პრობლემა დღემდე გადაუწყვეტელია და ვარაუდების სფეროს ვერა და ვერ გაცდა. რაც შეეხება ბ. ბლაჟნოკოვის ჰიპოთეზას კასიტებისა და კასკების/ქასქების, როგორც გვიანდელი კასოგების/ქაშაგების წინაპრების, ნათესაობის თაობაზე, მას, შემდეგ, რაც, უკანასკნელი მონაცემებით, მაიკოპის კულტურისა და პროტოადიდების წინააზიური წარმომავლობა ეჭვქვეშ დადგა, საფუძველი ფაქტიურად გამოეცალა.

1980-იანი წლების შუა ხანებამდე მაიკოპის კულტურის პერიოდიზაცია დაფუძნებული იყო მის შინაგან სუბკულტურებზე; ესენია: მეშოყოს ხალკოლითური (ენეოლითური) კულტურა (ძვ. წ. 4500-3850 წლები), საკუთრივ მაიკოპის კულტურა (ძვ. წ. 3850-3300 წლები) და შედარებით გვიანდელი ნოვოსვობოდნაის კულტურა (ძვ. წ. 3300-2500 წლები). დღეისათვის დომინირებს აზრი მეშოყოს (მეშოყო-დარკვეთის), მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაის დამოუკიდებელ კულტურებზე [ტრიფონოვი 2001 : 190-194; ნეხაევი: 1983 : 16-32; კორენევსკი 2009 : 53].

მაიკოპის, ისევე როგორც მეშოყოს, კულტურის წარმოქმნის პრობლემა დღემდე აქტიური დისკუსიის საგანია. ბოლო დრომდე დომინირებდა მათი წარმოშობის მახლობელადმოსავლური კონცეფცია, რომელიც ეფუძნებოდა არქეოლოგიურ მასალებს, კერძოდ, მაიკოპური კერამიკის ზოგიერთი ნაირსახეობის მსგავსებას თეფე-გავრის ადრეულ კერამიკასთან (ჩრდილოეთ მესოპოტამია, სამხრეთ ანატოლია და ჩრდილოეთ სირია) [ანდრეევა 1977 : 53-55; მუნჩაევი 1994 : 169].

აღნიშნული პრობლემის განხილვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რადიონახშირ ბადული ანალიზის თანამედროვე მონაცემებმა, რომელმაც მეშოყო-დარკვერთის კულტურების წარმოქმნის თარიღი ძვ. წ. V ათასწლეულამდე გადაწია, ხოლო მაიკოპის კულტურისა – ძვ. წ. III ათასწლეულიდან (ტრადიციული დათარიღება) ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისამდე [რისინი 2012 : 204-231; მისივე 2012 : 107-112]. მოცემული ქრონოლოგია ეჭვქვეშ აყენ-

ებს ტრადიციულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად მაიკოპის კულტურა სამხრეთიდან (ანატოლიიდან და/ან მესოპოტამიიდან) მოვიდა, ანუ მეშოყო-დარკვეთისა და მაიკოპის კულტურების წარმოშობის მახლობელადმოსავლური კონცეფცია გადაიხედა. ა. კასიანის აზრით, „წინააზიური თეორიის“ მომხრე მკვლევართა დასკვნა, რომ ლეილათეფეს კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც „შუამავალი“ უბეიდისა და ურუქის სირიულ-მესოპოტამიური ტრადიციის ჩრდილოეთისკენ მიგრაციის გზაზე მაიკოპის კულტურის დაფუძნებისათვის, კრიტიკას ვერ უძლებს; წინააზიურ ტომებს არ შეეძლოთ სამხრეთ კავკასიაში შეექმნათ კულტურა მოკრძალებული მეტალურგიით, შემდეგ კი სწრაფად გადაადგილებულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და რამდენიმე ათწლეულში ბრინჯაოს მაღალტექნოლოგიური მეტალურგია განვითარებისათ [კასიანი 2015 : 170-196]. არგუმენტირებულია დასკვნა, რომ ყორღანული სამარხები დამახასიათებელი არაა მახლობელ აღმოსავლური ტრადიციისთვის. ამ ტიპის სამარხებს ჩრდილოეთ კავკასიასა და მიმდებარე რაიონებში უფრო ძველი ფესვები გააჩნიათ. მაიკოპამდელი ყორღანები გავრცელებულია ცენტრალურ კავკასიისწინეთში, ყუბანის აუზსა, ქვემო ვოლგასა და ქვემო დონში, და ზოგიერთი ნიშნით მაიკოპურ სამარხებს ედარებიან [მუნჩაევი 1994 : 178-179]. ამის გათვალისწინებით, ა. კასიანი გვთავაზობს საპირისპირო სცენარს: მაიკოპის კულტურის გარკვეული ელემენტების სესხება ლეილათეფეს კულტურის მატარებელთა მიერ, ანუ მაიკოპელთა ნაწილის შედწევა ჯერ ხალკოლითურ სამხრეთ კავკასიაში, შემდეგ კი ანატოლიასა და მესოპოტამიაში ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში (კასიანი: 2015, 170-196). მაიკოპის მსგავსი ყორღანების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღმოჩენილია ჩრდილო-დასავლეთ ირანშიც (სე გარდანის ყორღანები. – სავარაუდოდ ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი) [ტრიფონოვი 2000 : 244-264], რაც, როგორც აღინიშნა, მეცნიერებს შესაძლებლობას აძლევს თვალი მიადევნონ მაიკოპის კულტურის შემქმნელთა გავლენებსა და მოძრაობას ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ იმ პერიოდამდე, ვიდრე ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება დაიწყებოდა [კაგაზეევი 2019 : 195]. ამასთან ერთად, ვლინდება კავკასიური კულტურების მჭიდრო

კავშირი ბალკანურ-კარპატულ რეგიონთან. აღნიშნული რეგიონის კულტურების ჩრდილოეთ კავკასიაზე არსებითი გავლენის მიუხედავად, ჩერქეზი მკვლევრები უარყოფენ მემოყო-დარკვეთის, მაიკოპისა და ნოვოსვობოდნაიას კულტურების წარმოშობის ბალკანურ თეორიას. ამ სადისკუსიო საკითხის განხილვისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ და ვუბრუნდებით ჩერქეზულ-აფხაზური და წინააზიური ეთნონიმების ურთიერთმიმართების პრობლემას.

თავისთავად არაფერია უცნაური წინა აზიის ძველი ხალხების ენებსა და თანამედროვე კავკასიის ენებს შორის კორელაციაში. ეს მხოლოდ იმაზე მოწმობს, რომ ამ ტერიტორიებზე ინდოევროპელთა დასახლებამდე ენათა ოჯახი, რომელსაც ჩვენ „იბერიულ-კავკასიურს“ ვუწოდებთ, გავრცელებული იყო უფრო შორს – სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთითაც. რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს იყო ერთიანი ხალხი, მითუმეტეს, ძალზე საეჭვოა საერთო ენის არსებობა აღნიშნული ტერიტორიის უკიდურესად დიდი მოცულობის გამო. ამ სივრცეში კულტურული და ენობრივი პარალელების არსებობა უეჭველ ეთნიკურ ნათესაობაზე არ მეტყველებს – ის შეიძლება იყოს ხანგრძლივი სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული და სხვა ხასიათის კონტაქტების და შესაბამისად ე. წ. ენობრივი კავშირების შედეგი, მითუმეტეს, როცა მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურების შემქმნელი ტომების კონტაქტების კვალი წინა აზიის ხალხებთან რეალურად შეიმჩნევა. როგორც ჩანს, სპეციალურად გამოტოვა რა პროტოქარ თველები, ნ. ლოვპაჩე მსახიობთან დაკავშირებით დაასკვნა, რომ „ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებისათვის კულტურათა სინთეზში მონაწილეობდა ოთხი კომპონენტი: ჩრდილო კავკასიური (ათიხები – მთიელი მესაქონლეები), წინააზიური (პროტომეურები – ადრეული მიწათმოქმედნი), ჩრდილოდასავლურ სტეპური (ორმოსამარხთა კულტურის შემქმნელნი) და ცენტრალურევროპული (პროტოარიელები), რომელთაგან განმსაზღვრელი იყო წინააზიური“ [ლოვპაჩე 1991 : 35]. აღნიშნული დასკვნა, გარდა სუბიექტურობისა, ფაქტობრივ უზუსტობებსაც შეიცავს.

რაც შეეხება ძველი და ახალი ეთნონიმების მსგავსებას (კასკა/ქასქა – კასოგი/ქაშაგი/ქაშეგი, აბეშლა – აფსილი/აბშილი/აფშილი), მათზე შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში

თუ ისინი თვითსახელწოდებებს წარმოადგენენ, რაც ასე არაა. როცა გამქრალ ეთნონიმებსა და გვიან წარმოქმნილ სახელებს შორის დაშორება რამდენიმე ათასწლეულს ითვლის, მათ შორის რაიმე ანალოგიის გავლების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამო-რიცხულია. ამგვარად, სიფრთხილე, რომელსაც ამ საკითხში ზო-გიერთი მეცნიერი იჩენს, სავსებით კანონზომიერი და დასაბუთე-ბულია.

პროტოადილთა და პროტოაფხაზ-აბაზათა ადრეულ ეთნოგე-ნეზში მაიკოპისა და დოლ მენური კულტურების შემქმნელი ხალ-ხების მონაწილეობა, ანუ ამ კულტურების მატარებელთა პირდა-პირ ადილებთან და აფხაზებთან გაიგივების მცდელობა (მითუმე-ტეს, როცა თავის დროზე დოლმენტა მშენებლები შავიზღვისპირე-თში მარტონი არ იყვნენ), რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებ-ულია – ძალზე დიდია დროითი სიშორე და ძალზე ბევრი მოვლე-ნებითა და ხალხებით არის იგი გაჯერებული. იგივე არანაკლები ხარისხით ეხებათ ხათებს, კასკებს/ქასქებს, აბეშლაელებს, თუკი მათთან ადილ-აფხაზთა წინაპრების გენეტიკური კავშირის ჰიპო-თეზა ოდესმე დადებითად გადაწყდა, რაც ფრიად საეჭვოა (ამ სა-კითხს ქვემოთ დავუბრუნდებით).

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანია იმ-ით, რომ ანტიკურ წერილობით წყაროებში ჩნდებიან ტომები, სა-ხელდებულნი „მეოტების“ საერთო ტერმინით. „მეოტებს განე-კუთვნებიან სინდები, დანდარები, ტორეატები, აგრები და არეხე-ბი, აგრეთვე, ტარპეტები, ობიდიაკნები, სიტაეკნები, დოსხები და სხვანი. მათ მიეკუთვნებიან ასპურგიანები, რომლებიც 500 სტადი-ის სივრცეში ფანაგორიასა და გორგიფიას შორის სახლობენ“ [სტრაბონი 1964 : 471]. სტრაბონი მეოტებს განაკუთვნებდა ზღვისპირა კერკეტებს, ახეებს, ჰენიოხებს, ზიხებს და სხვა ტო-მებს. არსებობს ვერსია მეოტებისაგან ადილთა წარმოშობის შესა-ხებ, მითუმეტეს, რომ აზოვ შავიზღვისპირეთსშორისი მეოტების არეალი ისტორიული ჩერქეზეთის ფარგლებშია მოქცეული. არის ცდა ეთნონიმი „მეოტი“ გაიშიფროს ადილური ენით – мытхых – „მღვრიე, მყრალი ტბა, ჭაობი“, იგულისხმება აზოვის ზღვა [ისტო-რია 2005 : 393].

ეჭვგარეშედ მიიჩნევა, რომ შუა საუკუნეებში კასოგთა/ქაშაგთა და ზიხთა/ჯიქთა სატომო კავშირი მეოტთა ნაწილის ინტეგრაციის შედეგად მოხდა (სხვა შესაძლო ვარიანტების არარსებობის გამო), მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეოტები სხვადასხვაგვარნი არიან. „მეოტები“ კრებითი ტერმინია (როგორც „სკვითები“ ჰეროდოტესთან) და იგი ადიღის სინონიმად ჩავთვალოთ არაკორექტულია. ამასთან, საეჭვოა, რომ პანეთონიმი „მეოტი“ ზემოჩამოთვლილი ყველა ტომის საერთო სახელწოდება იყო. როგორც ჩანს, ბერძნები, თავად ან სკვითებისა და სარმატებისგან მიწოდებული ინფორმაციით, ასე უწოდებდნენ „ბარბაროსებს“, ერთ-ერთი აზოვისპირელი ტომის ეთნონიმის მიხედვით (თუ ზემოაღნიშნული ეტიმოლოგია სწორია).

ლ. ლავროვს ეჭვი ეპარებოდა ადიღების ეთნოგენეზში ყველა მეოტის მონაწილეობაში, მიუთითებდა რა მეოტური სერიის ბევრი ეთნონიმის აშკარა ირანულენოვან ჟღერადობაზე; იგულისხმება ტერმინები „სინდი“, „ტორეტი“ („ტორეატი“), „ტარპეტი“, „კერკეტი“ და საკუთრივ „მეოტი“ [ლავროვი 1978 : 39-41]. აღნიშნულ ეთნონიმებს აქვს ირანული დაბოლოება -ტი (-დ). ირანულენოვანობის ფაქტი შესაძლოა მოწმობაა იმისა, რომ ეს არის ან ადგილობრივი სკვითურ სარმატული ტომების ეგზოეთნონიმები, ათვისებული ბერძენ-რომაელთა მიერ, ან ირანულენოვან ტრანსკრიფციაში დამახინჯებული ენდოეთნონიმები.

მეოტური ტომების გავრცელების გეოგრაფია გაურკვეველი რჩება (ლავროვი: 2009, 83), რადგან ანტიკური წყაროები ამა თუ იმ ტომის ადგილსამყოფელზე ცნობებს არ გვაწვდიან. გამონაკლისს წარმოადგენს შავიზღვისპირეთი, რომელიც მრავალჯერ არის ზედმიწევნით აღწერილი. თუკი გავაანალიზებთ ძველი შავიზღვისპირეთის ეთნონიმიკურ ნომენკლატურას, შესაძლებელია მათში ორი ძირითადი ჯგუფი გამოვყოთ. პირველს შეადგენენ ზოგიერთ წყაროში ეპიზოდურად ნახსენები ეთნონიმები: „ტორეტები“, „ფტიროფაგები“, „მაკროფოგონები“ და სხვ. მეორე ჯგუფში შემავალი ეთნონიმები („კერკეტები“, „ახეები“, „ზიხები“, „ჰენიოხები“) დროში უფრო სტაბილურნი არიან და პრაქტიკულად ყველა წყაროში თითქმის ერთი და იმავე თანმიმდევრობით იხსენიებიან. ასეთი განსხვავების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ პირველ

შემთხვევაში საქმე ეხება პატარა ტომებს ან მთიელთა „საზოგადოებების“ (თემების) ლოკალურ სახელწოდებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – კრებით ეთნონიმებს ან სატომო გაერთიანებათა სახელებს, რომლებსაც პირველი ჯგუფის ეთნონიმთა „გადაფარვა“ შეუძლიათ.

რაც შეეხება ეთნონიმ „კერკეტს“, ტერმინ „ჩერქეზის“ პირველსახედ მიჩნეულს, მას პირველად ვხვდებით აზოვის ზღვიდან სამხრეთით მცხოვრები ხალხების ჩამონათვალში, რომელიც სირაკ კარიანდელს (ძვ. წ. IV ს.) ეკუთვნის. ავტორი კერკეტებს განათავსებს სინდებსა და ტორეტებს შორის, ანუ სადღაც თანამედროვე ანაპასა და გელენჯიკს შორის. იქვე, ანუ სინდების სამხრეთით კერკეტები ეგულებათ პომპონიუს მელასა (I საუკუნე) და II საუკუნის ავტორს – დიონისე პერიგიეტს [ცნობები 1893 : 85; იარაღი 2003 : 120; 185].

მაგრამ შედარებით ავტორიტეტულ ანტიკურ ავტორთან კერკეტები წარმოდგენილია, როგორც ჰენიოხების შემდეგ მცხოვრებნი [სტრაბონი 1964 : 468]. გეოგრაფს მოჰყავს ზღვიპირა ტომების განსახლების კიდევ ორი ვარიანტი: პირველი შემოთავაზებულია ძვ. წ II საუკუნის ავტორის, არტემიდორის, მიერ, რომლის მიხედვით კერკეტები ახეების ჩრდილოეთით მკვიდრობენ; მეორე, მითრიდატეს ომების (დასრულდა ძვ. წ. 64 წ.) დროინდელი ისტორიკოსების ვარიანტით, კერკეტები ჰენიოხების სამხრეთით ცხოვრობენ, ისევე როგორც I საუკუნის ავტორთან – პლინიუს სეკუნდთან [ცნობები 1898 : 170]. გამოდის, რომ სტრაბონისა და პლინიუსის დროს კერკეტები თანამედროვე სოჩასა და ბიჭვინთას შორის სახლობდნენ.

III საუკუნის დასაწყისიდან კერკეტები წერილობითი წყაროებიდან საერთოდ ქრებიან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წინამორბედ ავტორთა ცნობების დამოწმებას, რომელთაგან უკანასკნელი V საუკუნეზე მოდის. ამგვარად, თუ ზემოთ წარმოდგენილ ცნობებს დავეყრდნობით, კერკეტები ან აფხაზთა წინაპრების მიერ იქნენ ასიმილირებულნი, ან სადღაც მიუვალ რაიონებში გადაადგილდნენ. ამ მომენტიდან სიტყვა ჩერქეზის, როგორც პანეთონონიმის, გამოჩენამდე 600 წელიწადზე მეტი გავიდა. ძალზე რთულია წარმოვიდგინოთ და დავასაბუთოთ საუკუნეების განმავლო-

ბაში მივიწყებული სახელის, თან ეგზოეთნონიმის, ასეთი უცაბე-
დი დაბრუნება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეთნონიმებს – კერკეტსა
და ჩერქეზს – შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

მაგრამ პირველად სწორედ შავიზღვისპირეთში ჩნდება ეთ-
ნონიმი ზიხი (ქართული წყაროების ჯიქი), რომელიც შემდგომში
საერთო გახდება არამართო ზღვისპირა ხალხებისათვის [არიანე
1836 : 28-29], არამედ ყველა მომავალი ადიღისათვის (ჩერქეზი-
სათვის). ახ. წ. I საუკუნეში ზიხები „... დღევანდელ ქალაქებს, ტუ-
აფსესა და გაგრას, შორის მკვიდრობდნენ... პაგრის ნავსადგური-
დან (არის აზრი, რომ ეს იყო თანამედროვე ნოვოროსიისკი – ნ. ან-
თელავა) ძველ ახეიმდე უწინ ე. წ. ახეები ცხოვრობდნენ, დღეს კი
ზიხები სახლობენ“ [იოანე დე გალონიფონტიბუსი 1967 : 67].

ანტიკური და შუა საუკუნეების პერიოდის ეთნონიმი ზიხი
ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემონახული ეთნიკური სახე-
ლის იშვიათი მაგალითია. სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ეს ხალხი
ჰენიოხებსა და ახეებს შორისაა განთავსებული. ზიხებს იცნობენ
ბერძნულ- და ლათინურენოვანი ავტორები, რომლებსაც ისინი
პონტოს გასწვრივ ეგულებათ. ეთნონიმი ზიხი VI-X საუკუნეების
ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაშიც გვხვდება. XIII-XV საუკუნეების
იტალიელი ავტორები ყველა ადიღს „ზიხს“ უწოდებენ. „ზიხები,
ასე წოდებულნი ხალხურ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე, თათრე-
ბისა და თურქებისათვის ცნობილია სახელით ჩერქეზი, ხოლო
თავიანთ თავს ადიღას ეძახიან“, – წერდა XVI საუკუნის დასაწყის-
ში ჯ. ინტერიანო [ადიღები 1974 : 46]. მომდევნო ხანებში სახელი
„ზიხი“ წყაროებიდან თანდათან ქრება, მაგრამ ეთნოგრაფიულმა
სინამდვილემ ეს ტერმინი დღემდე შემოინახა: აფხაზები ადიღებს
ა-ზიხუ-ს უწოდებენ, ხოლო ჩერქეზები (შაფსულები) აფხაზებს –
აზიდა-ს. ლ. ლოპატინსკიმ მოცემული ეთნონიმი ჩაიწერა „ძიხი“
და „ძიგი“ ვარიანტებად და აღნიშნა: „... სახელწოდება ძიხი იგივ-
ეა, რაც აძიღე-ადიღე. სახელი აძიღა ეტიმოლოგიურად გამომყავს
აფხაზური სიტყვიდან ა-ძი „წყალი“ და ამდენად „ზღვისპირელს“
უნდა აღნიშნავდეს“ [ლოპატინსკი 1891 : 1]. შესაძლოა, სწორედ ამ
ეთნონიმიკური საკითხის ანალიზი დაგვეხმაროს იმ პროცესების
არსის გარკვევაში, რომლითაც ადიღური ეთნოსის ფორმირება
დასრულდა.

ცალკე უნდა განვიხილოთ „კასოგ“ ეთნონიმის წარმომავლობის პრობლემა.

კასოგები, როგორც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრნი, პირველად X საუკუნეში იხსენიებიან, ხოლო XIII საუკუნის შემდეგ წერილობითი წყაროებიდან საერთოდ ქრებიან.

თანამედროვე ისტორიკოსებში კასოგების წარმომავლობასა და ისტორიაზე ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ჩამოყალიბებული კონცეფციის თანახმად (ე. ალექსეევა, ე. ზევაკინი, ლ. ლავროვი, გ. მელიქიშვილი და სხვ.), კასოგები ადიღთა (ჩერქეზთა) შორეული წინაპრების, მცირეაზიელი კასკების/ქასქების, შთამომავლები არიან (მათ შესახებ ცნობები დაცულია ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისის წერილობით წყაროებში). ადრეულ შუა საუკუნეებში კავკასიის ყუბანისპირეთსა და შავიზღვისპირეთში მცხოვრები მეოტურ-სარმატული ტომების ბაზაზე გაფორმდა მონათესავე ტომთა ორი კავშირი – ჯიქებისა და კასოგებისა. აღნიშნული კონცეფციით, კასოგები ყაბარდოელთა ფორმირების საფუძველი გახდა.

სხვა ჰიპოთეზის მიხედვით (ნ. ვოლკოვა, ი. გავრიტუხინი, ა. გადლო, ა. დმიტრიევი, ი. კიზლასოვი, ა. მიხეევი, ე. პანეში, ა. პიანკოვი, ვ. ტარაბანოვი და სხვ.), კასოგები მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ხალხია, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ცენტრალური აზიის თურქებთან და დონელ უგრებთან. კასოგები ხაზართა ქვეშევრდომები იყვნენ და ამ უკანასკნელებმა VIII საუკუნის პირველ ნახევარში ან შუა ხანებში გადაასახლეს ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში საზღვრების დაცვისა და რეგიონზე კონტროლის დამყარების მიზნით. მათი სხვა მონათესავე დაჯგუფება ხაზარებმავე მდინარე სევერსკი დონეცის აუზში დაასახლეს. აღნიშნული ჰიპოთეზა მოითხოვს საკითხის უფრო ვრცლად განხილვას.

მეცნიერები დიდი ხანია იკვლევენ ჩრდილოკავკასიელი, პირველ რიგში ადიღურენოვანი ტომების თანამედროვე მატერიკული უკრაინის ტერიტორიაზე განსახლების პრობლემას, რამაც დღის წესრიგში დააყენა სხვა საკამათო საკითხების გადაწყვეტის აუც-

ილებლობა. საქმე ეხება უძველეს პერიოდში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის კონტაქტებს. ამ კონტაქტების არსებობას არავინ უარყოფს, რისი დადასტურებაცაა ზოგიერთი ჰიდრონიმი, აგრეთვე, ლინგვისტური და არქეოლოგიური ხასიათის მასალები, რომელთა ახსნა შუა საუკუნეებისა და უფრო გვიანდელი ხანის რეალიებით შეუძლებელია. მაგრამ უცნობია რა მიმართულებით მიმდინარეობდა ეს ურთიერთქმედებები: ან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში იმთავითვე ცხოვრობდა კავკასიურენოვანი მოსახლეობა, რომელიც მოსული ინდოევროპელების მიერ ასიმილირებულ იქნა, ან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ინდოევროპულ გარემოში კავკასიურენოვანი ჯგუფები პერიოდულად გადასახლდნენ. სამწუხაროდ, არსებული მონაცემების საფუძველზე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. ამასთან, ძალზე პრობლემატური აღმოჩნდა III-VII საუკუნეებში (ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქა) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღიდურენოვანი ჯგუფების დასახლების საკითხი. თუმცა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში არ იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან აღიღთა მიგრაცია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. მაგრამ წყაროთა უკმარისობა ამის მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევა.

სამაგიეროდ, მეცნიერები დარწმუნებით წერენ ხაზარების დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან თანამედროვე სამხრეთ უკრაინის ტერიტორიაზე აღიღთა გადასახლების შესახებ [საკითხისა და ლიტერატურის შესახებ იხ.: О. Б. Бугенюк. Адыги в Северном причерноморье. Киев 2019]. აქვე უნდა ითქვას, რომ VIII-X საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც კასოგები მკვიდრობდნენ, დაკრძალვის კრემაციული წესი ვრცელდება. იმავდროულად ასეთივე წესს მისდევდა ახლომონათესავე ხალხი, რომელიც ხაზართა კაგანატის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, სევერსკი დონეცის აუზში ცხოვრობდა.

კასოგები იხსენიებიან ძველრუსულ მატიაწეებში იქ, სადაც საუბარია 965 წელს სვიატოსლავის ლაშქრობაზე ხაზარების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ძველრუსულ წყაროებში არის ცნობები 1022 წელს ტმუტარაკნელი თავადის, მსტისლავის, ლაშქრობაზე კასოგების წინააღმდეგ და ტმუტარაკნელი თავადის, როსტისლა-

ვის, მიერ მათგან ხარკის აღების თაობაზე, რაც იმაზე მოწმობს, რომ XII საუკუნეში კასოგები ტმუტარაკანის რუსული სამფლობელოს ახლოს ცხოვრობდნენ. რუსული მათიანეები კასოგთა შესახებ გვამცნობენ 1223 წელს, როცა ჩრდილოეთ კავკასიას მონღოლთა პირველი თავდასხმა დაატყდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული წყაროები ამ ეთნონიმის ორ ვარიანტს – კასოგსა და კოსოგს – იყენებს, რაც დიალექტურ სხვაობაზე უნდა მიუთითებდეს.

X საუკუნის ბოლოს „ხუდუდ ალ-ალემის“ ტრაქტატის უცნობი სპარსულენოვანი ავტორის ცნობით, ალანების ქვეყანაში შავი ზღვის სანაპიროზე ლოკალიზდება ქალაქი კასეკი [ხუდუდ ალ-ალემი 1930 : 31]. როგორც ვხედავთ, X საუკუნეში ეთნოტოპონიმი კასეკი უკვე ალანთა ქვეყანაში მდებარეობს, რაც სრულიად ემთხვევა ალ-მასუდის უფრო ადრინდელ ინფორმაციას კაშაკების მიწებზე ალანთა თავდასხმების შესახებ (მინორსკი: 1963, 206), რაც საბოლოო ჯამში ალანების მიერ კასოგების დამორჩილებით უნდა დასრულებულიყო.

ცნობილია, რომ კავკასიის ალანების შთამომავალი ოსები ყაბარდოელებს დღემდე ქასეგს, ქასგონს უწოდებენ ვოლკოვა 1973 : 20; 21]. მოცემული ეთნონიმის ოსურმა დაბოლოებამ გ. ტურჩანინოვს საფუძველი მისცა, რომ ამ ეთნიკური ტერმინის აღმოსავლელ სლავებში გავრცელება ალანთა მეშვეობით მოხდა [ტურჩანინოვი 1971 : 75]. შესაბამისად, აღმოსავლელმა სლავებმა, ბიზანტიელებმა, არაბებმა, სპარსელებმა და სხვა ხალხებმა ეთნონიმი კასოგი ალანებისგან ისესხეს.

იმის სასარგებლოდ, რომ ეთნონიმის თავდაპირველი ფორმა იყო კას-, წერილობითი წყაროებიც მოწმობს. ხაზართა მეფის, იოსების, მიერ X საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ წერილში კავკასიელი ალანების სამფლობელოსთან ახლოს ნახსენებია „ქვეყანა კასა“ [კოკოვცოვი 1932 : 100-102], რომლის თაობაზე პ. კოკოვცოვი წერს: „ვესტერბერგის სავსებით დამაჯერებელი ვარაუდით, რომელსაც მარკვარტიც ეთანხმება, ამ სახელის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არაბი გეოგრაფების ქაშაგი ან რუსული მათიანეების კასოგი ხალხი, რომლის სახელი უფრო გვიანდელ არაბულ წყაროებში „კასა“ ფორმით არის მოცემული“ (იქვე, 105, შენიშვნა 14). უკანასკნელად ეთნიკური ჯგუფი კასა კავკასიის ხალხებს შორის

XIII საუკუნის შუა ხანებში პლანო კარპინმა თავის „მონღოლთა ისტორიაში“ ახსენა [პლანო კარპინი 1957 : 72].

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნონიმ კასოგის წარმოშობა მწვავე სამეცნიერო დისკუსიის საგნია; არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა, თუმცა მკვლევართა შორის არცერთი მათგანი ფართო მხარდაჭერით არ სარგებლობს.

ჯერ კიდევ ალ-მასუდი დაინტერესდა ეთნონიმ კაშაკის წარმოშობით და მისი ახსნაც კი სცადა: „მათი სახელწოდება სპარსულად „სიამაყეს“, „ტრაბახს“ ნიშნავს, რამდენადაც ისინი ქედმაღალ, ამაყ ადამიანს კაშაკს უწოდებენ“ [მინორსკი 1963 : 207]. ეს თავის კომენტარებში ვ. მინორსკიმაც დაადასტურა: „სპარსულად კაშ „ამაყი“ (იქვე, შენიშვნა 85). მაგრამ სპარსელების ყოფნა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ისტორიული დოკუმენტებით არ ფიქსირდება და ამიტომაც მკვლევართა მიერ აღნიშნულ სიტყვათა თანაჟღერადობა სათვალავში არ მიიღება.

დღეისათვის სხვაგვარი ახსნები არცთუ მცირეა. მათ შორის, შეიძლება ითქვას, ძალზე თამამია ი. დიაკონოვის ჰიპოთეზა ერთმანეთთან დააკავშიროს ეთნონიმ კასოგისა და ჩრდილო აღმოსავლეთ ანატოლიის ძველი ხალხის კასკას/ქასქას სახელწოდებები შემდეგი არგუმენტებით: „ეთნიკური სახელის – კასკას – მსგავსება ადიღურ-ჩერქეზული ტომების ერთ-ერთ ძველ სახელწოდებასთან (ძველქართული ქაშაქი, ქაშაგი, ძველსომხური გამკი, ბიზანტიურ-ბერძნული კასახია, არაბული კაშაკი, ძველრუსული კასოგი) შეიძლება შემთხვევითიც კი იყოს, მაგრამ იგი მყარდება კასკების ერთ-ერთი ტომის, აბეშლას, სახელით, რომელიც აფხაზთა ძველ სახელწოდებებს ემთხვევა (ბერძნული აფსილი, ძველქართული აფშილი, ძველსომხური აფშილკი, შეადარეთ აფხაზთა თვითსახელწოდება აფსუა ან აფშუა). ცნობილია, რომ ჩერქეზები და აფხაზები ენობრივად აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში ერთიანდებიან, და არ იქნებოდა გასაკვირი, თუ მას კასკებიც განეკუთვნებინა“ [დიაკონოვი 1988 : 118; 119]. მაგრამ ეთნიკური სახელი კასკა წერილობითი წყაროებიდან ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ქრება, ხოლო კასოგები პირველად ახ. წ. I ათასწლეულის დასასრულს იხსენიებიან, ანუ მთელი 1500 წლის შემდეგ. ამდენად, ეს ქრონოლოგიური წყვეტა, შეუძლებელს ხდის ი. დიაკონოვ-

ის ჰიპოთეზის მხარდაჭერას. იმავე წინააღმდეგობას ვაწყდებით აბეშლა და აფსილ/აფშილ ეთნონიმთა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ახ. წ. I-II საუკუნეების რომაულ წერილობით ძეგლებში ნახსენები აფსილის, ისევე როგორც ძვ. წ. XII საუკუნეში ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში მოცემული აბეშლა ეთნონიმის (თუკი ამ უკანასკნელის აფშილთან კავშირი [იხ. აფხაზავა 1998 : 11] საბოლოოდ დადგინდება) წყარო აშკარად ქართულია: მიღებულია აფხაზთა აფსუა (შესაძლო ვარიანტი: აფშუა) თვითსახელწოდების აფს- (აფშ-) ძირზე ქართული სუფიქსის დართვით. ამდენად, დღეისათვის დანამდვილებით ვიცით, რომ აღნიშნული ეთნიკური ტერმინები ეგზოეთნონიმებს წარმოადგენს.

კ. მენგესი ეთნონიმ კასოგს შემდეგნაირად ხსნიდა: „ეს სახელი ძველრუსულ ენაში მოხვდა პირდაპირი გზით ან ალან-აორსების მეშვეობით. ალანთა შთამომავალი ოსების ენაში სიტყვა შემონახულია კასაგის ფორმით, აღნიშნავს რა ჩერქეზს ან ყაბარდოელს. შეუძლებელია დადგინდეს, არის თუ არა ეს სიტყვა ოსურში აქტიური მიმღეობა აწმყო დროისა (კას-აგ „მაყურებელი“ სიტყვიდან კას-ინ „ყურება“), თუ აღიღთა სახელი ხალხურ-ეტიმოლოგიური წარმონაქმნია ოსურ ნიადაგზე“ [მენგესი 1979 : 195-196]. კ. მენგესი ვ. აბაევის ნაშრომს იმოწმებს, მაგრამ ეს უკანასკნელი თავად აღნიშნავს, რომ „ამ ტერმინის წარმომავლობა დადგენილი არაა“ [აბაევი 1958 : 588-589].

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ნ. ვოლკოვაც, რომელიც აღიღთა ძველი ეთნიკური სახელების – ზიხისა და კასოგის – გავრცელებასთან დაკავშირებით წერდა: „ტერმინთა ასეთი გენეტიკური კავშირი რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში... არ ნიშნავს, რომ ძველი ეთნონიმები ზიხი და კასოგი აღიღურ ეთნოსს მიემართებოდა. ცნობილია შემთხვევები, როცა ტერმინის ეთნიკური შინაარსი უფრო მოკლე ისტორიულ პერიოდშიც იცვლებოდა“ [ვოლკოვა 1973 : 19-21].

ეთნონიმ კასოგის წარმომავლობის თაობაზე სხვა ჰიპოთეზაც არსებობს.

მკვლევართა ნაწილის აზრით, ეთნონიმ კასოგის კას- ძირი უკავშირდება საერთოთურქულ სიტყვას კას (კოსა) „მომთაბარეო-

ბა“. აქვე უნდა ითქვას, რომ ადრეული შუასაუკუნეების წყაროებში ფიქსირდება ხაზარების თავდაპირველი სახელის ერთ-ერთი ვარიანტი კოსა [არტამონოვი 1962 : 114]. ვ. რადლოვის მიერ შედგენილ თურქული კილოების ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა „კოს=კოჩ „გადასახლება, მომთაბარეობა“ [რადლოვი 1899 : 1233]. „უეჭველია, რომ თავდაპირველად ტერმინი კას- (კოს-) თურქული მოდგმის ბევრი ხალხის თვითსახელწოდებას წარმოადგენდა, მაგრამ დაისმის კითხვა, არის კი არქეოლოგიური მტკიცებულება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადიღურ ტომების გარემოში ეთნონიმ კას-ის მატარებელთა შედგენის შესახებ?“ [ბუბენოვი 2014 : 42]. კითხვაზე პასუხის გასაცემად მეცნიერი მკვლევარ-არქეოლოგთა მონაცემებს ეყრდნობა.

VIII-X საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიური ძეგლების დახასიათებისას ა. გადლო მისი დასავლეთის ნაწილის შესახებ აღნიშნავს: „სამხრეთ-დასავლეთ რაიონის არქეოლოგიური ძეგლები წარმოგვიდგენენ ადიღურ ტომებს, იმ ზიხურ-კასოგურ გაერთიანებას, რომელიც წერილობით წყაროებში ფიქსირდება. ამ რაიონის მატერიალური კულტურის განსაკუთრებულობა, რაც ადიღური ტომების ტერიტორიულ თავისებურებას გამოხატავს, მისი მრავალვარიანტულობაა. აქ ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული ყირიმის შავიზღვისპირულ ბიზანტიური, ტამანისა და აზოვისპირეთის სალტოვო-მაიაცკის, ლაბისა და ზელენჩუყის ორმდინარეთის კულტურების ელემენტები. შუა საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონების მსგავსად, აქ ერთდროულად თანაარსებობს დაკრძალვის რამდენიმე განსხვავებული ფორმა, რაც ნათლად გამოხატავს ადიღების ეთნიკური და იდეოლოგიური კონსოლიდაციის დაუსრულებლობას“ [გადლო 1979 : 199-200].

ი. გავრიტუხინისა და ა. პიანკოვის დაკვირვებებით, VIII-IX საუკუნეების ჩრდილო დასავლეთ შავიზღვისპირეთში გარდა ინჰუმაციური სამარხებისა, დაკრძალვის ახალი, კრემაციული წესი ჩნდება [გავრიტუხინი, პიანკოვი 2003 : 195-200]. გამოთქმულია მოსაზრება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კრემაციის წესის მატარებელთა „კასოგურ“ წარმომავლობაზე, რამდენადაც შუა საუკუნეების ავტორების ცნობით, იქ X საუკუნის პირველ ნახევარში კასოგები ცხოვრობენ [პიანკოვი 2001 : 204-205]. საინტერესოა ალ-

მასუდის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, ქაშაკები „მაგების რელიგიას მისდევნ“ [მინორსკი 1965 : 2006]. ამის თაობაზე ა. პიანკოვი აღნიშნავს: „... მასუდის ინფორმაცია განეკუთვნებოდა არა კასოგებს, არამედ ზიხებს. მაგრამ რამდენადაც ზიხებისათვის მიცვალებულთა კრემაცია დამახასიათებელი არ იყო, მასუდის ეს ცნობა შესაძლებელია მხოლოდ კასოგებს ეხებოდა“ [პიანკოვი 2001 : 205].

როგორც ვხედავთ, VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნონიმი კასოგი და დაკრძალვის კრემაციული წესი პრაქტიკულად ერთდროულად ჩნდება. ო. ბუბენოკის ვარაუდით, „არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ტერმინი კასოგი წარმოადგენდა ყუბანისპირეთის თურქულ-ადიღური მოსახლეობის განზოგადებელ სახელწოდებას... ასეთი სიმბიოზის შესაძლებლობაზე უნდა მოწმობდეს ბორისოვოს სამარხი ზელენჩუყთან ახლოს, სადაც ხაზარული პერიოდის მონაკვეთზე გვხვდება არამართო კრემაციის, არამედ ადგილობრივი ტრადიციის შესაბამისი ინჰუმაციის ჩვეულებაც [ბუბენოკი 2014 : 44].

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის კრემაციის წესთან ძალზე ახლოსაა სევერსკი დონეცის აუზის ხაზარული პერიოდის კრემაციული სამარხები და იქ აღმოჩენილი ინვენტარი, რის საფუძველზეც ასკვნიან, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და სევერსკი დონეცის მოსახლეობა კავალერიაში სამხედრო სამსახურთან იყო დაკავშირებული, ანუ უშუალო კავშირი ჰქონდა სტეპურ ცხოვრებასთან.

ამგვარად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ბორისოვოსა და დონის აუზში მდებარე არტუგანოვოს სამარხების მონაცემებისა და რუსული წყაროების ცნობების საფუძველზე ასკვნიან, რომ VIII საუკუნის პირველ ნახევარში ხაზართა მიერ ჩრდილოეთ კავკასიიდან დონისპირეთში, ალანებისა და ბოლგარელების გარდა, გადასახლებულ იქნა მათ მორჩილებაში მყოფი ზიხ კასოგების ერთ-ერთი ტომი, რომლის კონტროლი ძალზე რთული იყო; მათ ადგილზე კი მომთაბარეების ერთგული ნაწილი დაასახლეს. უნდა აღინიშნოს, რომ ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთით, ადიღთა სამკვიდრო ტერიტორიის მეზობლად გადიოდა ხაზართა კაგანატის საზღვარი, და ამ მონაკვეთს, რომელიც ქერჩის სრუტესთან

ახლოს მდებარეობდა, ხაზარებითვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მდინარე დონის ვიწროებში ადიღთა ყოფნა პასუხობდა ხაზარების სტრატეგიულ ინტერესებს, რაც დაკავშირებული იყო კავკასიის მიმართულებით მოსალოდნელი თავდასხმების მოგერიებასთან. „ხალხთა გადასახლების პოლიტიკის განხორციელებით, ხაზარები თავიანთ მნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტდნენ: 1) ასუსტებდნენ ქვეშევრდომთა სეპარატიზმს; 2) გადასახლებულთა ხარჯზე ამაგრებდნენ ხაზართა კაგანატის ახალ საზღვრებს...“ [ბუბენოვი 2019 : 154].

ალ-მასუდი აღწერს IX-X საუკუნეების მიჯნაზე ადიღებში შექმნილ სიტუაციას: „აღანებთან შედარებით ქაშაკების სისუსტის მიზეზი ისაა, რომ მათ არ ჰყავთ მეფე, რომელიც ამ ხალხს გაერთიანებდა და მის სიტყვას დაუჯერებდნენ“ [მინორსკი 1963 : 206]. საეჭვო არაა, რომ ადიღები ცალკეულ ტომებად იყვნენ დაქუცმაცებულნი ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, როცა ხაზარებმა თავიანთ საზღვრებზე სტაბილიზაციის დონისძიებების განხორციელება დაიწყეს. შექმნილი სიტუაცია ეწინააღმდეგებოდა მათ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. ბუნებრივია, 215 რომ ერთიანი მმართველობის არარსებობის პირობებში ადიღები ხაზარების სასარგებლოდ არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამიტომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ადიღებში ხაზართა ხაკანის ერთგული ხალხის ჩანერგვა და იქ მისი რწმუნებულის დანიშვნა იყო. ადიღურ-თურქული გაერთიანებით ჩამოყალიბებული, აწ უკვე კასოგებად ქცეული ხალხის გარემოში განხორციელებულმა რეფორმებმა, როგორც ჩანს, სასურველი შედეგი გამოიღო, რასაც ხაზართა მეფის, იოსების, წერილი მოწმობს: „...კასას ქვეყნის მკვიდრნი და კუსტანდინის ზღვამდე მცხოვრები ყველა ტომი მე ხარკს მიხდის...“ [კოკოვცოვი 1932 : 100-102].

საინტერესოა რა ტიტულს ატარებდა შერეული პოლიტიკური ალიანსის მმართველი – ხაკანის რწმუნებული. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ა. გადლოს დაკვირვება: „ჩრდილოეთ კავკასიის ადიღებში შემონახულია გენეალოგიური გადმოცემა, რომელიც მსხვილი თავადური დინასტიებისა და არისტოკრატების წინაპარზე მოგვითხრობს. გადმოცემა მათ პირველწინაპრად

ასახელებს ინალს, რომელსაც ადიღურ ტომთა გაერთიანება, ადმინისტრაცი ული და სასამართლო რეფორმების განხორციელება და ალან-ოსებსა და აფხაზებზე გამარჯვება მიეწერება. გადმოცემაში საუბარია იმაზეც, რომ ინალის მოღვაწეობამ გაგრძელება ვერ ჰპოვა და ყველა წამოწყება ჩაშალეს მისმა ვაჟებმა, რომელთა წინააღმდეგ ადიღებმა აჯანყება მოაწყვეს. რუსულ წყაროებში ინალი ცნობილი იყო სახელით აკაბგუ. ეს ტერმინი იგივე, რაც თურქულ ხაზარული მაკ-მაბგუ, ფართოდ გავრცელებული I ათასწლეულის მეორე ნახევარში. სახელი ინალი სოციალური ტერმინიც იყო და გამოიყენებოდა როგორც თურქულში, ისე ხაზართა კაგანატში. ადიღურ ფოლკლორში გადმოცემულმა ამ ვითარებამ, სხვა რეალიებთან ერთად, საშუალება მოგვცა გვევარაუდა, რომ ინალის შესახებ გადმოცემაში შემონახულია მოგონება ადიღთა დროებით კონსოლიდაციაზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის წინეთის ტერიტორიაზე ხაზარული კაგანატის წარმომადგენლის მოღვაწეობას ემთხვევა“ [გადლო 1979 : 195].

ტიტული მაკ-მაბგუ თურქული სიტყვაა და ითარგმნება, როგოც „თეთრი (დასავლეთის) მაბგუ“. სომხური წყაროები აღმოსავლეთ კავკასიაში აფიქსირებენ ტიტულების – შადისა და ჯმაბუს – მატარებლებს VII საუკუნეში, ე. ი. მაშინ, როცა ხაზართა მიწები ჯერ კიდევ თურქული კაგანატის შემადგენელი ნაწილი იყო. ა. ნოვოსელცევის აზრით, VII საუკუნის დასაწყისში, ანუ დასავლურ-თურქულ კაგანატში ხაზარეთის შესვლის დროს, შადისა და მაბგუს ტიტულებს ატარებდა ხაზარეთის 2 ყველაზე მსხვილი წარჩინებული, და ისინი ხაკანის ნათესავები იყვნენ [ნოვოსელცევი 1990 : 139]. ა. ბერნშტამის მონაცემებით, აღნიშნული ტიტულები ენიჭებოდათ ხაკანის გვარის წარმომადგენლებს; ინიშნებოდნენ მეფისნაცვლებად გარკვეულ ტომებში და ომის შემთხვევაში, შესაბამისად, მარცხენა და მარჯვენა ფლანგებს სარდლობდნენ [ბერნშტამი 1946 : 111].

ამგვარად, სპეციალისტთა აზრით, ეთნონიმი კასოგ-ი თუ კასი ხაზარულ პერიოდში გამოიყენებოდა არამარტო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადიღურენოვანი მოსახლეობის აღსანიშნავად, არამედ წარმოადგენდა იმ მომთაბარე ხალხის თავდაპირველ სახელწოდებას, რომელიც VIII-IX საუკუნეებში ხაზარულმა ადმინის-

ტრადიამ კაგანატის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის სტაბილიზაციის მიზნით ადიღურ გარემოში ჩანერგა. სავსებით სარწმუნოდ მიაჩნიათ, რომ ეს იყო მოსულების თურქული წარმომავლობის თვითსახელწოდება, რომელიც მათ თავიანთ ქვეშევრდომ ადიღებზეც გაავრცელეს. მოსულებს უკავშირებენ ზემონახსენებ ბორისოვოსა და დდურსოს კრემაციულ სამარხებს, ხოლო ადგილობრივ ადიღურ მოსახლეობას – ინჰუმაციურ სამარხებს ქვის ყუთებში. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფიქრობენ, რომ კრემაციული 216 კულტურის მატარებელთა ახლომონათესავე მოსახლეობა კაგანატის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, სევერსკი დონეცის აუზში ცხოვრობდა, ასრულებდა რა იქ იმავე ფუნქციას ადგილობრივ ალანურ და ბოლგარულ გარემოში; იმავდროულად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ერთ-ერთი ავტოქთონი ტომი ხაზარების მიერ გადასახლებულ იქნა მდინარე დონის ქვემოწელში. საბოლოოდ ასკვნიან, რომ ხაზარების დროს კასოგ ტერმინით ცნობილი უნდა ყოფილიყო ხაზართა კაგანატის პოლიეთნიკური (თურქულ-ადიღური) მოსახლეობა [ბუბენოვი 2019 : 158-159].

ასეთია „კასკა“ (შესაძლოა ქასქა/ქაშქა), „კასოგ“, „ქესეგ“, „ქაშაგ-ი“ ეთნონიმების შეპირის პირების შედეგად დამკვიდრებული ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, რომელიც დღემდე სადისკუსიო პრობლემაა.

საქმე ისაა, რომ თუ ბერძნული კასახია, რუსული კასოგი, ოსური ქესეგი, ქართული ქაშაგი მცირეაზიელ კასკებს/ქასქებს გულისხმობს, დაისმის კითხვა: რატომ არ იხსენიებიან ისინი წერილობით წყაროებში ახ. წ. X საუკუნემდე, ანუ თითქმის მთელი 1.5 ათასი წლის განმავლობაში, მითუმეტეს, იმ შემთხვევაში, როგორც ამას ბ. ბლაჟნოევი ასკვნის, თუ „კასკა/ქასქა“ ეთნონიმი ე. წ. მაიკოპურ-ანატოლიური ტომების (უფრო ზუსტად პროტოადიღურ-ხათური ტომების) გარესახელწოდების (ეგზოეთნონიმის) ფუნქციას ასრულებდა. ზემომითითებული დრო საკმარისზე მეტია საიმისოდ, რომ კასკებს/ქასქებს ასიმილაცია განეცადათ.

თავი II. ნახური/ვაინახური ჯგუფი

ნახები – ჩეჩნები და ინგუშები – კავკასიის ძირძველი ხალხებია, მცხოვრებნი რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკებში. ეთნონიმი „ჩეჩენი“, რომელიც სოფელ „ჩეჩენ“-ის სახელწოდებიდან მომდინარეობს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვრცელდება [ალიროევი 1994 : 8]. მეორე ნახი/ვაინახი ხალხის ეთნონიმი „ინგუში“ სოფელ ანგუშტის (ანგუშტი = „ადგილი, საიდანაც ჩანს ჰორიზონტი“. – ბაგაევი 1968 : 209) სახელს უკავშირდება; ეთნონიმი პირველად XVIII საუკუნეში ყაბარდოელებში ჩნდება, რომლებისგანაც იგი რუსებმა კავკასიის კოლონიზაციის პერიოდში ისესხეს (კავკასიის ხალხები 1960 : 375).

დღემდე არსებული მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ზემოაღნიშნული ტერიტორიის ეთნიკურ შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება. ამდენად, სახეზეა აბორიგენი მოსახლეობის ეთნიკური და კულტურული განვითარების უწყვეტი ხაზი, რაც არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ამ პროცესში მოსული უცხო ჯგუფების გარკვეულ მონაწილეობას ადგილობრივებთან ურთიერთქმედებით. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ეთნოსის ისტორიის ადრეული ეტაპებისა და ეთნოგენეზის კვლევისას შეუძლებელია შემოვიფარგლოთ მოცემული ხალხის თანამედროვე საცხოვრისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრებით, რადგან ეთნიკური ტერიტორიის პერიოდული ცვლილება (გაფართოება, შემცირება, გადასახლება) ძველ ეპოქებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

აქვე შევჩერდებით ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: მაშინ, როცა ჩეჩნებისა და ინგუშების წარმოშობა ერთიანი ნახური ეთნოტერიტორიული მასივის ბაზაზე ეჭვს არ იწვევს, განსხვავებით ჩეჩნური ტრადიციული ისტორიოგრაფიისგან, ინგუში მეცნიერები საკუთარი ხალხის ადრეული ეთნოგენეზის პრობლემას ცალკე გამოყოფენ, რაც მუდმივი დისკუსიის საგნად რჩება. რა თქმა უნდა, გვი-

ანი შუასაუკუნეების ისტორია, ანუ XVI-XVII საუკუნეებში მთიანეთიდან ბარში ინგუშთა იძულებითი გადასახლებისა (რაც რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკით იყო გამოწვეული) და რამდენიმე დასავლურვაინახური საზოგადოების კონსოლიდაციით ინგუში ეთნოსის ფორმირების დაწყების პერიოდი, ცალკე უნდა განიხილებოდეს. ერთიანი ნახური/ვაინახური ეთნომასივის საბოლოო დაშლა ჩეჩნებად და ინგუშებად, ანუ ამ უკანასკნელთა ცალკე ხალხად ჩამოყალიბება, სავარაუდოდ XVIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. ამიტომ მათი დამოუკიდებელი ისტორიებიც ამ დროიდან უნდა დაიწყოს.

შუეძლებელია არ დავეთანხმეთ ჩეჩენ მეცნიერს: „თუ ჩვენ ვსაუბრობთ ორ ახლომონათესავე ხალხზე, ბუნებრივია, უნდა იყოს ერთი ხალხი, რომლისგანაც ეს ორი ხალხი წარმოიშვა. აუცილებელია გავერკვეთ, როდის განიყვნენ ისინი, და იმ დროიდან ვილაპარაკოთ ჩეჩნებისა და ინგუშების, როგორც დამოუკიდებელი ხალხების, ისტორიაზე“ (უმხაევი 2018 : 892). სხვა ჩეჩენი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ჩეჩენი ხალხის ეთნოგენეზი ბოლო დროის ცალკეული ავტორების პოლიტიკური სპეკულაციის ერთ-ერთი თემა გახდა. „ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ავტორები, – წერს იგი, – იმაზეც კი თანხმდებიან, რომ ჩეჩნები წარმოადგენენ ინგუშებისგან შობილ ეთნიკურ წარმონაქმნს. ფაქტები მოწმობს, რომ ინგუშები, როგორც დამოუკიდებელი ხალხი, რიგი დასავლური საზოგადოებების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ, ამასთან, მათ ეროვნულ კონსოლიდაციაში გადამწყვეტი როლი ორმა ფაქტორმა ითამაშა. პირველ რიგში, ესაა დაბლობის კოლონიზაცია, რომელიც ჩეჩნურ კოლონიზაციამდე დაახლოებით ორი საუკუნით გვიან დაიწყო; მეორე ფაქტორია ჩეჩნებისაგან ხელოვნური ტერიტორიული განცალკევება, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკის „ჩეჩნური“ მიმართულების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი იყო. XIX საუკუნის განმავლობაში განცალკევებულმა განვითარებამ შედეგად მოგვცა არამართო ჩეჩნური ბარის მეტყველებისა და ინგუშური ენის შემდგომი დაშორება, არამედ დამოუკიდებელი ინგუში ხალხის ფორმირების დაწყება. ამასთან, ჩეჩნებისა და ინგუშების ეთნიკური გამიჯვნა მხოლოდ ახლალა სრულდება“ (სიგაური 2005 : 504).

მაინც რა გახდა ჩეჩენტა და ინგუშთა განყოფის მიზეზი?

ჩეჩნებისა და ინგუშების საბოლოო გაუცხოების პროცესი, დაწყებული რელიგიური უთანხმოებით, რუსეთის ქვეშევრდომობის აქტზე ინგუშების ხელმოწერით გაძლიერდა. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ, მიისწრაფოდა რა სამხრეთ კავკასიისა და სპარსეთის ყურისკენ, ჩრდილოეთ კავკასიის „ათვისება“ დაიწყო. ცარიზმის სამხედრო ადმინისტრაცია აღნიშნული პროცესის ხელის შემწყობის, ამ დრომდე ერთიანი ვაინახური საზოგადოებების ერთმანეთზე გადაკიდების, წამქეზებლის როლს თამაშობდა. აი, რას წერს ამაზე პ. ბუტკოვი: „იმ დროს მოქმედებდა ძველ რომაელთა წესი, რაც გულისხმობდა კავკასიის ხალხების ერთმანეთთან დაპირისპირებას, რათა ჩვენ უფრო მშვიდად ვყოფილიყავით“ (ბუტკოვი 1869 : 148).

* * *

მიუხედავად მცდელობებისა, ნახური მოდგმის ხალხების ეთნოგენეზი და მათი ძველი ისტორია დღემდე შეუსწავლელ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ის, რაც ამ თვალსაზრისით ჩეჩნურ და ინგუშურ ისტორიოგრაფიას გააჩნია, ძირითადად არქეოლოგიურ კვლევებს ეფუძნება, ხოლო ნახების ადრეული ისტორიის შესახებ აფხაზი მეცნიერის, გ. გუმბას, ნაშრომები, განსაკუთრებით ფუნდამენტურ გამოკვლევად მიჩნეული მონოგრაფია, რომელიც უპირატესად ძველსომხური, ძველქართული და ძველბერძნული წყაროების მწირ ცნობებს ეყრდნობა, შეიძლება ითქვას, ძალზე ტენდენციურია და, იქ თავმოყრილ სიყალბეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნაშრომი მოცემული ეთნოლინგვისტური ჯგუფის ისტორიის განდიდების იშვიათი ნიმუშია. [იხ. გუმბა 2017]. სხვა რა უნდა ეწოდოს იმ ფაქტს, რომ გ. გუმბას მიერ წახალისებული ჩეჩენი და ინგუში მეცნიერები არამარტო ძვ. წ. II ათასწლეულის ყობანური კულტურის, არამედ მისი თანადროული კოლხური კულტურის შექმნასაც ნახებს მიაწერენ.

ნახთა წარმოშობის, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში შექმნილი პრობლემები ფაქტიურად სათანადო წყაროების არარსებობით არის განპირობებული. ამ სიცარიელის შესავსებად ფასდაუდებელი იქნებოდა ჩეჩენ ავტორთა მი-

ერ არაბული გრაფიკით ჩეჩნურ და არაბულ ენებზე შედგენილი ქრონიკები, უპირატესად თეიფური მატიანეები (თაიფან თეფთარები). ჩეჩნური ტრადიციით, ყოველ მსხვილ თეიფში სისტემატურად იწერებოდა და პერიოდულად ივსებოდა საკუთარი მატიანე (ისტორია), რაზედაც XVIII-XX საუკუნეების ბევრი ავტორი მიუთითებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს შუა საუკუნეებისა და ახალი პერიოდის ჩეჩენი ავტორების არაბულენოვანი ისტორიული ხასიათის ნაშრომები, მათ შორის არსანუყო-ხაჯი ცენტოროევსკის ხელნაწერი „ჩეჩენტა წარმოშობის შესახებ“ (სარაკაევი 1912, № 4297). სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი და ზემოაღნიშნული სხვა ხელნაწერები, რომლებიც თანამედროვე მკვლევრებისთვის ჩეჩენტა წარსულის, განსაკუთრებით მათი ძველი და ახალი ისტორიის, შესასწავლად მნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა, მიზანმიმართულად არის განადგურებული.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლებამ 1944 წლის 23 თებერვალს ჩეჩნები და ინგუშები შუა აზიასა და ყაზახეთში ძალდატანებით გადაასახლა და ბრძანება გასცა, მოესპოთ ყველაფერი, რაც ამ ხალხების არსებობის შესახებ ხსოვნას ინახავდა. ამ ბრძანებით ნადგურდებოდა ყველა ხელნაწერი, იშვიათი წიგნები და არქივები, ფოლკლორული ტექსტების ჩანაწერები, პრაქტიკულად ნებისმიერი ლიტერატურა და პერიოდული გამოცემა, რომლებშიც ჩეჩნები და ინგუშები იყვნენ ნახსენებნი; მთებში აფეთქებდნენ შუა საუკუნეების უნიკალურ კოშკურ არქიტექტურას (ნახების სიამაყეს), სასაფლაოებს, წარწერებიან მემორიალურ ძეგლებს. გაქრა მათი ხსენება ისტორიული რუკებიდან; შეიცვალა ტოპონიმიკური სახელწოდებებიც. თვითმხილველთა ცნობით, ჩეჩნურ თეფთარებს გროზნოს ცენტრში ეზიდებოდნენ და სახალხოდ წვავდნენ. ეს რეპრესიები იყო არამარტო ნახური კულტურისათვის დიდი, გამოუსწორებელი ზიანის მიყენება [ვინოგრადოვი 1963: 7], არამედ ნახური მოდგმის ხალხების გენოციდის მცდელობა.

* * *

დღეისათვის არქეოლოგების მიერ სავსებით დამაჯერებლად დაადადგენილი, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ძვ. წ.

VII-V ათასწლეულებში ადრესამიწათმოქმედო კულტურა ჩამოყალიბდა, ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობდა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობა (გაჯიევი, მაგომედოვი 1996: 91).

3. ალექსეევის ანთროპოლოგიური კვლევები შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნული დრო ემთხვევა საერთო კავკასიონური ტიპისგან პოპულაციის ნახური ჯგუფის გამოყოფის პერიოდს (ალექსეევი 1974: 184-207; მისივე: 1996 : 135-136). როგორც ჩანს, დაახლოებით ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში დაღესტანსა, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ყალიბდება ნახურ-დაღესტნურ ენებზე მოლაპარაკე ეთნიკური მასივი (გაჯიევი, მაგომედოვი 1996: 244], რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულში დაიშალა [მუნჩაევი 1975: 413]. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოცალკევდნენ საკუთრივ პროტონახური ჯგუფები. ამავე პერიოდში წარმოქმნილმა ტომობრივმა ორგანიზაციამ ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეთნიკურ კონსოლიდაციაში. როგორც მიიჩნევა, ტომი მკვიდრად აერთიანებდა მოსახლეობის უფრო ფართო წრეს, ვიდრე გვარი, და ხელს უწყობდა პატარა საგვარეულო ჯგუფების მჭიდროდ შეკვრას. ტომის შიგნით თემთა კავშირები, მათი დინამიკურობა და თვით ამ თემების ფორმაცვლილება მთელი ტომის ეთნიკური ნიშან-თვისებების სწრაფ უნიფიკაციას იწვევდა, რაც მას თანდათანობით ერთიან ეთნიკურ ჯგუფად გარდაქმნიდა (გენინგი 1970: 91).

ძვ. წ. III-I ათასწლეულების არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ნახურმა საზოგადოებამ II ათასწლეულის დასაწყისში საზოგადოებრივი შრომის განაწილების სამივე სტადია გაიარა, რაც უეჭველად ეკონომიკური განვითარების პროგრესს წარმოადგენს; ეს კი საშუალებას გვაძლევს სოციალურ სფეროში ორი მიმართულება გამოვავლინოთ: ერთი მხრივ ფორმირება ტომებისა და ეთნიკური ჯგუფებისა, რომლებიც ერთმანეთთან მეტ-ნაკლები სიმყარის სხვადასხვაგვარი, მათ შორის პოლიტიკური, ინტერესებით არიან შეკავშირებულნი, მეორე მხრივ კი, ვრცელი ოლქების (ზონების) ჩამოყალიბება მეურნეობის მსგავსი ტიპების საფუძველზე (კოზენკოვა 2018 : 593).

პირველი ტენდენცია მნიშვნელოვნად ვლინდება საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის ტრანსფორმაციაში, მეორე – მე-

ურნეობის დარგების სპეციალიზაციასა და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში. საბოლოო ჯამში, ამ კავშირების ზრდა ტომების დაახლოებასა და ერთიანი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. (გენინგი 1970 : 94).

ამდენად, არსებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი ძირძველი ეთნოსის ფორმირების პროცესი შესაძლოა დაიწყო ძვ. წ. III ათასწლეულში და დამთავრდა დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ნახების ჩამოყალიბებით.

ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველა არქეოლოგიური კულტურა, უპირატესად ფართოდ ცნობილი ყობანური კულტურის არქეოლოგიური ძეგლების აღმოსავლური ვარიანტი (ძვ. წ. XI-XIV სს.), რომლის გავრცელების ტერიტორია, ჰიდროგეოგრაფიული თვალსაზრისით, მოიცავს არღუნ-სუნჯის მონაკვეთს, თანამედროვე ჩეჩნეთის მაღალმთიანეთის, მთისწინეთისა და ბარის ზონების ჩათვლით. ძალზე სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა ჩეჩნეთში გამოვლენილი იმავე პერიოდის სერჟენ-იურთის კომპლექსი – დასახლება და სამაროვანი. მთლიანობაში არქეოლოგიური გათხრებით მიღებულ მონაცემებს ისტორიული მოწმობის ძალა გააჩნია და წარმოადგენს სრულფასოვან წყაროს აბორიგენი მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროს რეტროსპექტული სურათის შესაქმნელად.

თავის დროზე, ინგუშურ კულტურაში ყობანური კულტურის კომპონენტების ტრადიციაზე წერდა კავკასიის სიძველეთა ჩინებული მცოდნე ე. კრუპნოვი, რომელიც, მაგალითად, მიუთითებდა, რომ ყობანური კულტურის ქვის ყუთის ფორმის ტიპური სამარხი ინგუშეთში XVIII საუკუნემდე არსებობდა.

ზემოაღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს თანამედროვე ჩეჩნებისა და ინგუშების კულტურის პირდაპირ, უფრო ზუსტად, სწორხაზოვან კავშირს 5000 წლის წინანდელ კავკასიურ კულტურასთან, მაგრამ სახეზეა შეხების წერტილები, რაზედაც ისტორიული წერილობითი წყაროების ანალიზიც მოწმობს. გადავხედოთ ამ წყაროებს.

ნახები ძველი ავტორების ინტერესთა სფეროში ანტიკური პერიოდიდან მოხვდნენ. ყველაზე დამაჯერებელი ცნობები ჩრდი-

ლოეთ კავკასიაში მცხოვრები ნახური ტომების შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ გვხვდება. მაგალითად, ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩამონათვალში წარმოდგენილი არიან: ტროგლოდიტები (მღვიმელები), ხამეკიტები, ისადიკები, ნაბიანები, პანკსაკები, აორსები [სტრაბონი 1964, XI, V, 7-8], რომლებიც, ე. კრუპნოვის აზრით, ლოკალიზებულნი არიან ვაინახების ქვეყნის მთისწინეთში [კრუპნოვი 1960 : 71-72; 75; 1961 : 42]. კრუპნოვის ამ თვალსაზრისის მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღნიშნეს, რომ ტროგლოდიტებს შორის შესაძლოა ნახებიც იგულისხმებიან [ვინოგრადოვი, ჩოკაევი 1966 : 51]. მათივე აზრით, „ხამეკიტები“ ერთ-ერთი ძველი ნახური ტომია, რომლის ძირითადი დასახლების სახელწოდებაა ხამხი; აგრეთვე, ისადიკები [იქვე, 53-54; 64].

ინგუშური ისტორიოგრაფია ყობანურ კულტურასთან აკავშირებს სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ნახსენებ ეთნონიმ „გარგარებს“ [სტრაბონი 1964, XI : 1-2], რომელიც ე. კრუპნოვის მიერ გაიგივებულია თანამედროვე ინგუშების აღმნიშვნელ „ღალღაი“ (ქართული დღიღვი) ეთნონიმთან [კრუპნოვი 1960 : 70-75; 1961 : 41-42]. მისი აზრით, ტერმინი „გარგარი“ აიხსნება ინგუშური „გარგარ“ და ჩეჩნური „გერგარ“ („ახლობელი, მეზობელი, ნათესავი“) სიტყვებით. მართალია, ჰიპოთეზა „გარგარისა“ და „ღალღაის“ იგივეობის თაობაზე საეჭვოდ არის მიჩნეული, მაგრამ ე. კრუპნოვის ეტიმოლოგია მხარდაჭერილია და მიემართება არა რომელიმე ერთ ტომს, ე. ი. ინგუშებს, არამედ, ზოგადად, ნახებს [დემურიევი 1963 : 38-70; ვინოგრადოვი, ჩოკაევი 2006 : 67; 70]. გარდა ამისა, არის სხვა ეტიმოლოგიაც, რომლის მიხედვითაც „ღალღაი“ ნაწარმოებია სიტყვიდან „ღალა“ („ქალაქი, ციხე-სიმაგრე, კოშკი“) და ნიშნავს „კოშკების მკვიდრთ“. უნდა ითქვას, რომ, მოგვიანებით გამოთქმული ანგარიშგასაწევი მოსაზრებით, გარგარები არიან არა ნახები, არამედ ძველალბანური ტომის ხალხი [გაჩიევი, კუზნეცოვი, ჩეჩენოვი 2006 : 147-148; გაჩიევი 2007 : 34-37].

VII-XI საუკუნეების სომხურ და ქართულ წყაროებში ნახსენებია რამდენიმე ეთნონიმი, რომლებსაც მეცნიერები აღრეული მუასაუკუნეების ვაინახებს უკავშირებენ. მაგალითად, ანანია შირაკაცის (VII ს.) „სომხურ გეოგრაფიაში“ (აღრე მოვსეს ხორენაცს მიეწ-

ერებოდა) ჩამოთვლილ 53 ხალხს შორის მოცემულია ეთნონიმები „ნახჩამატეანქ“ და „კუსტ“, (სომხური გეოგრაფია 1887 : 38), რომელთაგან ნახჩამატეანქი, მკვლევართა აზრით, ჩეჩნურ ტომზე მიუთითებს, ხოლო ქუსტები – ქისტებზე (ჩეჩნები 2012 : 50). ი. დეშერიევის თვალსაზრისით, სიტყვა ნახჩამატეანქ-ი სამი სეგმენტისგან შემდგარი კომპოზიტია – ნახჩა (შდრ. ჩეჩნების თვითსახელწოდება ნახჩო||ნოხჩო), მატ – საერთონახური მოტტ (მუოტტ), ბაცბური – მოტტ „ენა“, ეანქ – ძველსომხური ენის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი. „ამგვარად, – ასკვნის მეცნიერი, – ტერმინი „ნახჩამატეანქ“ მიემართება ჩეჩნებს და აღნიშნავს ჩეჩნურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს (დეშერიევი 1963 : 24-25). საეჭვოა, „სომხური გეოგრაფიის“ „ქუსტი“ ეთნონიმისა და „ქისტის“ იგივეობა, რადგან ამ ნახური მოდგმის ხალხს „ქისტი“ სახელწოდებით, ქართველების გარდა, არავინ იცნობდა, მათ შორის თვით ჩეჩნები და ინგუშებიც კი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გვიან დასახლებული ამ ვაინახური ჯგუფის გარესახელწოდების ავტორები ქართველები არიან. ამიტომ შეუძლებელია VII საუკუნის სომეხ ავტორის ქისტების არსებობის შესახებ ინფორმაცია ჰქონოდა.

„სომხურ გეოგრაფიაში“ ჩამოთვლილ ხალხთა შორის ნახსენებია ეთნონიმი „ცხავატები“, ზოგიერთი მეცნიერის მიერ გაიგივებული ეთნონიმ „ბაცბებთან“, რომელთა ქვეშ, თითქოს, წოვათაში (თუშეთი) მცხოვრები ვაინახური ტომი იგულისხმება [დეშერიევი 1963 : 43; ვინოგრადოვი, ჩოკაევი 1966 : 76-78]. რეალურად ცხავატი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია, მდებარეობს შიდა ქართლში, ახლანდელი ღუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით, სადაც ცხავატელები თეთრი არაგვის ხეობაში ცხოვრობდნენ. მთიულეთში სიტყვა „ცხავატი“ მთაგორიან, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. შუა საუკუნეებში ცხავატისა და ხადის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების გაერთიანების შედეგად მთიულთა ეთნოგრაფიული ჯგუფი ჩამოყალიბდა [ენციკლოპედია 1987 : 247; თოფჩიშვილი 2010 : 59].

სომხურ წყაროში გვხვდება კიდევ ერთი ვაინახური ეთნონიმი – „დურცქ“ [ერემიანი 1939 : 49], რომელიც, შესაძლოა, XI საუკუნის ქართული ქრონიკების „დურძუკი“ იყოს. ქართველები XX სა-

უკუნის პირველ ნახევრამდე ვაინახებს იცნობდნენ, როგორც ღურძუკებს / ძურძუკებს, ღლიღვებსა (მდრ.: ინგუშთა თვითსახელწოდება „დალდაი“) და ქისტებს.

ასეთია წერილობითი წყაროების მწირი ცნობები ნახების/ვაინახების შესახებ.

ნახების/ვაინახების წარმოშობის თაობაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დამკვიდრდა და დღესაც არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი. ერთის თანახმად, ისინი იმ ტომების შთამომავლები არიან, რომლებიც უძველეს წარსულში წინა აზიიდან კავკასიაში გადმოსახლდნენ (პ. უსლარი, კ. თუმანოვი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და სხვ.). თანამედროვეობაშიც არცთუ მცირენი არიან მკვლევრები, რომლებიც ენობრივი პარალელების, აგრეთვე, ეთნონიმებისა და ტოპონიმების მსგავსების საფუძველზე ნახების წინააზიურ წარმომავლობას ემხრობიან. უფრო შორს მიდის ჩეჩენი ისტორიკოსი ს. ჯამირზაევი, რომელიც ამტკიცებს, რომ „თანამედროვე ნახებისა და კავკასიის სხვა ავტოქთონი ხალხების (ქართველების, აფხაზ-ადიგების, ხუნძების ლაკების, ლეზგებისა და სხვ.) წინაპრები ნეოლითის დროიდან, შესაძლოა, გაცილებით ადრეული პერიოდიდან, იკავებდნენ რა კავკასიისა (ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია) და წინა აზიის ვრცელ ტერიტორიას ხურიტული ტომების (ან გენეტიკურად მათი მონათესავე ხალხის) სახით ერთიან ეთნოკულტურულ და ენობრივ მთლიანობას შეადგენდნენ“ [ჯამირზაევი 2009 : 21]. ამგვარად, მისი აზრით, „ნახური ეთნიკური ელემენტის წარმოშობა და შემდგომი ფორმირება დაკავშირებულია კავკასიისა და წინა აზიის (ხურიტების სახით) უძველეს ავტოქთონებთან“ (იქვე).

ასეთივე აზრისაა პროფესორი ყატი ჩოკაევი, რომელიც წერს, რომ „კავკასიის ძველ ტომებს, მათ შორის ვაინახებს, პირდაპირი ნათესაობა აქვთ ძველი წინა აზიის ეთნოსებთან“ [ჩოკაევი 1977 : 5].

შედარებით მრავალრიცხოვანნი არიან მეორე თვალსაზრისის მომხრე მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნახები ჩრდილოეთ კავკასიის ძირძველი, აბორიგენი მოსახლეობაა, ჰქონდათ რა მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კავშირები სამხრეთ კავკასიასთან და წინა აზიასთან. უფრო მეტიც, ამ რეგიონ-

ებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში დროდადრო სახლდებოდნენ სხვადასხვა ტომები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ და გარკვეული როლი ითამაშეს ნახების ეთნოკულტურულ განვითარებაში [გაჯიევი, მაჰომედოვი 1991 : 21].

მიუხედავად ნახურ და ჰური-ურარტულ ენებს შორის გამოვლენილი პარალელებისა, დღეის მდგომარეობით შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ნახური მოდგმის ხალხები ჰურიტებისა და ურარტუელების პირდაპირი შთამომავლები არიან, და ამით პირდაპირი კავშირი გავავლოთ ნახებსა და ურარტუს სამეფოს მოსახლეობას შორის.

„უკანასკნელ ხანებში, – წერს რ. მუნჩაევი, – ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ადრებრინბჯაოს ხანის კულტურა (კულტურები) შექმნილია, ერთი მხრივ, – მახლობელი ადმოსავლეთიდან, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპიდან მოსული ხალხების მიერ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საუბარია აღნიშნული ეპოქის ჩრდილოეთ კავკასიაში სემიტებისა და ინდოევროპელების, აგრეთვე, (ერთი ვერსიით) თურქების, ანუ სამი მსხვილი ენობრივი ოპჯახის წარმომადგენელთა მკვიდრობაზე, გამოირიცხებიან რა საკუთრივ კავკასიელები. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეუძლებელია ყოფილიყო. დაისმის კითხვა: ასეთ შემთხვევაში სად ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიის ძირძველი მოსახლეობა და საერთოდ საიდან და როდის გამოჩნდნენ ისინი კავკასიაში? ჩემთვის ნათელია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ეთნოკულტურული განვითარების პროცესი დაიწყო და მიმდინარეობდა მათ უძველეს ტერიტორიაზე, ამასთან, ბრინჯაოს ეპოქამდე დიდი ხნით ადრე“ [მუნჩაევი 1991 : 6].

საკითხთან დაკავშირებით არანაკლებ კატეგორიულია ცნობილი არქეოლოგ-კავკასიოლოგი ვ. მარკოვინი: „ვაინახებს, კულტურითა და ენობრივი წყობით დაღესტნის ხალხების ახლობებს, უფლება აქვთ აბორიგენ კავკასიელებად იწოდებოდნენ. ისინი არ საჭიროებენ თავიანთი წინაპრები ეგვიპტესა, ინდოეთსა თუ სხვა შორეულ და მახლობელ ქვეყნებში ეძიონ“ (მარკოვინი 1991 : 9).

დღეისათვის, ნახების ადრეული ეთნოგენეზისა და ბრინჯაოს ხანიდან მათი ტერიტორიული განსახლების თვალსაზრისით,

ჩეჩნურ ისტორიოგრაფიაში შემდეგი ჰიპოთეზა დომინირებს: ჩეჩნები ცნობილნი ძველსომხური (VII ს.) და ძველქართული (XI ს.) წერილობითი წყაროებიდან ნახჩემატეანების, ნახების, ღურძუკების/ძურძუკების სახელწოდებებით, წარმოადგენენ თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ძირძველ მოსახლეობას, რომელიც ძვ. წ. III-I ათასწლეულებში იკავებდა დომინირებულ მდგომარეობას ცენტრალურ კავკასიაში, ჰქონდა რა „ძალზე ძლიერი გავლენა სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთზე“.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისი ცენტრალურ კავკასიაში (თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორია) ნახების ადრეული ეთნოგენეზის თაობაზე, დაფუძნებული არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების ანალიზზე, ვფიქრობ, სავსებით გასაზიარებელია, მაგრამ ძვ. წ. III-I ათასწლეულებში პროტონახების „ძალზე ძლიერი გავლენა სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთზე“, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ისევე, როგორც გ. გუმბას მტკიცება, თითქოს, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ყალიბდება ნახების ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ვრცელ ტერიტორიას მოიცავს და რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს სახელმწიფოდ გვევლინება (გუმბა 2018 : 269 ...; მისივე: 2018ა : 25).

მომდევნო თავში სკრუპულოზურად განიხილება ის ეთნიკური მარკერები, რომლებიც ამ ორი ხალხის ეთნონიმებს შეადგენენ და ჩეჩნურ და ინგუშურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მნიშვნელობით არიან წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდულვაჰაბოვა და სხვ. 2019 : L. B. Abdulvahabova, H. B. Navrazova, M. R. Ovhadov, A. D. Vagapov, 2019. On The Afinitiy Of Nostratic And Nakh Languages. – Languages <https://www.europeanproceedings.com>
2. აგლაროვი 2002 : Агларов М. А. Народы Дагестана. 2002.
3. აბაევი 1945 : Абаев В. И. Нартовский эпос // Известия Северо-Осетинского научно исследовательского института. Т. X. Вып. I. Дзауджикау.
4. აბაევი 1958 : Абаев В. И. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. I. Ленинград.
5. აბაშვი 1989 : Абазины. Историко-этнографический очерк. Черкесск.
6. აგათია სქოლასტიკოსი 1936 : აგათია სქოლასტიკოსი // გეორგიკა. ტ. 3. ტფილისი/
7. ადილები 1974 : Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Нальчик.
8. ალექსეევა 1971 : Алексеева Е. П. Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. Москва.
9. ალექსეევი 1974 : Алексеев В. П. Происхождение народов Кавказа. Краниологическое исследование. Москва.
10. ალექსეევი 1996 : Алексеев В. П. Несколько соображений о происхождении ваинахских народов по антропологическим данным // Проблны происхождения нахских народов. Материалы научной конференции, состоявшейся в Шатое (Чеченская республика) в 1991 г. Махачкала.
11. ალიროვი 1994 : Алироев И. Ю. История и культура чеченцев и ингушей. Грозный.
12. ანდრეევა 1977 : Андреева М. В. К вопросу о южных связях Майкопской культуры // Советская археология. № 1.
13. ანჩაბაძე 1975 : Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми.
14. ანჩაბაძე 2006 : Анчабадзе Ю. Д. Абхазы // Адыгская (Черксская) энциклопедия. Москва.
15. არგუნი 1987 : Аргун Ю. Г., Павленко А. П., Спицына Н. Х. Семейно-родовая система и брачные ареалы // Абхазское долгожительство. Москва.
16. არიანე 1836 : Флавий Ариан. Перипл Понта Евксинского. Пер. А. Фабр. Одесса.

17. არტამონოვი 1962 : Артамонов М. И. История хазар. Ленинград.
18. აფხაზავა 1998 : ნ. აფხაზავა. აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები) / აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბილისი.
19. აფხაზები 2007 : Абхазы. Серия «Народы и культуры». Москва.
20. ახმადოვი 2002 : Ахмадов Ш. Б. К вопросу о социальной стратификации чеченского общества в XVIII в. / Вестник АН Чеченской республики. № 1. Грозный.
21. აჯინჯალი 1969 : Аджинджал И. А. Из этнографии Абхазии. Сухуми.
22. ბაკაევი 1968 ; Багаев М. Х. Население плоскостей Чечено-Ингушетии // Археолого-этнографический сборник. Т. 2. Грозный.
23. ბაკიევი 1997 : Бакиев А. Ш. Адыгская цивилизация. Автореферат дис. канд. ист. наук. Нальчик.
24. ბერუჯი 1996 ; Берзедж Н. Изгнание черкесов. Майкоп.
25. ბერნშტამი 1946 : Бернштам А. Социально-экономический строй орхоно-енисейских тюрок VI-VIII веков: Восточно-Тюркский каганат и кыргызы. Москва; Ленинград.
26. ბერჟე 1857 : Берже А. П. Краткий обзор горских племен // Кавказский календарь. 1558. Тифлис.
27. ბერჟე 1882 : Берже А. П. Выселение горцев с Кавказа // Русская старина. Т. 33. СПб. ბეტროზოვი 1990 : Бетрозов Р. Ж. Адыги (История этноса). Нальчик.
28. ბეტროზოვი 1991 : Бетрозов Р. Ж. Происхождение и этнокультурные связи адыгов. Нальчик.
29. ბეტროზოვი 1996 : Бетрозов Р. Ж. Этническая история адыгов. С древнейших времен до XVI века. Нальчик.
30. ბიგვაჟა 1983 : Бигвава В. Л. Современная сельская семья у абхазов. Тбилиси.
31. ბლარამბერგი 1994 : Бларамберг И. Историческое, топографическое, статистическое, этнографическое и военное описание Кавказа. Москва.
32. ბლიევი 1994 : Блиев М. М., Дегоев В.В. Кавказская война. Москва.
33. ბუბენოვი 2014 : Бубенок О. Б. Касоги на юго-западной границе хазарского каганата // Хазарский альманах. Т. 12. Харьков.
34. ბუბენოვი 2019 : Бубенок О. Б. Адыги в Северном Причерноморье. Киев.
35. ბუთბა 2001 : Бутба В. Ф. Племена Западного Кавказа по «ашхарацуйцу». Сухум.

36. ბუტკოვი 1869 : Бутков П. А. Материалы новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг. СПб.
37. ბტაქმუმი 1983 : Бгажноков Б. Х. Очерки этнографии общения адыгов. Нальчик.
38. ბტაქმუმი 2012 : Бгажноков Б. Х. Кавказские дольмены: Планетарные свойства и местные традиции / Археология и этнология Северного Кавказа. I выпуск. Нальчик.
39. ბტაქმუმი 2018 : Бгажноков Б. Х. К вопросу о происхождении и ранней истории майкопско анатолийских племен // Археология и этнология Северного Кавказа. Выпуск № 8. Нальчик.
40. გადლო 1979 : Гадло А. В. Этническая история Северного Кавказа IV-X вв. Ленинград.
41. გავრიტუხინი, ჰიანკოვი 2003 : Гавритухин И. О., Пьянков А. В. Северо-Восточное Причерноморье. Древности и памятники VIII-IX веков // Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья. IV-XIII вв. Москва.
42. გაჯივი 1991 : Гаджиев М. Г. Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. Москва.
43. გაჯივი, მაჰმედოვი 1991 : Гаджиев М. Г., Магомедов А. Г. Об относительной хронологии этноязыковых процессов у восточнокавказских народов по данным грамматических классов // Проблемы происхождения нахских народов. Шатой.
44. გაჯივი, მაჰმედოვი 1996 : Гаджиев М. Г., Магомедов А. Г. Об относительной хронологии этноязыковых процессов у восточнокавказских народов по данным грамматических классов // Проблемы происхождения нахских народов. Махачкала.
45. გაჯივი 2006 : Гаджиев М. С., Кузнецов В. А., Чеченов И. М. История в зеркале паранауки: критика современной этноцентрической историографии Северного Кавказа. Москва.
46. გაჯივი 2007 : Гаджиев М. С. Албанское письмо: история и современность // Дагестан и Северный Кавказ в свете этнокультурного взаимодействия в Евразии. Махачкала.
47. გენიბგი 1970 : Генинг В. Ф. Этнический процесс в первобытности. Свердловск.
48. გენკი 1928 : Генко А. Н. О языкеубыхов // Известия АН СССР. Отдел гуманитарных наук.
49. გრუმ-გრჯიმაილო 1926 : Грумм-Гржимайло Г. Е. Западная Монголия и Урянхайский край. Т. II. Ленинград.

50. გუდაკოვი 2007 : Гудаков В. В. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времён до 60-х годов XIX века. СПб.
51. გუმბა 2017 : Гумба Г. Д. Нахи: вопросы этнокультурной истории (I тысячелетие до н. э.). Москва.
52. გუმბა 2018 : Гумба Г. Д. Нахи: вопросы этнокультурной истории. Москва. 3-е изд.
53. გუმბა 2018ა : Гумба Г. Д. Проблемы этногенеза и этнокультурной истории нахских народов // Этногенез и этническая история народов Кавказа. Материалы I международного нахского научного конгресса. 11-12 сентября 2018 г. Грозный.
54. გუმილიოვი 1959 : Гумилёв Л. Н. Динлинская проблема. Пересмотр гипотезы Г. Е. Грумм-Гржимайло в свете новых исторических и археологических материалов // Известия Всесоюзного Географического общества СССР. № 1.
55. გურიევი 1971 : Гуриев Т. А. К проблеме генезиса осетинского нарттовского эпоса. Орджоникидзе.
56. დაღვათი 2004 ; Далгат Б. К. Первобытная религия чеченцев и ингушей. Москва.
57. დებეცი 1947 : Дебец Г. Ф. О древней границе европеоидов и американоидов в южной Сибири / Советская этнография. № 1.
58. დებეცი 1948 : Дебец Г. Ф. Палеоантропология СССР. Москва-Ленинград.
59. დებუ 1829 : Дебу И. О Кавказской линии и присоединенном к ней Черноморском войске. СПб.
60. დეშერიევი 1963 : Дешериев Ю. Д. Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный.
61. დიაკონოვი 1988 : Дбяконов И. М. История Древнего Востока. Ч. 2. Москва.
62. დუბროვინი 1871 : Дубровин Н. История войны и владычества русских на Кавказе. Т.I. Книга II. СПб.
63. დუბროვინი 1927 : Дубровин Н. Черкесы (Адыги). Краснодар.
64. დუკმასოვა 1887 : Дукмасова И. О заселении черноморского побережья Кавказа казачьим войском. Москва.
65. დიუმეზილი 1959 : Dumezil G. Etudes Oubyks // BAH. Paris.

66. ევლია ჩელები 1983 : Эвлия Челеби. Книга путешествия. Земли Закавказья и сопредельных областей Малой Азии и Ирана. Вып. 3. Москва.
67. ენციკლოპედია 1987 : ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი.
68. ერემიანი 1939 : Еремян С. Т. Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов // Вестник древней истории. № 1.
69. ვერეშაგინი 1871 : Верещагин А. В. Путевые заметки по Черноморскому округу. Москва.
70. ვინოგრადოვი 1963 : Виноградов В. Б., Лосев И. К., Саламов А. А. Чечено-Ингушетия в советской исторической науке. Грозный.
71. ვინოგრადოვი, ჩოკაევი 1966 : Виноградов В. Б., Чокаев К. З. Древние свидетельства о названиях и размещении нахских племен // ИЧИНИИИЯЛ. Т. 7, вып. 1.
72. ვოლკოვა 1973 ; Волкова Н. Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. Москва.
73. ზვანბა 1982 ; Званба С. Т. Абхазские этнографические этюды. Сухуми.
74. თეოფანე ჟამთააღმწერელი 1941 : თეოფანე ჟამთააღმწერელი // გეოგრაფიკა. ტ. 4, ნაკვ. 1. თბილისი.
75. თოფჩიშვილი 2010 : თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნონიმები და ეთნოგრაფიულ ერთეულთა აღმნიშვნელი ტერმინები // საქართველოს ეთნოგრაფია / ეთნოლოგია. თბილისი.
76. თოფჩიშვილი 2015 : რ. თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ. თბილისი.
77. თხაგუშევი 1956 : Тхагушев Н. А. Адыгейские сады. Майкоп.
78. იარალიევი, ოსმანოვი 2003 : Яралиев Я. А., Османов Н. О. История лезгин. Е. 1. Пеласги. Москва.
79. ინალ-იფა 1965 : Инал-Ипа Ш. Д. Абхазы. Историко-этнографические черки. Сухуми.
80. ინალ-იფა 1971 : Инал-ипа Ш. Д. Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми.
81. ინალ-იფა 1995 : Инал-ипа Ш. Д. Садзы. Историкп-этнографические очерки. Москва.
82. ინაძე 1992 : მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები // მაცნე. № 2.
83. ინგოროყვა 1954 : პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი.
84. ინგუშები 2013 : Ингуши. Серия «Народы и культуры». Москва.

85. იოანე დე გალონიფონტიბუსი 1967 : История Кабардино- Балкарской АССР с древнейших времен до наших дней. Т. 1. Москва.
86. ისტორია 2005 : История Кабардино-Балкарии в трудах Г. А. Кокиева. Нальчик.
87. კაგაზექევი 2019 : Кагазежев Ж. В. Древние культуры Северного Кавказа: проблемы происхождения и этногенетических взаимосвязей // Известия Кабардино-Балкарского научного центра № 6 (92). Нальчик.
88. კავკასიის ხალხები 1960 : Народы Кавказа. Т. I. Москва.
89. კარმოვი 2020 : Кармов Р. К. Первые упоминания этнонима «абаза» в историографии // Археология и этнология Северного Кавказа. Вып. 10. Нальчик.
90. კასიანი 2015 : Касьян А. С. Клинописные языки Анатолии (хатский, хурито-урартские, анатолийские): проблемы этимологии и грамматики. Дисс. ... докт. филол. наук. Москва.
91. კისელთოვი 1951 : Киселев С. В. Древняя история южной Сибири. Москва.
92. კილურაძე 1998 : კილურაძე თ. ენოლოგიიდან აღრებრიხაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თბილისი.
93. კლეინი 2007 : Л. С. Клейн. Древние миграции и происхождение индоевропейских народов. Санкт Петербург.
94. კოზენკოვა 2018 : Козенкова В. И. К вопросу об истоках нахской истории и культуры // Этногенез и этническая история народов Кавказа. Материалы I международного нахского научного конгресса. 11-12 сентября 2018 г. Грозный.
95. კოკოვცოვი 1932 : Коковцов П. К. Еврейско-хазарская переписка в X в. Ленинград.
96. კორენევსკი 2009 : Кореневский С. Н. Поселение энеолитической эпохи Предкавказья Ясеновая Поляна – археологическое наследие П. А. Дитлера // Археология Адыгеи. К 90-летию со дня рождения П. А. Дитлера. Майкоп.
97. კორენევსკი 1913 : Коченевский Д. И. Сочи. Исторический очерк. СПб.
98. კრუპნოვი 1960 : Крупнов Е. И. Древняя история Северного Кавказа. Москва.
99. კრუპნოვი 1961 : Крупнов Е. И. О чем говорят памятники материальной культуры Чечено Ингушской АССР. Москва.
100. კუაჯე 1993 : Куадже Р. З. Анты – это адыги // Шапсугия. № 4 (8).

101. კუმახოვი 1982 : Кумахов М. А., Кумахова З. Ю. Язык адыгского фольклора. Нартский эпос. Москва.
102. კუმიკოვი 1994 : Кумыков Х. Т. Выселение адыгов в Турцию. Последствие Кавказской войны. Нальчик.Тхагушев Н. А.
103. ლავროვი 1946 : Лавров Л. И. «Обезы» русских летиписей //Советская этнография. № 4.
104. ლავროვი 1954 : Лавров Л. И. О происхождении народов Север-Западного Кавказа // Сборник статей по истории Кабарды. Вып. 3. Нальчик.
105. ლავროვი 1955 : Лавров Л. И. Абазини //Кавказский этнографический сборник.Вып. I.
106. ლავროვი 1968 : Лавров Л. И. Этнографический очерк убыхов // Ученые записки АНИИ. Т. 8. Майкоп.
107. ლავროვი 1978 : Лавров Л. И. Историко-этнографические очерки Кавказа. Ленинград.
108. ლავროვი 1979 : Лавров Л. И. О происхождении абазин // Археология и этнография Карачаево Черкесии. Черкесск.
109. ლავროვი 2009 : Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик.
110. ლაპინსკი 1995 : Лапинский Т. Горцы Кавказа и их освободительная борьба против русских. Нальчик.
111. ლათინსკი 1893 : Латышев В. В. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Т. 1. СПб.
112. ლექსიკონი 1997 : Энциклопедический словарь по истории Кубани (с древнейших времен до октября 1917 г.). Краснодар.
113. ლოპატინსკი 1991 : Лопатинский Л. Г. Истоки Майкопской культуры. Связь ее с природой и народами Кавказа / Майкопский феномен в древнейшей истории Кавказа и Восточной Европы. Международный симпозиум. Новороссийск, 18-24 марта 1991, тез. докладов. Ленинград.
114. ლოპატინსკი 1891 : Лопатинский Л. Г. Заметка о народе адыге вообще и кабардинцах в частности // СМОМПК. Вып. 12. Тифлис.
115. მაღია, აკაბა 1982 : Малия Е. М., Акаба Л. Х. Одежда и жилище абхазов. Тбилиси.
116. მარზეი 2000 – Марзей А. Черкесское наездничество (Зеклуэ). Из истории военного быта черкесов в XVIII – первой половине XIX века. Нальчик.

117. მარი 1933-1937 : Марр Н. Я. Избранные работы. Т. 5. Москва-Ленинград.
118. მარკოზიბი 1975 : Марковин В. И. Дольменная культура и вопросы раннего этногенеза адыгов.
119. მარკოზიბი 1991 : Марковин В. И. Об археологическом аспекте в изучении этногенеза вайнахов // Проблемы происхождения нахских народов. Шатой.
120. მენგესი 1979 : Менгес К. Г. Восточные элементы в «Слове о полку Игореве». Ленинград. V
121. საუკუნის ანონიმი 1965 : ანონიმი V საუკუნისა // გეოგრაფიკა. ტ. 2. თბილისი.
122. მიწორსკი 1963 : Минорский В. Ф. История Ширвана и Дербенда X-XI вв. Москва.
123. მიწოზი 2017 : Мирзоев А. С. «Уорк хабзе» и «Бусидо» – Культурные параллели и отличия кодекса чести воинских сословий Черкесии и Японии // Вестник Кабардино-Балкарского института гуманитарных исследований. № 2 (33).
124. მუნჩაევი 1975 : Мунчаев Р. М. Кавказ на заре бронзового века. Москва.
125. მუნჩაევი 1991 : Мунчаев Р. М. Раннебронзовый век Северного Кавказа и проблема этногенеза вайнахов // Проблемы происхождения нахских народов. Шатой.
126. მუნჩაევი 1994 : Мунчаев Р. М. Майкопская культура. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва.
127. მუსხელიშვილი 1977 : დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბილისი. ნუსკი 1868 – Невский П. Кубанский край в 1864 г. // Кавказ. № 101.
128. ნეხაევი: 1983 : Нехаев А. А. Новое поселение майкопской культуры // Вопросы археологии Адыгеи. Майкоп.
129. ნოვიცკი 1829 : Новицкий Г. В. Географическо-статистическое обозрение земли, населенной народом адехе / Тифлисские ведомости. № 23.
130. ნოვოსელცევი 1990 : Новосельцев А. П. Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва.
131. ოკლადნიკოვი 1955 : Окладников А. П. История Якутской АССР. Т. 1. Москва- Ленинград.
132. ოლშევსკი 1841-1856 : Ольшевский М. Я. Кавказ с 1841 по 1856 г. // Русская старина. Т.79.

133. ორეხოვი 1869 : Орехов И. И. По южному склону Западного Кавказа // Военный сборник. № 9-12.
134. ოსმანი 1998 : Осман Айдин. Убыхи // Черкесский мир. № 2.
135. პაიჭაძე 1989 : Паичадзе Г. Г. Название Грузии в русских письменных и исторических источниках. Тбилиси.
136. პაიჭაძე 1993 : გ. პაიჭაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ წყა როებში / საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმი ნოლოგია. თბილისი.
137. პანეში 1989 : Панеш Э. Х. Холодное оружие адыгов (к вопросу об эволюции) // Сборник музея антропологии и этнографии. Ленинград.
138. პანეში 1996 : Панеш Э. Х. „Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности (На примере Западного Кавказа). СПб.
139. პლანო კარპინი 1957 : Путешествия в восточные страны Плано Карпини и Рубрука. Москва.
140. პლინიუსი 1949 : Гай Плиний Секунд. Естественная история // Вестник древней истории. 1949. № 2.
141. პროკოფი კესარიელი 1950 : Прокопий Кесарийский. Война с готами. Москва.
142. პროკოფი კესარიელი 1965 : პროკოფი კესარიელი // გეორგია, 2. თბილისი. ტ. მ. 1880 : Т. М. Горцы абазинского племени. Москва.
143. რადლოვი 1899 : Радлов В. В. Опыт словаря тюркских наречий. Т. II. Ч. I. Санкт-Петербург.
144. რისინი 2012 : Рысин М. Б. Проблемы хронологии и периодизации древних культур Кавказа // Археологические вести. Вып. 18. СПб.
145. რისინი 2012 : Рысин М. Б. Проблемы хронологии и периодизации майкопских памятников Северного Кавказа / Культуры степной Евразии и их взаимодействие с древними цивилизациями. Кн. 2. СПб.
146. სარაკაევი 1912 : Саракаев И. Мюридизм // Терек. , № 4297. 22 апреля.
147. საფონოვი 1857 : Сафонов С. Поездка к восточным берегам Черного моря на корвете «Ифигения» 1856 г. Одесса.
148. სიგაური 2005 : Сигаури И. П. Очерки истории и государственного устройства чеченцев с древнейших времен. Т. 5. Москва.

149. სომხური გეოგრაფია 1887 : Армянская география, приписываемая Моисею Хоренскому. СПб.
150. სტრაბონი 1964 : Страбон. География. Москва. 1964.
151. სპენსერი 1994 : Спенсер Э. Путешествие в Черкесию. Майкоп. 1994.
152. სტალი 1900 : Сталь К. Ф. Этнографический очерк черкесского народа // Кавказский сборник. Т. 21. Тифлис.
153. ტორნაუ 1999 : Торнау Ф. Ф. Воспоминания и документы. Нальчик.
154. ტრიფონოვი 2000 : Трифонов В. А. Курганы майкопского типа в северо-западном Иране. Судьба ученого / К 100-летию со дня рождения Б. А. Латынина. СПб.
155. ტრიფონოვი 2001 : Трифонов В. А. Дарквети-мешоковская культура / Третья Кубанская археологическая конференция. Тезисы докладов. Краснодар-Анапа.
156. ტურჩანიнов 1971 : Турчанинов Г. Ф. Памятники письма и языка народов Кавказа и Восточной Европы. Ленинград.
157. უმხაევი 2018 : Умхаев Х. С. Об этногенезе чеченского народа в исследованиях ученых и материалах фольклора / Этногенез и этническая история народов Кавказа. Материалы I международного нахского научного конгресса. 11-12 сентября 2018 г. Грозный.
158. უსლარი 1887 : Услар П. К. О языке убыхов // Этнография Кавказа. Языкознание. Т. 1. Тифлис.
159. ფერანი 1842 : Ферран. Путешествие из Крыма в Черкесию через земли многих татар в 1709 г. / Русский вестник. № 4.
160. ფლავიუს არიანე 1961 : ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი ნ. კუჭაძე-მამისა. თბილისი.
161. ფოგტი 1963 : Vogt G. Dictionaire de la langue Oubykh. Oslo.
162. ფონვილი 1927 : Фонвиль А. Последний год войны Черкесии за независимость. Краснодар.
163. ფორერი 1930 : forrer E. Stratification des langues et des peuples dans le Proche-Orient prehistorique / Journal Asiatique, CCXVII, 1930.
164. ფრეზერი 1984 : Фрэзер Дж. Д. Золотая ветвь. Москва.
165. ფურნეტი 2011 : Fournet Arnoud. The Kassite language in a comparative perspective with Hurrian and Urartean. The Macro-Comparative Journal 2(1).
166. შაბლოვსკი 1886 : Шабловский И. И. Медикаменты и способы лечения, употребляемые народными врачами Абхазии и Самурзакани... // Медицинский сборник. № 41. Тбилиси.

167. მნაიდგრი 2003 : Thomas Schneider. Kassitisch und Hurro-Urartäisch. Ein Diskussionsbeitrag zu möglichen lexikalischen Isoglossen, in: Altorientalische Forschungen 30(2003), 372-381.
168. მჩებდოკინი 1928 : Щепликин И. П. Искусство ингушей в памятниках материальной культуры / Известия ингушского НИИ краеведения Вып. I/ Dkflbrfdrfp/
169. ჩოკაევი 1977 : Чокаев К. З. Вайн мотт – вайн история. Грозный.
170. ჩურსინი 1957 : Чурсин Г. Ф. Материалы по этнографии Абхазии. Сухуми.
171. ძიძარია 1975 : Дзидзария Г. А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми.
172. ძიციოიტი 1992 : Дзиццоити Ю. А. Нарты и их соседи. Владикавказ.
173. ცნობები 1898 : Известия Древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе: собрал и издал с рус. пер. В. В. Латышев. Т. 1. Греческие писатели. Вып. 1. СПб.
174. ხატისოვი 1867 : Хатисов И. С., Ростипянц А. Д. Отчет Комиссии по исследованию земель на северо восточном берегу Черного моря // Записки Кавказского общества сельского хозяйства. Тиф лис.
175. ხაფიზოვა 2010 : Хафизова М. Г. Убыхи. Ушедшие во имя свободы. Нальчик.
176. ხუდუდ ალ-Алемი 1930 : Худуд ал-Алем: рукопись Туманского / с введением и указателем В. Бартольда. Ленинград.
177. ჯამირზაევი 2009 : Джамирзаев С. М. Древняя история чеченцев – нохчий. Грозный.
178. ჯურტუბაევი 2010 ; Джуртубаев М. Ч. Происхождение карачаево-балкарского и осетинского народов. Нальчик.
179. ჰროზნი 1953 ; Hrozny B. Ancient history of Wtstern Asia, India and Gret. New-York.

თავი III.
ინგუშური და ჩეჩენური ენდო-
და ეგზოეთნონიმიები

შესავალი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნოგენეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოიდენტობასთან, ვინაიდან საკუთარი ერთობის აღქმა იწყება იდენტობის აღქმასთან ერთად, როდესაც დაისმევა კითხვა: ვინ ვარ მე? რის საფუძველზეც, შემდგომში ამ კითხვაზე პასუხის შედეგად იქმნება ეთნიკური ერთობა და ამ ერთობის იდენტობა. საკუთრივ ეთნოსის ფორმირებასთან ერთად იწყება იდენტობის ფორმირება და, პირიქით, ეთნოიდენტობის ფორმირებასთან ერთად იწყება ეთნოსის ფორმირება. შესაბამისად, ეთნოგენეზის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით ეთნოიდენტობის საკითხს, ვინაიდან სწორედ იდენტობა ანუ თვითაღქმა განაპირობებს ერთიანობის ან ერთობის შექმნას. დღესდღეობით, კავკასიოლოგიურ ისტორიოგრაფიაში ინგუშებისა და ჩეჩენების წარმოშობის, ენდო და ეგზო ეთნონიმთა გაჩენის, განსახლების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მეცნიერთა აზრი სხვადასხვანაირია. შესაბამისად, მათი ეთნოიდენტობისა და ეთნოგენეზის შესწავლისას ჩნდება კითხვები.

1. ვინ არიან ისტორიულად ინგუშები და ჩეჩენები და როგორ შეიქმნა მათი ეთნოიდენტობათა ჩამოყალიბების საფუძველი?

2. გააჩნიათ თუ არა ისტორიული ერთობა? ან იყვნენ თუ არა ერთიანი ეთნოსი?

3. როგორი იყო წარსულში მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობა, არსებობდა თუ არა მათ შორის ეთნიკური დაყოფა?

პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა შევისწავლოთ მათი წარმოშობის ისტორია, ასევე უნდა განვსაზღვროთ მათი განსახლების ისტორიული ტერიტორია, ეთნონიმების გაჩენისა და წარმოშობის საკითხი, მათი სოციალურ-კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან და მათი მიგრაციები კავკა-

სიაში. „ისტორიული წყაროების უკიდურესი სიღარიბის გამო ჩვენ ძალზე ცოტა ვიცით მათ შესახებ, მაგრამ ის თითო-ოროლა უმნიშვნელო ცნობა, რაც უპირატესად ქართულ და სომხურ წყაროებშია შემონახული და აგრეთვე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული გზითაა მიღებული, საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მათ ყოფა-ცხოვრებაზე“ (ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები.1969.57) ინგუშები და ჩეჩნები საკუთარი დამწერლობის არმქონე ხალხებია, მათი ისტორია ძირითადად ფოლკლორული გადმოცემების და ზეპირსიტყვიერების წყალობითაა შემონახული. შესაბამისად, ვაინახთა ისტორიის შესწავლა გვიხდება ძირითადად გარე წყაროებისა და გადმოცემების მეშვეობით. სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან, ნაშრომში ვიყენებთ ტერმინ „ვაინახს“ და ჩვენთვის ცნობილია ამ ტერმინის ირგვლივ არსებული „სპეკულაციები“, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, განვმარტოთ ამ ტერმინის მნიშვნელობა და ორიოდ სიტყვა ვთქვათ მისი ისტორიის შესახებ. ტერმინი „ვაინახი“ უწინ საყოფაცხოვრებო ტერმინი გახლდათ. შეგვიძლია პარალელი გავავლოთ ქართულ სიტყვა „ჩვენებურთან“, შემდგომში ეს ტერმინი გამოიყენეს ენათმეცნიერებაში ინგუშური და ჩეჩნური ენების აღსანიშნავად. ამასთან გვაქვს მეორე ტერმინი „ნახი“, რომელიც ასევე ენათმეცნიერებაში გამოიყენება ერთმანეთთან მონათესავე: ინგუშური, ჩეჩნური და წოვათუშური ენების ერთიანობის აღსანიშნავად. ტერმინი „ვაინახი“ ისევე, როგორც ტერმინი „ნახი“ ხელოვნურია და მისი ეთნონიმად გამოყენება დაუშვებელია. ვინაიდან, „ვაინახი“ ან „ნახი“ ხალხის არსებობა ისტორიულად არ დასტურდება. ტერმინი „ვაინახი“ სამეცნიერო წრეებში აქტიურად მკვიდრდება XX საუკუნეში, ზაურბეკ მალსაგოვის მეშვეობით. რომელმაც აღნიშნული ტერმინი გამოიყენა ჩეჩნურ-ინგუშური ენის აღსანიშნავად. ტერმინი „ვაინახი“ ამგვარად განიმარტება: „ვაინახ-ურ-ში ვაი „ჩვენი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელია: ვაი-ნახ „ჩვენი ხალხი“, „ჩვენებურები“. მაშასადამე ვაინახ-ური ნიშნავს „ჩვენ ხალხს“, ჩვენებურებს“ ნახურ-ი ტერმინით აღინიშნება სამივე (ჩეჩნური, ინგუშური, წოვათუშური) ენა, ხოლო ვაინახურ-ით – ჩეჩნური და ინგუშური (წოვათუშურის გამოკლებით). ნ ა ხ სიტყვისგან ნაწარმოებია, აგრეთვე,

ტერმინი ნახოლოგია. „ყველა ეს ტერმინი ხელოვნურია, სამუშაო ტერმინებია და მათი გამოყენება მხოლოდ სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით არის გამართლებული. ეს ტერმინები, მათი ხელოვნურობის მიუხედავად, კავკასიოლოგიაში ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან“ (ფარეულიძე. 2011.6). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი, არ გამოიყენებოდა ეთნონიმის სახით, არც ერთი ჩვენამდე მოღწეული წყარო არ იცნობს ტერმინ „ვაინახს“, როგორც ეთნონიმს. არცერთი მეზობელი ხალხი არ იცნობს მათ ამ ტერმინით. ოსები მათ მაკალდონ//მახალდონ-ით (махъалдон) მოიხსენიებენ, ქართველები- ქისტებად, ღლიღვებად, ღურძუკებად. დაღესტნელი ალათაური მოდგმის ხალხები „მიცჯეებად“, ყაბარდოელები „მიშყიშ“-ად, „შეშენად“-ად, რუსებიც მათ დასახლებული პუნქტის სახელწოდებით წარმოქმნილი ეთნონიმით მოიხსენიებენ და მათთვისაც ვაინახი, როგორც ეთნონიმი, უცნობია. უფრო მეტად გავრცელებულია: „დალდა“, „ნოხჩო“ „ორტსხოი“ და სხვა. შესაბამისად, ძნელია ითქვას, არის თუ არა „ვაინახი“ მათი ისტორიული ერთობის თანამგზავრი ეთნონიმი.

ეთნოგენეზის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ ეთნოიდენტობის ჩამოყალიბებისა და შემდგომში რღვევის საფუძვლები, გავაანალიზოთ ეთნონიმები, როგორც ერთობის არსებობის უტყუარი ნიშანი. ამისათვის უნდა დავადგინოთ აღნიშნული ერთობის შექმნის მომენტი. შესაბამისად, უნდა განვსაზღვროთ თეორიული მიდგომა, რომელსაც გამოვიყენებთ კვლევისას. არჩევანი უნდა გავაკეთოთ სამ ძირითად მიმდინარეობას შორის ესენია:

1. პრიმორდიალიზმი: რომლის თანახმადაც ეთნოსი ობიექტური, თავდაპირველი და უცვლელი მოცემულობაა, დამყარებულია ბიოლოგიურ და კულტურულ ერთობაზე, რომელიც ძველ დროში ჩამოყალიბდა და უცვლელი რჩება დროთა განმავლობაში.

2. კონსტრუქტივიზმი: რომლის მიხედვით მიიჩნევა, რომ ეთნოსი არის „წარმოსახვითი საზოგადოება“ (ანდერსონი.1983) ეს მიდგომა ეთნოსს თვლის სოციალურ კონსტრუქტად, რომელიც შექმნილია ელიტების მიერ ახალ დროში.

3. ეთნოსიმბოლიზმი: ინარჩუნებს ბალანსს პრიმორდიალიზმსა და კონსტრუქტივიზმს შორის და აღნიშნავს, რომ ერები რეალურად არსებულ ფენომენებადაც გვევლინებიან და გარკვეულწილად, სოციალურ კონსტრუქტებადაც. შესაბამისად, „ერებს ეთნიკური ფესვები ჰქონდათ“ (ჩხარტიშვილი. 2020.4).

ჩვენი არჩევანი სწორედ ეთნოსიმბოლიზმზე შეჩერდება, ვინაიდან ვთვლით, რომ ზემოაღნიშნული თეორიული მიდგომა ყველაზე ზუსტად შეესაბამება კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების შესწავლას. მაგალითისათვის, შეგვიძლია განვიხილოთ ლეონტი მროველისეული კავკასიის ხალხთა წარმოშობის თეორია, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრება ნათესაობის შესახებ ჰპოვებს გარკვეულ მტკიცებულებებს თანამედროვე ენობრივი და გენეტიკური კვლევების მეშვეობით, ავტორი ცდილობს, ამ პარადიგმას მოარგოს სომხებიც. ვინაიდან ერთიანი საქართველო სომხეთსაც მოიცავდა და პოლიტიკურად ამ ერთობის განსამტკიცებლად საჭირო იყო გარკვეული სახის ერთიანობის იდეის შექმნა. რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ელიტები ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ კაცობრიობის ისტორიაში და ფაქტიურად მის შემქმნელებადაც გვევლინებოდნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობდა ობიექტურად არსებული ისტორია, რომელსაც ეთნოსი ქმნიდა.

ცნობილია, რომ ვაინახები წარმოადგენენ ორ ერთმანეთის მონათესავე ერთობას ინგუშებისა და ჩეჩნების სახით. მათი შემადგენელი კი გახლავთ შაჰარ-თუხუმი, თეიპი და გვარი. ვაინახთა გვარები ერთიანდებიან თეიპებში, თეიპები კი, თავის მხრივ, ერთიანდებიან ინგუშების შემთხვევაში შაჰარებში, ხოლო ჩეჩნების შემთხვევაში თუხუმებში. ამგვარი წყობა ამ ეთნიკური ერთობების სოციალური განვითარების საბოლოო ფორმაა. „რაც შეეხება ვაინახების „თუხუმის“ საზოგადო ინსტიტუტს, ადგილობრივი მეცნიერის მ. ა. მამაკაევის მიხედვით, ჩეჩნური თუხუმი, განსხვავებით დაღესტნური „თუხუმისგან“, არის არა სისხლისმიერი, არამედ, ერთი ტომის რამოდენიმე თეიფის კავშირი. მეტიც, ჩეჩნური თუხუმი, მ. ა. მამაკაევის აზრით, არის თავისებური სამხედრო-ეკონომიკური, და არა სისხლისმიერი ნათესაობით თეიფების გაერთიანება. ადგილობრივი მკვლევარი ლ. ილიასოვი ასევე მიიჩნევს,

რომ ჩეჩნური თუხუმი არის თეიფების უფრო მსხვილ და რთულ სოციალურ ორგანიზაციებში გაერთიანების კანონზომიერი პროცესი“ (ახმადოვი.2002:316). აქვე აღსანიშნია, რომ თუ ჩეჩნური თუხუმი არა სისხლისმიერ ნათესაობაზეა დამყარებული, ინგუშურ მაჰართა წარმოშობის ისტორია ყოველთვის მიუთითებს მათ საერთო წინაპრიდან წარმოშობაზე. რაც, უდაოდ, უნდა მიუთითებდეს მათი გაერთიანების სიძველეზე. ვინაიდან საერთო წინაპრის მითის არსებობა, უტყუარი ნიშანია ერთობის ძველ დროში ჩამოყალიბებისა. „ეთნოლოგ ა. ტუტაევის მიერ XIX საუკუნეში ჩაწერილ გადმოცემაში აულ ეგიკალში, მცხოვრები ელბერდის შვილები: ეგი, ხამხი და თარგიმი გახდებიან ინგუშური მაჰარის „ჰეჰალიე“¹-ს (Троеградие) ფუძემდებლები.“ (მალსაგოვი. 2014. 170.) შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ მაჰარ-თუხუმთა დაშლითა და ხელახლა გაერთიანებებით იქმნებოდა ვაინახებში მცირე ეთნიები, ისეთი, როგორიცაა ღალღაი², ნოხჩი³, ორცხოი⁴ და ასე შემდეგ. ეთნონიმების – ინგუშისა და ჩეჩენის – გაჩენამდე აღნიშნული ეთნოსები სხვადასხვა სახელით იყვნენ ცნობილნი კავკასიაში; ღურძუკი//ძურძუკი, ქისტი, ღლიღვი. ყოველი მათგანის გაჩენას წინ უძღოდა მასშტაბური კულტურულ-პოლიტიკური მოვლენები, რაც, უნდა ყოფილიყო ახალი ეთნონიმის და მასთან, სავარაუდოა, ახალი ეთნოიდენტობის გაჩენის საფუძველი. შესაბამისად, ინგუშებისა და ჩეჩენების ისტორიის გასაანალიზებლად და შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად აუცილებლად უნდა განვიხილოთ ეთნონიმთა წარმოშობის საკითხი და მათი ისტორიულ წყაროებში უძველესი მოხსენიება. პირველად უნდა განვიხილოთ ეთნონიმი ღურძუკი//ძურძუკი ვინაიდან, ის ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ვაინახთა ერთობის პირველ ფორმად. სამწუხაროდ ღურძუკთა//ძურძუკთა შესახებ კავკასიის ისტორიოგრაფია მცირე ცნობებით შემოიფარგლება. ვაინახთა წარმოშობის შესახებ მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობაა, რიგი მეცნიერებისა

¹ ჰეჰალიე (ინგ. Кхаькхале) – ინგუშური მაჰარი, ასევე იხსენიება, როგორც ღალღაინ მაჰარ ან ხამხი მაჰარ.

² ღალღა (ინგ. Г1алг1а) - ინგუშთა ენდოეთნონიმი.

³ ნოხჩი (ჩეჩ. Нохчи) - ჩეჩენთა ენდოეთნონიმი.

⁴ ორცხოი (ვაინახ. Ортсхой) - ვაინახთა ერთ ერთი თემი. სახლობენ ინგუშეთსა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ენდო ეთნონიმი „ორცხოი“.

(ველიკაია, ვინოგრადოვი,...) მიიჩნევს, რომ ვაინახები ხურიტული მოდგმისა უნდა იყვნენ, ვინაიდან მათი ენა გარკვეულ კავშირებს ავლენს ხურიტულ-ურარტულთან. „ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში გამოჩნდნენ ხურიტები, რომლებიც ეთნონიმ „ულივ“-ით არიან ცნობილი. ხურიტთა ულივების ტომი (როგორც მტკვარ-არაქსის მოსახლეობის ნაწილი) ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ რეგიონებში გადასახლდა, ხოლო მათმა დასახლებებმა ამიერკავკასიაში სამხრეთიდან გარე შემოსევების შედეგად ძვ. წ. XXII-XXI საუკუნეებში შეწყვიტა არსებობა. სწორედ ამ მოვლენებთან – ხურიტების კავკასიაში შეღწევასთან – შეიძლება დავაკავშიროთ ვაინახური ეთნოგენეზის საწყისი ეტაპი, რადგან ვაინახური ენები უდიდეს ენობრივ მსგავსებას ავლენენ ხურიტულ-ურარტული ენების მიმართ“ (Очерки этнографий чеченцев и ингушей. 1990.15.) მეცნიერების მეორე ნაწილი (მაგ: ალექსეევი..) მათ მიიჩნევს კავკასიის ავტოქთონ მოსახლეობად. „ამრიგად, უკიდურესად უნიკალური გეოგრაფიული პირობებით გამოწვეულმა იზოლაციამ კავკასიური ტიპის ხალხებში შეინარჩუნა იმ მოსახლეობის შთამომავლები, რომლებიც პირველად დასახლდნენ კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალურ მთისწინეთში, როგორც ჩანს, ზედა პალეოლითის ხანაში. იზოლაციის ასეთი ხანგრძლივი პერიოდის შედეგები კარგად ხსნის მათი კულტურის უნიკალურობასა და არქაიზმს, რომელიც იდეალურად იყო ადაპტირებული მაღალმთიანეთის მკაცრ პირობებთან.“ (ალექსეევი. 1974.134.) თავად ვაინახთა გადმოცემები წარმოშობის შესახებ თითქმის ყოველთვის მიუთითებს მათი ეთნარქის უცხო ქვეყნიდან მოსვლაზე. რაც ჩვენი აზრით ტენდენციური ხასიათისაა. ვინაიდან, რიგი გადმოცემებისა მიუთითებს ეთნარქის იმ ქვეყნებთან კავშირზე, რომლებიც რაღაცა კუთხით საინტერესო იყო ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ვაინახებისათვის. ვაინახების ეთნოგენეზის შესწავლა უნდა დავიწყოთ უძველესი ცნობებით მათ შესახებ. ასეთია ანტიკური ავტორების წყაროები, მაგალითად სტრაბონის გეოგრაფიაში ნახსენები „გარგარები“. ეს სახელწოდება ფონეტიკურად ახლოსაა ინგუშთა ენდოეთნონიმ „ღალღაი“-სთან, მაგრამ მათ შორის ისტორიული წყვეტა ძალიან დიდია, იმისათვის რომ ამ ეთნონიმების იგივეობაზე ვისაუბროთ. ეთნონიმი „ღალღაი“ გვი-

ანდელია, შუა საუკუნეებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული და თავდაპირველად ერთ-ერთი ინგუშური საზოგადოების ანუ შაჰარის „ღალღაინ შაჰარ“ სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობეს. ან საზოგადოებას სხვანაირად „ჰეჰალიე“ სახელსაც უწოდებენ. მდებარეობს ინგუშეთის სამხრეთ ნაწილში, ე.წ. მთიან ინგუშეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე ასას ხეობაში. ამას გარდა არსებობს ე. კრუპნოვის მოსაზრება, რომ „გარგარი“ არა ღალღაის-თან, არამედ ნახური ჯგუფის ენებში გავრცელებულ სიტყვა „გერგარ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ნათესავს აღნიშნავს. თუ, რაღა თქმა უნდა, სტრაბონისეული „გარგარები“ ნამდვილად ვაინახების წინაპრები არიან. ამ პერიოდის წყაროები სიზუსტით ნაკლებად გამოირჩევიან. აქაც სტრაბონი მათ კავკასიის ალბანეთსაც უკავშირებს. თავად ცნება „ნათესავი“, როგორც პირვანდელი სახელწოდება ეთნიკური ექსკლუზიურობის აღქმისა, აზრს მოკლებული არ უნდა იყოს. სავარაუდოდ, გაჩენილი უნდა იყოს ოპოზიციის მეშვეობით ჩვენი და სხვა, რაც გარკვეულ კავშირს ავლენს ტერმინ „ვაინახთან“. მსგავსი მაგალითები მსოფლიოს ხალხთა თვითსახელწოდებებში მრავლადაა: კეტები, ევენკები და სხვა. მათი ეთნიკური ერთობა დროის განმავლობაში ურთიერთობდა მრავალ სხვა ადგილობრივ თუ შემოსულ კულტურებსა და ხალხებთან, რამაც თავისთავად დატოვა კვალი მათ ეთნიკურ შემადგენელსა და კულტურაზე. „სამარისეულ კომპლექსთა შედგენილობის მიხედვით ჩანს, რომ ჩეჩნურ-ინგუშური ტომების წინაპრების კულტურას განუცდია სარმატიზაცია. რაც შეეხება თურქულენოვან ტომებს და განსაკუთრებით ხაზარებს, მათ ვეინახური ტომები უფრო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქციეს“. (ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. 1969.62) ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული გარგარების გარდა, უძველესი ცნობებიდან გვაქვს ანანია შირაკაცის (ზოგი მის ავტორად მოვსეს ხორენაცის მიიჩნევს) სომხური გეორგაფიაში მოხსენიებული „ნახჩმატეანქ“ და „კუსტ“ (სომხური გეოგრაფია. 1877. 37) უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ნაშრომი, როგორც ჩანს, ხშირი გადაწერისა და შევსების „მსხვერპლია“. მასში არსებული ეთნონიმები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ჩნდება და, შესაბამისად, ვერ იქნება VII საუკუნისათვის ცნობილი, მითუმეტეს, ყველა ერ-

თად. მაგალითად „კუსტ“, როგორც ქისტის სომხური ვარიანტი, სავარაუდოდ გვიანდელი ჩამატებული უნდა იყოს. ამ პერიოდისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ღურძუკი გამოიყენება. მაშინ, როდესაც ეთნონიმ ქისტს სწორედ რომ, ქართული ისტორიოგრაფია და ქართველი მთიელები იყენებენ ყველაზე აქტიურად. ამასთან სომხურ გეოგრაფიაში სარმატიის აღწერისას საინტერესო სურათი გამოიყოფა, რაც სავარაუდოდ მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი არ არის ნამყოფი იმ ადგილებში, რომელზეც საუბრობს. ის „სარმატიას“ ჩრდილო კავკასიას უწოდებს და მასში აერთიანებს წანარეთსა და ცხაოტს, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. ვინაიდან, თუ ხევის ანუ წანარეთის მიკუთვნება ჩრდილო კავკასიისათვის კიდევ შესაძლებელია გეოგრაფიულად აიხსნას, (რადგან ხევი მდებარეობს კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედს მიღმა) ცხაოტის ანუ ისტორიული მთიულეთის ტერიტორიის ჩრდილო კავკასიისადმი მიკუთვნება, სრული აბსურდია. ამასთან შესაძლებელია „ცხაოტის“ სარმატიასთან დაკავშირება ქართლის ცხოვრებაში მოცემულ ცნობიდან გამომდინარეობდეს. ლეონტი მროველი საურმაგის მიერ ღურძუკთა გადმოსახლებისა და შემდგომ მირვანის მეფობისას მათ აჯანყებაზე მოგვითხრობს: „ამისსა მეფობასა ღურძუკთა დაივიწყეს სიყუარული ფარნავაზისი; და საურმაგისი: და გარდამოვიდეს ღურძუკეთს მყოფნი, და გერთნეს თანა ჭართალეთისა მსხდომნი კავკასიანნი მოტყუენეს კახეთი და ბაზალეთი“ (ყაუხჩიშვილი.1955.27-28) ჭართალი ცხაოტის მოსაზღვრეა სამხრეთიდან და შესაძლოა სომხური გეოგრაფიის „განმავრცობმა“ ქართლის ცხოვრებისეული წყარო „ჭართალეთისა მსხდომნი კავკასიანნი“ არასწორად გაიაზრა და ეს ტერიტორია სარმატიას, ანუ ჩრდილო კავკასიას მიაკუთვნა. ამ ნაშრომში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო არის „ნახჩმატიანქ“-ის მოხსენიება, ვინაიდან ის მიიჩნევა ჩეჩნების ენდოეთნონიმის აღმნიშვნელ ტერმინად. ი. დეშერიევის აზრით, სიტყვა „ნახჩმატიანქ“ შედგება: ნახჩა – ჩეჩნების თვითსახელწოდება, მოთთ- ენა და ეანქ -ძველ-სომხური ენის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი. ამრიგად ტერმინი „ნახჩმატიანქ“ ნიშნავს ჩეჩნურ ენაზე მოსაუბრეებს (დეშერიევი. 1963.24-25) რაც ასევე არ უნდა იყოს სწორი. ვინაიდან, მართალია, ჩვენთვის უტყუარად ცნობილი არ არის ენდოეთნონიმი „ნოხჩი“-ს

მნიშვნელობა და წარმომავლობა, მაგრამ მისი ახსნის მცდელობებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს მისი „ნაშხა“-დან მომდინარეობა. მითუმეტეს რომ „ნაშხა“ მიჩნეულია ჩეჩენთა წარმოშობის აკვანად. „ზოგიერთი ამ სახელს ადგილობრივ სახელ „ნაშხას“ უკავშირებს, რომელიც ჩეჩენი ხალხის აკვანად ითვლება, და ეთნონიმი მომდინარეობს მოდიფიცირებული „ნახშადან“ (მეტათეზით) > „ნახჩადან“ (იუ.დ. დეშერიევი, ა.გ. მაციევი, კ.ზ. ჩოკაევი). აქედან გამომდინარე, ჩეჩენები ნაშხოელები არიან. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ ეტიმოლოგიის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თავად „ნაშხოს“ ძირმა, ცვლილებების მთელი ჯაჭვის განცდის შემდეგ (> ნაშხო > ნახჩო > ნოხჩო „ჩეჩენი“), მოახერხა თავისი პირვანდელი სახით დარჩენა სუბეთნონიმ „ნაშხოელში“! (ვაგაპოვი.2006.4.) ვაგაპოვის კრიტიკა ეთნონიმის ამ ტოპონიმიდან წარმოშობის შესახებ უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, მაგრამ აქვე გვაქვს ჩეჩენების მეზობელი ხალხის ქართველების სახელწოდებასთან მსგავსი სიტუაცია. ქართლი-ქართლელი-ქართველი, რაც როგორც ჩანს, ავტორმა არ გაითვალისწინა. ამას ემატება ის ერთადერთი ცნობა ჩეჩენთა ეთნონიმისა ქართულ ისტორიოგრაფიაში, სადაც მოხსენიებულია პატრიარქ ექვთიმეს მიერ მონახულებულ ქრისტიანულ ეპარქიებს შორის ხუნძთა და „ნახჩთა“ ტაძრები და თუ ეს ჩეჩენთა ენდოეთნონიმია, მაშინ უფრო მეტ მსგავსებას ავლენს „ნაშახ“თან, ვინაიდან პირველ მარცვალში გვაქვს ასო ა და არა ო. ზემოაღნიშნული ცნობა მ. ჯანაშვილის ნაშრომში „საქართველოს ისტორია“ მოგვეპოვება და ავტორი მიუთითებს, რომ ეს წარწერა გაკეთებულია თავად ლ.ა. მაღალაშვილის სახარებაზე. წარწერაში მითითებულია დაწერის დრო „ქსა: ფლ(?) თუესა: მაისსა:იდ: დასაბამიდ-თგან:ხმიდ: წელთა (1310 წ.)“ (ჯანაშვილი. 1895. 205) ამასთან პრობლემურია თვითონ „ნახჩმატიანის“ ანუ ნოხჩის ენაზე მოსაუბრე ხალხის ცნება. ვინაიდან, ჩვენთვის უცნობია, როდის შეიქმნა ეს ეთნიკური ერთობა და რა სახელს ატარებდა იგი, ქართული ისტორიული წყაროებიდან ჩეჩენთა ენდოეთნონიმის ყველაზე ადრეული მოხსენიება გვაქვს სწორედ ზემომოხმობილ წყაროში, რაც დიდ ისტორიულ წყვეტას აჩვენებს სომხური გეოგრაფიისეულ „ნახჩმატიანთან“. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ვაინახები ერთი ძი-

რის ხალხია და მათი დაყოფა გვიანდელია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ერთობას გააჩნდა საკუთარი სახელი, ენა და განსახლების ტერიტორია. შესაბამისად, ეს ენა ვერ იქნებოდა ვერც ნოხჩის თემის ენა და ვერც ღილღოს თემის ენა. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ საკითხთან დაკავშირებით იაკოვლევი: “ინგუშები საკუთარ თავს „ღალღაის“ უწოდებენ, თუმცა თავიანთ ენას მაინც უბრალოდ „ჩვენს ენას“ ეძახიან, ისევე როგორც, ხშირად საკუთარ თავს „ჩვენს ხალხს“ უწოდებენ. მათ უკვე აქვთ განსხვავებული ეროვნული სახელი, მაგრამ ჩვეულებრივ, მას თავიანთი ენის აღსანიშნავად არ იყენებენ. არ არის მიღებული „ღალღაი მოთ“ – ღალღაური ენა.” (იაკოვლევი.1925.§1.6) ეს ცნობა მიანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად ეთნიკური ერთობის და საკუთარი ექსკლუზიურობის აღქმის არსებობისა, ჯერ კიდევ არსებობს მოძველებული ერთობის გადმონაშთები. რატომ არ ამბობენ ღალღაის ენას? იმიტომ, რომ ენა, რომელზეც ინგუშები საუბრობენ, არ არის ღალღაის თემის ენა. ეს ენა არ არის კუთვნილება იმ თემისა, რომლის სახელიც მთელს ხალხზე გავრცელდა და ეთნონიმად იქცა. შესაბამისად, ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა ახალი ეთნოიდენტობის ეთნონიმისასთვის კუთვნილი ენის სახელი, რაც ჩვენს დროში უკვე ფართოდ დამკვიდრებულია. ამრიგად, თუ XX საუკუნის ღალღაებში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ენისათვის საერთო სახელი, გარდა პრიმიტიულისა „ჩვენი ენა“, მაშინ VII საუკუნის ჩეჩნებში ენობრივი კუთვნილებით გამოცალკევება „ნახჩმატეანქის“ ანუ ნოხჩის ენაზე მოსაუბრეს სახით, ძალიან საეჭვოა. უძველესი წყაროების განხილვისას არ შეიძლება გამოვტოვოთ „ქართლის ცხოვრება“, ვინაიდან, „ქართლის ცხოვრება“ არის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის მემატიანეც. „ქართლის ცხოვრება“ ღურძუკთა გამოჩენას კავკასიაში ასე მოგითხრობს: „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუდრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკვდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღვთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომე-

კის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით.“ (ყაუხჩიშვილი.1955.5.) ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ღურძუკთა წინაპარი კავკასი იღებს მემკვიდრეობით მიწებს, რომლებიც არ იყო თარგამოსის წილი, მაგრამ უკაცრიელი იყო. „მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა და ესე თარგამოსიანთა ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშვიდობით სიყუარულსა ერთმანერთისასა.“ (ყაუხჩიშვილი.1955.11.) აქვე ავტორი აღნიშნავს რომ კავკასიის ჩრდილოეთით განსახლებისთანავე იწყება შეტევა ნომადური ტომებისა, რომლებიც მომავალში დიდ როლს შეასრულებენ კავკასიელი მთიელების, როგორც ეთნოიდენტობის ფორმირებაში, ასევე ეთნოგენეზში. ავტორი აქვე გვისახელებს, რომ კავკასის მთამომავალთა ზედა „იყო უფალ ღურძუკ, ძე ტირეთისი.“ რაც სავარაუდოდ ღურძუკთა სიმრავლეზე და პოლიტიკურ ძლიერებაზე უნდა მიუთითებდეს. შემდგომ ავტორი მოგვითხრობს ოსთა გამოჩენაზე კავკასიაში, რამაც გამოიწვია ღურძუკთა სამოსახლოს შეცვლა: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკის მდინარისა დასავალით, დასავლეთამდე მთისა. და დაემენა უობოს:და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო ღურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვსი ღურძუკეთი. და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა.“ (ყაუხჩიშვილი,1955.12.) ლეონტი მროველისეულ ცნობებს ადასტურებს ისტორია: „IV საუკუნის 70-იან წლებში ჩრდ. კავკასიის მოსახლეობას თავს დაატყდა ახალი დამპყრობელი. ამჯერად შემოიჭრენ ცენტრალური. აზიიდან მოსული ჰუნები. მათ დაამარცხეს ალანები და საგრძნობლად შეავიწროეს ისინი. ალანური მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა მთებში შეხიზნულიყო. ამიერიდან ალანური სამოსახლოები ჩნდება დიდი კავკასიონის მთიან რაიონებში, ყუბანის შესართავიდან მდ. სუნჯამდე.“(ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები.30.) ამასვე გვამცნობს ვახუშტი

ბატონიშვილი: „დურძუკოს უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორისკავკასისა, შემოივლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვსი, ამის გამო ეწოდა არაგვს აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა.1941.106.) სწორედ აქედან უნდა ვივარაუდოთ დურძუკთა//ძურძუკთა, როგორც ცალკე ეთნოსის ჩამოყალიბება. ქართლის ცხოვრების მიხედვით ოსების გამოჩენამდე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი იყვნენ „კავკასიანნი“ ანუ კავკასოსის შთამომავალნი. ამ ერთობაში უფროსი გახლდათ დურძუკი. საინტერესოა, რატომ აღნიშნავს ამ მომენტს ლეონტი მროველი, ვინაიდან დღევანდელი ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური რუქიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასოსის შთამომავალნი უნდა იყვნენ ის ხალხები, რომლებიც კავკასიის ავტოქთონ მოსახლეობას წარმოადგენენ და სახლობენ დარიალიდან დასავლეთით. „მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით.“ ამ ტერიტორიაზე კი აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხები სახლობენ. რატომდაც, სწორედ ამ ერთობაში მოიწოდება დურძუკიც, რომელიც მოგვიანებით შედარებით აღმოსავლეთით გადმოსახლდება. ოსთა გამოჩენა აიძულებს დურძუკს დატოვოს ის მამულები, რომლებიც მდებარეობს თერგიდან დასავლეთით და გადმოინაცვლოს ლეკოსის კუთვნილ მიწაზე. ზემოაღნიშნული მომენტი დაპირისპირებაში მოდის იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ცნებასთან, ვინაიდან ამ ენობრივ ოჯახში ნახური ენათა ჯგუფი უფრო ახლოს ითვლება დადესტნურთან და ხშირად ერთ, ნახურ-დადესტნურ ჯგუფადაც მოიაზრება. შესაბამისად, უფრო მართებული იქნებოდა, დურძუკი ლეკოსის შთამომავლი ყოფილიყო, მაგრამ ლეონტი მროველი მას კავკასოსს უკავშირებს. ამრიგად, სწორედ ამ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ დურძუკთა გამოყოფა. ეთნოიდენტობის შესაქმნელად უკვე არსებობს ეთნარქი „დურძუკ, ძე ტირეთისი“ და იქმნება სამშობლო დურძუკეთის სახით. შემდგომში „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ: „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა და მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი.“ შესაბამისად, საქართველოს სამეფო კარი უნათესავდება დურძუკეთს, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ დურძუკ-

თა ეთნოგენეზისი დამთავრებულია და ისინი გვევლინებიან, როგორც უკვე შემდგარი ეთნოსი, რომელსაც სავარაუდოდ ჰყავს თავისი ელიტა. ფარნავაზის შვილის მეფე საურმაგის პერიოდში კი დურძუკნი, როგორც მეშველი ძალა, ეხმარებიან თავიანთ „დისწულს“ საურმაგს ტახტის დაბრუნებაში. „მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დის-წულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთი-ცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა. და ვერ-ვინ წინა-აღუდგა მას. და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი; და რომელთა-მე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი, ხოლო განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი. ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნი-ვე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერ-და-რა იტევდა დურძუკეთი.“ (ყაუხჩიშვილი.1955.27) აქვე აღსანიშნია ის მომენტი, რომ ოსეთს ჰყავს მეფე, ხოლო დურძუკეთს არა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დურძუკებს არ გააჩნიათ ერთიანი სამეფო ხელისუფლება, მაგრამ ამავე დროს ქართლის მეფის მიერ, დურძუკი ქალის შერთვა და შემდგომში მათ მიერ განხორციელებული სამხედრო დახმარება მიუთითებს იმაზე, რომ დურძუკეთში გარკვეული სახის ცენტრალიზებული ხელისუფლება არსებობდა, მაგრამ სავარაუდოდ არა სამეფო, არამედ რომელიმე ძლიერი მაჰარისა ან თეიფის ხელმძღვანელობით. აქვე შეგვიძლია გავავლოთ პარალელი გვიანდელი წყაროების მასალებთან. "ზოგიერთ საზოგადოებას ჰყავს დამოუკიდებელი მმართველი თავადები, როგორც, მაგალითად, ჩეჩნებს – გვამცნობს ავტორი – სხვებს არ ჰყავთ თავად-აზნაურობა, მაგრამ ირჩევენ უზუცესებად (старшины) თავიანთ ერთობაში ყველაზე მდიდრებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც დიდი სანათესაო ჰყავთ, რომლებსაც ისინი არ ექვემდებარებიან ისე, როგორც მათ (სტარშინებს) სურთ. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რამოდენიმე საზოგადოებას საქმიანობის ანალიზისას ი. ა. გიულდენშტედტი, აღნიშნავს, რომ საზოგადოება ჩეჩენში მცხოვრებ მთიელებს ჰყავთ თავიანთი თავადები და გამეფებულია (царствую-

ყაყა) მათ შორის „ტურკან“-თა გვარი. ათაგის საზოგადოების მცხოვრებლებსაც ჰყავდათ თავადები, ხოლო ყარაბულაყის¹ საზოგადოების მცხოვრებლები, უფრო სწორედ კი მათი თემები – ი. ა. გიულდენშტედტის მიხედვით – იმართებოდა არა თავადების, არამედ უხუცესების მიერ.“ (ახმადოვი. 2002. 8) ამრიგად, წყაროთა გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღურძუკი კავკასიის სარბიელზე წარმოადგენს პოლიტიკურად ერთიან ეთნოსს. მაგრამ ასევე ჩნდება ეჭვი, რომ ღურძუკთა შორის შიდა ეთნოსური დაყოფა არსებობს. ვინაიდან, შემდგომში ჩვენ ვიღებთ ორ ხალხს ინგუშებისა და ჩეჩნების სახით. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ საკითხთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი ჰევნი იგინი დამთენ მეფეთა თვისთასა, და იწოდენ ჰევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კვალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად და ღლიღვად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკოს ძეთაგან ანუ შემოსულთა ოვსთაგანვე (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 107.) ძვ. წ. IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე ისინი ღურძუკებად მოიხენიებიან, ხოლო XIII საუკუნიდან კი ღურძუკთან ერთად ჩნდება ეთნონიმი ქისტი. „სახელწოდება ქისტი პირველად VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული, იგივე ტერმინი მოხსენიებულია XIII საუკუნის ქართულ წყაროშიც“ (თოფჩიშვილი. 2012.94). მაგრამ როგორც ზემოთ ვახსენეთ, ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი სომხური გეოგრაფიისა არის მრავალჯერადი გადაწერის „მსხვერპლი“. შესაბამისად, ნაკლებად სანდოა ეთნონიმთა წარმოშობის პერიოდის დასადგენად. ეთნონიმ ქისტის წარმოშობასთან დაკავშირებით კავკასიოლოგიურ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ სოფლის სახელთან არის დაკავშირებული. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ ქართული ქისტი ვაინახური „ლოამაროი/ლამ ქერსთი“- მთიელი ქრისტიანებისგან უნდა მომდინარეობდეს. ეთნონიმის ცვალებადობა თავისთავად მიუთითებს ახ-

¹ ყარაბულაყები (ყრც. Карабулаки) - ორცხოელთა ეგზოეთნონიმი, მომდინარეობს თურქული „ყარა“- „ბულაყ“-იდან, რუსულში გამოყენებადი სახელწოდება ორცხოელებისა.

ალი ეთნოიდენტობის ფორმირებაზე და, მართლაც, თუ ჩვენ გავა-
ანალიზებთ აღნიშნული ეთნონიმის გაჩენის პერიოდის (ქართუ-
ლი წყაროების მიხედვით) ისტორიულ მოვლენებს, შევძლებთ გა-
ვიგოთ, თუ როგორ მოხდა ახალი ეთნონიმის და, შესაბამისად, ახ-
ალი ეთნოიდენტობის ჩამოყალიბება. ეთნონიმის წარმოშობიდან
გამომდინარე აღსანიშნავია, რომ ვაინახთა ამ იდენტობის ფორ-
მირებაში უდიდესი როლი რელიგიამ შეასრულა. აღნიშნული ეთ-
ნონიმის რელიგიურ საფუძველზე წარმოშობა გარკვეულ წილად
ჰგავს ქართველისა და ქრისტიანის გაიგივებას. როგორც ცნობი-
ლია, IX-X საუკუნეებში საქართველოს სამეფო კარი ანხორციელ-
ებს აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიის
მთიელთა გაქრისტიანებისათვის, რასაც მოწმობს IX-X საუკუნეებ-
ის ტყობა//თხაბა ერდის, ალბი ერდის, გალ ერდის და სხვა ეკლე-
სიები. აქვე უნდა ითქვას, რომ, როდესაც რუსული წყაროები აღწე-
რენ ზემოთ ხსენებულ ხეობებსა და საზოგადოებებს, აღნიშნავენ,
რომ: „არც თუ ისე ცოტაა დალდაისა და ჯეირახში ნამდვილი
ქრისტიანული ტაძრები. ქრისტიანობს შენარჩუნებას დალდაისა
და ჯეირახში ხელს უწყობდა ქართველი ერი და საქართველოს სა-
მეფო კარი, აქ შემორჩენილია საეკლესიო წიგნები ძველქართუ-
ლად. ნელ-ნელა ქრებიან მოხუცები, რომლებიც იცავდნენ ქრის-
ტიანულ მარხვებს“. „დალდაი და ჯეირახი უფრო მდიდარია. ოდ-
ესღაც აქ არსებული ქრისტიანული ქვის შენობებითა და ძეგლე-
ბით, ვიდრე მეზობელი არდუნის ოკრუგის საზოგადოებები“. „მუ-
სულმანობა წლიდან წლამდე სულ უფრო ვრცელდება ჩეჩნეთის
დაბლობის ზეგავლენით, მაგრამ ამასთან რჩება სათაყვანისმცემ-
ლოდ ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ქრისტიანობას-
თან“ (Сборник документов и материалов.2014.501) ასე რომ, ვაინ-
ახებში ქრისტიანობის ცენტრი უნდა ყოფილიყო ქისტის წყლის-
არმხისა და ასას ხეობები. შესაბამისად, ქისტთა, როგორც ვაინახ-
თა ახალი ეთნოიდენტობის წარმოშობის აკვნად, სწორედ რომ
დღევანდელი ინგუშეთის მთიანი ნაწილი უნდა ვივარაუდოთ. სა-
ინტერესოდ აღწერს მათ რელიგიურ აღმსარებლობას იოჰან გი-
ულდენშტედტი, რომელიც პროვინცია ქისტეთის აღწერისას ამ-
ბობს: „ყოველგვარი უკულტურობის მიუხედავად, ქრისტიანობის
კვალი მათ ყველაზე მეტად შემორჩათ სხვა კავკასიელთა შორის.

მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც დაკლას¹ უწოდებენ და არ იციან არც კერპები, არც სხვა ღმერთები და წმინდანები. როგორც აფხაზები, ისინიც კვირას უქმობენ, ყოველგვარი სამუშაოს მიტოვებით. ზაფხულში ისინი უფრო მცირე ხანს, ზამთარში კი უფრო ხანგრძლივად არ სჭამენ ხორცს. მთელი ხალხი პატივს სცემს მოხუც ღვთისმოსავ განდევილს, რომელიც თავის თავს ცანი სტაგს (წმინდა ადამიანს) უწოდებს, ცხოვრობს მაღალ მთებში ძველ ეკლესიასთან და დიდმარხვის შემდეგ დასაკლავ ცხვრებს აკურთხებს სახსნილოდ. ისინი, მაჰმადიანების მსგავსად, რამდენიმე ცოლს ირთავენ, მაგრამ ღორის ხორცს კი სჭამენ, წინააღმდეგ მაჰმადიანთა წესისა“ (გიულდენშტედტი.1809.81-82). ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ქრისტიანობის კვალი მათ ყველაზე მეტად შემორჩათ სხვა კავკასიელთა შორის“. ასევე ფრიად საინტერესოა „ცანი სტაგის“ შესახებ მონათხრობი, რომელიც პირდაპირ გამოძახილს ჰპოვებს ქართველ მთიელთა რელიგიურ კულტურაში, რასაც ნათლად გადმოგვცემს ალექსანდრე ყაზბეგი, თავის ნაწარმოებში „მამის მკვლელი“ მოხევე იაგოს და ჩეჩენი ფარჩოს დიალოგში. სადაც, მოხევე აღნიშნავს: დეკანოზები რომ მისულიყვნენ ხატთან, ორი კვირა საწმენდად უნდა გასულიყვნენ და მხოლოდ ამ პროცედურის შესრულების შემდეგ შეეძლოთ ხატთან მისვლა და საკლავის, შესაწირის დაკვლა ანუ მთის წესით ღვთისმახურების აღავლენა. გაწმენდაში კი, იგულისხმებოდა სოფლისა და ხალხისგან გარიდება, „უწმინდურს აღარას შეეხებოდესაო, აღნიშნავს მოხევე“ (ითონიშვილი.2006.254) ინგუშეთის მთიანეთის ვაინახთა რწმენა-წარმოდგენები რელიგიური კუთხით ძალიან ჰგავდა მათ მეზობელ ქართველ მთიელებისას. XII საუკუნეში კავკასიის ბარის ტერიტორიაზე ბატონდებიან მონღოლები. მონღოლთა შემოსევების შედეგად 1239 წელს დაეცა უმსხვილესი ჩრდილო კავკასიის ქალაქი „მაგადე“ – მაგასი. მთელი ჩრდილო კავკასიის ბარის ტერიტორია შედის ჯუჩის ულუსის შემადგენლობაში, რომელიც ერთიანდება ოქროს ურდოში. „XII საუკუნეში, ჯუჩის ულუსის შემადგენელი მიწები იყო საკმაოდ ერთგვაროვანი, მათ ბირთვს ქმნიდა შავი და კასპიის ზღვისპირეთი და ჩრდილო

¹ დაკლა/Дахла-(ნახ.) ღმერთი

ყაზახეთის სტეპები ციმბირულ ჩუღიმანის მდინარემდე. “ (ეგოროვი.1985. §2). ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობაც იყოფა ორ ნაწილად, რომელიც ცხოვრობდა მთაში, ან გაიხიზნა და მეორე, რომელიც სახლობდა ბარის ტერიტორიაზე და შესაბამისად, აღმოჩნდა მონღოლთა ბატონობის ქვეშ. “ჩრდილო კავკასიის სტეპები და ყირიმის ნახევარკუნძული მონღოლების მიერ იყო დაპყრობილი, მაგრამ მთაში რჩებოდნენ ტომები, რომლებიც ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. და ოქროს ურდოს ყაენები XII საუკუნის მეორე ნახევარშიც განაგრძობდნენ მათთან ბრძოლას.” (ეგოროვი ვ.ლ.1985 : §2) „როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიის ბარის ტერიტორიის დიდი ნაწილი: იმიერ კავკასია, პიტიგორიე, ყაბარდო-ბალყარეთი, ოსეთი, ინგუშეთი გაერთიანდა ოქროს ურდოში, ჩინგიზ ხანის შვილის ჯუჩის ულუსში“ (გრეკოვი, იაკუბოვსკი. 1937. 66; 1950. 61-62). ვინაიდან ბარის ტერიტორია მონღოლებს ეკავათ და იქაური მოსახლეობა, განსხვავებით თავის მოძმე მთიელებისგან, იყო მატარებელი განსხვავებული რჯულისა, რასაც მოგვიანებით ვახუშტიც აღნიშნავს: „ამ წყალზედ არს ანგუსტი, დაბა დიდი და არს შენობიანი ჰეობა ესე და დაბნებიანი. და მზღვრის ღლიდვს. ხოლო ანგუსტის მოსახლენი არიან მსგავსნი ჩერქეზთა, რჯულით მოჰმადლიანნი, სუნნი.“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 118.) ეს აღწერა პირდაპირ მიუთითებს მთისწინეთის მოსახლეობის განსხვავებულობაზე მთიელებთან მიმართებაში. შესაბამისად, შეიქმნა ტერმინი, რათა აღენიშნათ თავიანთი თანამემამულენი, რომლებიც არ იყვნენ მონღოლთა ბატონობის ქვეშ და სავარაუდოდ აღმსარებლობითაც განსხვავდებოდნენ მათგან. ამასთან საინტერესოა ის გარემოება, რომ ინგუშებს ქისტთან, როგორც ქისტების ეთნარქთან დაკავშირებით ლეგენდაც აქვთ: “ამ გადმოცემებს შორის ჩვენ, ვადიარებთ ერთ განათლებული ინგუშის გ. ჩ. აფრიევის მიერ მოწოდებულ გადმოცემას, რომელიც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ გადმოცემის მიხედვით, ვინმე ქისტი სირიის მმართველის შვილი, დასახლდა თერგის სათავეებში, დააარსა აული ერზი(არწივი) და მსგავსად თავისი წინაპრებისა, გერბად აირჩია არწივის გამოსახულება. ქისტის შვილები აშენებდნენ კოშკებს, ციხე-სიმაგრებს და სახლდებოდნენ მახლობელ ტერიტორიებზე. (პანტიუხოვ. 1901. 2-3) სავა-

რაუდოდ, გადმოცემა ისლამიზაციის პერიოდშია შექმნილი და ქისტის სირიიდან მოსვლას რელიგიური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ამრიგად, ნომადური ტომების მოწოლისა და ღურძუკთა საზოგადოების სავარაუდო გახლეჩვის ნიადაგზე, ვაინახებში ხდება ახალი ეთნოიდენტობის ჩამოყალიბება. მართალია, ღურძუკი რჩება და განაგრძობს არსებობას, რაზეც მოგვიანებით ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, მაგრამ ამავე დროს გამოიყოფა ქისტი, რასაც საფუძვლად ახალი რელიგიური აღმსარებლობა (ამ შემთხვევაში ქრისტიანობა) უნდა ედოს სათავეში. მსგავსად ქართველი ქრისტიანისა და წარმართი ქართლოსიანისა, ხდება გადასვლა ახალ ეთნოიდენტობაზე. გვიან შუა საუკუნეებიდან კი ვაინახებში შემდეგნაირი სიტუაცია გვხვდება: ვაინახთა ერთობა დაყოფილია სამ დიდ ჯგუფად. ეს არის ქისტი – არმხის ხეობაში, ღლიღვი – ასას ხეობაში და ღურძუკი. ამ პერიოდის ვაინახებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: “არამედ ეს ჰევნი, რომელნი აღვსწერეთ, პირველი იყო ყოველთა სახელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრეთ განიყოფებიან.” (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 118) „ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს ჯარიეხი, კლდე დიდი, მოვლელული ველსა დიდსა გარე. ქარაფოვანი, და ამით არს ფრიად მაგარი, და შენი არს კოშკი დიდი, ზღუდოვანი, ვითარცა ციხე და ამ წყალსა ზედა ჰეობაში, ამ ჯარიეხის ზეით, არს ქისტეთი დაბიანი, შენობიანი.” (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 118) „კვლავად ამისა სამჯრით, ქისტეთ ზეით არს ღურძუკი. შენობიანი, დაბიანი, კოშკოვანი ორივე. ხოლო ამ ქისტ-ღურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი, ღლიღოსისაგან ღურძუკოს ძის ძისგან” (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 118) ამრიგად, ჩვენ გვაქვს სამი ვაინახური საზოგადოება, და ამასთან კიდევ „ჯარიეხი“ და „ანგუსტი“ – „ამ წყალსა არს ანგუსტი, დაბა დიდი. და არს ხეობა ესე შენობიანი და დაბიანი” (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941. 118) ასევე ვახუშტისეულ რუკაზე ქისტ-ღურძუკებისა და ღლიღვების პარალელურად აღნიშნულია ჩეჩენი, მაგრამ ამ საზოგადოებებთან საერთო არაფერი აქვს და მოქცეულია დაღესტნის ტერიტორიაზე. საფიქრებელია, რომ ამ დაყოფის შედეგად იწყება ღლიღვეთის გაძლიერება – სწორედ რომ ამ სამი თემიდან

ერთ-ერთის, რომელიც მომავალში მოახდენს სხვა თემების კონსოლიდირებას თავის გარშემო და გახდება ინგუშთა ენდოეთონიმი, რაზეც მიუთითებს გვიანდელი წყაროები : „ვაინახთა ამ ნაწილის წარმომადგენელნი: თავის თავს ეძახიან ქისტებს, ღალდაის, ინგუშებს და ეს სახელწოდებები გამოიყენება, როგორც სინონიმები. ერთ სახელწოდებას იყენებენ მეორეს მაგივრად“ (დახკილგოვი.2005.248). „თანდათანობით სახელწოდება „ინგუში“ იქნა გადატანილი ყველა ტომობრივ წარმონაქმნებზე, ოდესღაც ცნობილი, როგორც „ღალდაი“, „ქისტი“, „ცორელები“ („цоринцы“) და სხვა, გაერთიანებულნი საერთო ტერიტორიითა და ენისა და კულტურის ერთობით. ჯერ კიდევ, არც თუ ისე ადრე, ინგუშები – მთიელები ეძახდნენ საკუთარ თავს „ლამურ“-ს ან „ლამრო“-ს, რაც აღნიშნავს მთიელს. ხოლო ცალკეული მათი ჯგუფები, ცალკეული ტომები, არც თუ ისე შორეულ წარსულში საკუთარ თავს ეძახდნენ: „ღალდაი“, „ქისტი“, „ქიაპელები“ „ცორელები“ „არმტხოვლები“ და სხვა. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს ღალდაის ტომობრივი ჯგუფის, რომელიც სახლობდა ასის ხეობაში – ინგუშური კულტურის უძველეს ცენტრში, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, ამ ტომის სახელი „ღალდაი“ გავრცელდა სხვა ინგუშურ ტომებზეც. ყოველ შემთხვევაში დღესაც ინგუშები საკუთარ თავს „ღალდაი“-თ მოიხსენიებენ.“ (კრუპნოვი. 1971.24-25.)

ამრიგად, ღურძუკიდან ღლიღვამდე ვაინახებში რიგი ეთნიკური გადასვლები ფიქსირდება, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ვაინახი ხალხები. აქვე ჩნდება კითხვა, თუ რა ხდება ამ პერიოდში ჩეჩნეთში, რაზეც პასუხის გაცემა ძნელია. ჩვენ მიერ დასახელებული ეთნონიმები ძირითადად განეკუთვნება დასავლეთ ვაინახებს, ვინაიდან, ვახუშტის მიერ მოცემული განსახლების არეალი მოიცავს სწორედ რომ დღევანდელი ინგუშეთის ტერიტორიას და დღევანდელი ჩეჩნეთის დასავლეთ მთის ნაწილს. ამ საზოგადოებებს რუსული წყაროები „Дальне Кистинцы“- ით ანუ შორეულ ქისტებად მოიხსენიებენ. სწორედ ჩეჩნეთის დასავლეთ ნაწილსა და ინგუშეთის აღმოსავლეთ ნაწილში სახლობენ რიგი ვაინახური თემებისა, რომლებიცაა აჰა და ორცხო. აუცილებელია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ისტორიული და თანამედროვე ქისტები, ვინაიდან,

ჩემი აზრით, ისტორიული ქისტეთის შექმნით გაერთიანდა მთელი რიგი ღლიღვური თემებისა: ჯაირახის, მეცხალის, ღლიღვთა (ასის ხეობა,) ცორი¹ და არღუნის ქისტების². მოგვიანებით რუსული ადმინისტრაციული მოწყობითაც ეს საზოგადოებები ინგუშეთის „ოკრუგის“ მთის მონაკვეთში ერთიანდება „ჯეირახის სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ქართულ სამხედრო გზაზე) მდებარეობს ღრმა ხეობა, რომელსაც ქმნის მდინარე არმ-ხის (ქისტინკა) დინება, რომელშიც ბინადრობს ორი მთის საზოგადოება: ჯეირახის და ქისტთა; შემდეგ კოჯარ-დოგუშტის ქედის გადაღმა, მდინარე ასის ხეობაში, განლაგებულია ღაღლაელებისა და ცორელების დასახლებები; მათგან აღმოსავლეთით მდინარე გეხის გასწვრივ სახლობენ ახიელები და მდინარე ფორტანგზე კი მერე-ჯენლები (мереджинцы). 1866 წელს ეს ექვსი საზოგადოება ქმნიდნენ ინგუშეთის „ოკრუგის“ მთიან ნაწილს. (Сборник сведений о Кавказских горцах. 1870. том III. §5:1) როგორც ვხედავთ, XIX საუკუნისთვის ვახუშტის მიერ XVIII საუკუნეში აღწერილი სამი მსხვილი საზოგადოება (ღლიღვი, ქისტი, ღურძუკი) დაშლილია რამოდენიმე წვრილ საზოგადოებად, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ვაინახებში არ არსებობდა ერთიანი, ეთნიკური ერთობა. ამასთან, როგორც ჩანს, ისინი ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე და, სავარაუდოა, რომ ყველა მსხვილი გაერთიანება ღურძუკისა (რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როგორც წყაროდან ჩანს, ნომადური ტომების მოწოლის, ასევე ოსების გამოჩენით და ზემოაღნიშნული ეთნარქის ღურძუკის გადასახლების შედეგად ჩამოყალიბდა) და ქისტის (რომელიც ასევე სავარაუდოდ, მონღოლთა შემოსევების შედეგად და საპასუხოდ ყალიბდება) სახით იქმნებოდა არსებული გამოწვევების საპასუხოდ და ვერ ახერხებდა დიდხანს არსებობას ამ გამოწვევების ცვალებადობის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სიტუაცია არ ნიშნავს იმას, რომ ეს საზოგადოებები არ იყვნენ მონათესავე ან ერთი ეთნოსის ნაწი-

¹ ცორი – ღლიღვური თემი სახლობდნენ ღლიღვთა და ახიელთა შორის, მათ ასევე Далногалгаевцы-ის სახელითაც მოიხსენიებენ.

² არღუნის ქისტები – არღუნის სათავეებში მცხოვრები თემი, მათ ასევე Далные кистинцы-ის სახელით მოიხსენიებენ.

ლი. ზემოაღნიშნული სიტუაცია, ჰგავს ქართული სამეფო-სამთავროების ბრძოლას ვინაიდან, ვაინახებში არ არსებობდა ერთიანი ცენტრალიზირებული, სამეფო ხელისუფლება. არ არსებობდა ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც ისტორიულ მეხსიერებასა და ეთნიკურ ისტორიაზე დაყრდნობით, შეძლებდა ახალი სიცოცხლე მთაებერა ძველი ერთობისთვის. შესაბამისად, ვაინახთა ერთობა მყიფე გახლდათ და მათი ეთნოიდენტობის განგრძობადობა სავარაუდოდ ძალიან მცირე ისტორიულ პერიოდს მოიცავდა. მართალია, ქართული წყაროები მათ კრებითად მოიხსენიებენ, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის უცნობია, რა პროცესები მიმდინარეობდა ამ კრებითი ეთნონიმის შიგნით. ვაინახთა ერთიანობის იდეა მათი ისტორიული მეხსიერების ნაყოფია. ისტორიულად დამოწმებული ღურძუკის არსებობა გარკვეულწილად, საფუძველს აძლევს დღევანდელი „ვაინახის“, როგორც არა სამეცნიერო ტერმინის, არამედ ეთნოიდენტობის არსებობას. მაგრამ ვაინახს არ გააჩნია ისტორიული დამოწმება. წყაროთმცოდნეობისათვის უცნობია ვაინახით აღნიშვნა ამ ხალხებისა. მხედველობაში გვაქვს შუასაუკუნეების ან უფრო ადრინდელი და გნებავთ გვიანდელი წყაროები. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია, შესაბამისი წყაროების უქონლობის გამო, ისტორიულად ზუსტად გავშიფროთ მათი, როგორც ცალკეული ხალხების ჩამოყალიბების საფუძვლები და უწყვეტი ქრონოლოგიური ხაზით გავაანალიზოთ მათი ეთნოიდენტობათა ფორმირების პროცესი, მაგრამ მათი ისტორიის ცალკეული მონაკვეთების, ცალკეულ ეთნონიმთა და ეთნიათა ისტორიული გზის გაანალიზებით და დღევანდელობაში ამ ხალხების ენისა და კულტურის (ცალკეული ნიუანსების გამოკლებით) შესწავლის საფუძველზე მათ საერთო წარმოშობასა და საერთო ისტორიულ წარსულის არსებობაში ეჭვი არავის ეპარება. ამასთან ისტორიული მასალის უქონლობა მრავალ კითხვის ნიშანს სვამს და ღიად ტოვებს ვაინახთა ისტორიის მრავალ თავს. ხოლო უპირველესი მათ შორის, აქტუალურობიდან გამომდინარე, გახლავთ კითხვა: აქვთ თუ არა ვაინახებს, ინგუშებსა და ჩეჩნებს საერთო, საზიარო ისტორია? იყო თუ არა ღურძუკი//ძურძუკი ერთიანი ეთნოსი თუ წარმოადგენდა ცალკეულ ტომთა კავშირს? მსგავსად ჰუნებისა, ალანებისა და სხვა... ვინაიდან და რადგანაც, ჩვენ გავწვინილავთ ვაინახ-

თა ეთნოგენეზს ეთნოსიმბოლიზმის პრიზმამი, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ანალიზი ეთნოიდენტობის, სწორედ რომ ამოსავალი წერტილის – დურძუკისა, რის საფუძველზეც, შემდგომში, ყალიბდებოდა ახალი ეთნოიდენტობები. უნდა დავადგინოთ, აქვს თუ არა ისტორიული საფუძველი ეგრეთ წოდებული „ვაინახისტების“ თეორიას ერთობის, ვაინახთა ერთი ეთნოსის არსებობის შესახებ.

პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ კითხვიდან, თუ ვინ არიან დურძუკნი და როდიდან გამოდიან კავკასიის სარბიელზე. შესაბამისად, უნდა მივმართოთ ჩვენს ხელთ არსებულ უძველეს წყაროებს, როგორიცაა: „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც ისინი პირველადი ეგზოეთნონიმით დურძუკით გვევლინებიან და მათი წარმოშობისა და განსახლების შესახებ მოგვითხრობს ლეონტი მროველი. წყაროთა სიმცირის გამო გაგვიძნელებდა დურძუკთა ერთიანობის არგუმენტირება. ვინაიდან, ეთნიკური იდენტობის სწავლისას, არსებობს ამგვარი პრაქტიკა, როდესაც ეთნოსი ჯერ ვერ აცნობიერებს საკუთარ მსგავსებას, მაგრამ სხვები განარჩევენ, გამოყოფენ მათ. ჩვენ არ შეგვიძლია სრულყოფილად ვუპასუხოთ კითხვას, იყო თუ არა დურძუკი ერთიანი, ჩამოყალიბებული ეთნოსი, ვინაიდან არ გვაქვს მონაცემები მათში მიმდინარე შიდა პროცესების შესახებ. აქვე აღსანიშნია, რომ აღნიშნულ ერთობას ქართული წყაროების მიხედვით ჰყავს ეთნარქი, „დურძუკოსი“, რაც ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების უტყუარი მანიშნებელია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ წყაროში ლეონტი მროველი ცდილობს ახსნას კავკასიელთა წარმოშობა და მსგავსად ქართველებისა, რომლებიც ამ პერიოდში უკვე სახელმწიფოებრიობის მქონე შემდგარი ეთნოსია, მოუძებნოს მეზობელ ერებს წარმოშობის კერა და წინაპარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქართველებისა და სომხებისთვის ეთნარქის სახელი მათივე ენაზე წარმოთქმული ენდოეთნონიმი საკუთარ სახელად არის წარმოქმნილი, დურძუკის წარმოშობა და ამ სიტყვის კუთვნილება რომელიმე ენისათვის ჩვენთვის უცნობია (საკითხის ირიგვლივ გამოთქმული თეორიების მიუხედავად). შესაბამისად, მათი ერთობის არსებობაზე პასუხის გაცემა რთულია, ვინაიდან, ჩვენთვის უცნობია: დურძუკეთში მიმდინარე შიდა პროცესები, ზუსტი განსახლების არეალი, ენდოეთნონიმის არსებობა და, რაც

მთავარია, ენა. აღნიშნულ კითხვებზე, თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით ნაწილობრივ შეგვიძლია პასუხის გაცემა. როგორც ცნობილია, ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა:

1. საერთო ენა;
2. თვითაღქმა, საერთო ენდო და ეგზოეთნონიმი;
3. საერთო რელიგია;
4. სამოსახლო ტერიტორია, სამშობლო, მამული;
5. საერთო კულტურა.

ან, უფრო ზუსტად, ე. სმითის მიხედვით: „ეთნიკური ერთობის ექვსი მახასიათებელი (ეთნიკური ერთობა ანუ ეთნი-ethnie, თუ მოვიშველიებთ ფრანგულ ტერმინს) : 1) კოლექტიური საკუთარი სახელი; 2) საერთო წინაპრის მითი; 3) ზიარი ისტორიული მემკვიდრეობა; 4) საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი; 5) განსაკუთრებულ მშობლიური მიწა-წყალთან ასოცირება; 6) სოლიდარობის გრძნობა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში. (სმითი.2008.27) ზემოაღნიშნული ერთობა ყველა ამ კრიტერიუმს სრულყოფილად ვერ პასუხობს.

1. ენა: მართალია, მათი ენის შესახებ არ გვაქვს ამ პერიოდის მონაცემები, მაგრამ დღევანდელი მონაცემებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აღნიშნული ერთობის ენა ალბათ იყო თუ არა ერთიანი, მაშინ მონათესავე ენები მაინც, რომლებიც დღეს გვევლინებიან ჩეჩნურ და ინგუშურ ენებად;

2. არ გვაქვს ასევე ცნობა „დურძუკთა“ ენდოეთნონიმის არსებობის შესახებ, ჩვენთვის ასევე უცნობი რჩება საკუთრივ ეთნონიმ დურძუკის წარმოშობა;

3. დურძუკთა რელიგიის შესახებ წყარო არ გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ ის, რომ წარმართობას მისდევდნენ. მხოლოდ გვიანდელი მონაცემებიდან ხდება ნათელი მათი წარმართული პანთეონისა და რელიგიის ზოგი მახასიათებელი, მაგრამ დურძუკთან დაკავშირებით რელიგიის საკითხი უცნობია;

4. განსახლების ტერიტორიის შესახებ წყარო მოგვითხრობს, რომ მათი განსახლება კავკასიაში ხდება ჯერ სამხრეთიდან ჩრდილოეთით, შემდეგ -დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ასევე აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მათ მოუხდათ პირველადი განსახლების არეალის მიტოვება და უფრო აღ-

მოსავლეთით გადასახლება: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკის მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე მთისა. და დაეშენა უობოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვსი დურძუკეთი“ (ყაუხჩიშვილი.1955.12).

5. ინგუშებისა და ჩეჩნების კულტურა რთულად თუ განირჩევა ერთმანეთისგან, მაგრამ გარკვეული სხვაობა მაინც ჩანს, რაც კავკასიისათვის დამახასიათებელია. შესაბამისად, რთულია ვთქვათ, „დურძუკი“ იყო თუ არა ერთიანი ეთნოსი.

ენასთან დაკავშირებით ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდისათვის მათი ენა გახლდათ იბერიულ კავკასიური ოჯახის ნახური ჯგუფის ენა, რომელიც სავარაუდოდ, ჯერ არ იყო დამოუკიდებელი ინგუშურ, ჩეჩნურ და წოვა-თუშურ ენებად. დურძუკთა ერთობაზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კავკასიის სარბიელზე დურძუკი პოლიტიკურად ერთიანი ჯგუფია, მაგრამ ეთნიკურობის დონეზე მონაცემთა სიმცირის გამო ძნელია, დაბეჯითებით ვისაუბროთ ამ თემაზე. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ისინი არსებობენ, როგორც ცალკე საზოგადოებები. ამასთან დასაზუსტებელია, თუ რომელი საზოგადოებები იყვნენ ნაწილნი დურძუკთა ერთობისა. მაგალითად, იყვნენ თუ არა დღევანდელი ჩეჩნების წინაპრები დურძუკთა ერთობის ნაწილი, ანუ, მოიაზრებოდა თუ არა დღევანდელი ჩეჩნეთის ტერიტორია დურძუკეთის ნაწილად. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული მასალა გვაძლევს საშუალებას, შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ აღნიშნული საკითხი. გავიხსენოთ თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც მოთხრობილია ამბოხი „ფხოველთა და დიდოელთა“. მეფე თამარი გზავნის ამბოხის ჩასახშობად ივანე ათაბაგს. ათაბაგმა რაზმები ხადის მთაზე აიყვანა და გადავიდნენ „მთასა ფხოველთა და დიდოთასა“, (მეტრეველი.1991.210-213.) რითაც მან ერთ მხარეს მოიქცია დურძუკეთი, ხოლო მეორე მხა-

რეს დიდოეთი და ფხოვი. როგორც ვხედავთ, ათაბაგი სიფრთხილეს იჩენს და იკავებს ისეთ სტრატეგიულ სიმაღლეს, რომ შეძლოს გათიშვა ერთმანეთისგან დურძუკებისა და „განდგომილთა“. საფიქრებელია, რომ ის არ ენდობოდა მათ, ვინაიდან არ იცოდა, თუ ვის მხარეს დაიჭერდნენ დურძუკნი. მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „მთასა ფხოველთა და დიდოთას“ მდგომ ათაბაგს დურძუკთა „მეფეები“ ძღვენით ეახლნენ და „მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა“ (მეტრეველი. 1991.210-213.). როგორც ვხედავთ, სავარაუდო საზღვარი დიდოელთა, ფხოველთა და დურძუკთა არის „მთა ფხოველთა და დიდოთა“, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გახლდეთ ან ტებულოს მთა ან „ბაშ ლამი“, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახელწოდებით ორი მწვერვალია ვაინახებსა და ქართველებს შორის, პირველი – „ბაშ ლოამი“, მყინვარწვერი, ხოლო მეორე მდებარეობს თუშეთს, დაღესტანსა და ჩეჩნეთს შორის. მეტად სავარაუდოა, რომ მთა ფხოველთა და დიდოელთა წარსულში უნდა ყოფილიყო ტებულოს მთა, ვინაიდან ფხოვის ადგილმდებარეობა შემდეგნაირი გახლდათ: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოელთა მთებზე არის ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავს (ჯავახიშვილი.1948.301) შესაბამისად, ზემოაღნიშნული მთა ფხოველთა და დიდოელთა არ უნდა იყოს „ბაშლაში“ არამედ უნდა იყოს ტებულოს მთა. ვინაიდან სწორედ რომ ტებულოს მთა მდებარეობს ისტორიული ფხოვის, დურძუკეთისა და დიდოეთის შესაყარზე. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ჩეჩნეთის აღმოსავლეთი მხარე – შატოი, ხულანდოი და სხვა, არ უნდა ყოფილიყო დურძუკეთის ნაწილი. შესაბამისად, ჩეჩნების ამ ტერიტორიაზე განსახლება გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, მსგავსად ახიელების განსახლებისა ხასავიურთში. ვინაიდან ახიელთა ისტორიული განსახლების ტერიტორია არის „აჰა“, რომელსაც დღეს „Горная Ахха“- დ მოიხსენიებენ. აღნიშნული ტერიტორია კი მდებარეობს ჩეჩნეთის დასავლეთ ნაწილში, ინგუშეთის მახლობლად. ამასთან, ჩვენი მონაცემების თანახმად, დურძუკნი სახლობდნენ დარიალის მახლობლად, მთებში. „ქართლის ცხოვრება“ და გვიანდელი წყაროებიც მიუთითებს ვაინახების განსახლებას უფრო დასავლეთით, ვიდრე დღეს არიან. „1927

წელს ლ. პ. სემიონოვის მიერ ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით, წარსულში ინგუშებს უცხოვრიათ ქურთათისა და დარგვის ხეობებშიც, საიდანაც ყაბარდოელთა და ოსთა ზეწოლის გამო, აყრილან და სანიბის ხეობაში დასახლებულან, შემდეგ კი ჩმის გავლით, თერგის მარჯვენა ნაპირზე. იგივე შეიძლება ითქვას მდინარე არმხის ხეობაზე, სადაც XVIII საუკუნეში ოსები დასახლებულან“ (თოფჩიშვილი. 2012.77) „არანაირად არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ ახლანდელი ვლადიკავკაზის ადგილას ადრე იყო ოსური აული „კაპკაი“, ვინაიდან ეს მიწა უხსოვარი დროიდან ეკუთვნოდათ ინგუშებს და ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ აქ მათთვის მტრული ტომების დასახლებას“ (რაკოვიჩი. 1990.3-4) „შენ მეკითხები, თუ რატომ არის ღონისარში ასეთი ლამაზი კოშკი? მართლაც არ ჰგვას არა სხვებს? ჩვენ, ირონებმა არ ვიცოდით ასეთი კოშკების შენება“ (სკაჩკოვი. 1905. 3) ასევე აღსანიშნავია, რომ ღურძუკის პირდაპირ შთამომავლად ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს ღლიღვოსს და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ვაინახთა მმართველობის მთავარი ორგანო „მეხეველი“, ანუ უხუცესთა უზენაესი საბჭო, ინგუშებისა და ჩეჩნების შემთხვევაში, სხვადასხვა ადგილას იმართებოდა, რაც თავისთავად მიუთითებს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთობაზე. შესაბამისად, ღურძუკთა განსახლების არეალი უნდა ვივარაუდოთ დღევანდელი ინგუშეთის, ოსეთის და დასავლეთ ჩეჩნეთის ტერიტორია. როგორც ჩანს, ამ ერთობიდან არის გამოსული თანამედროვე ჩეჩენტა წინაპარი და განსახლებულია ღურძუკეთის აღმოსავლეთით. შესაბამისად, ყოველგვარ აზრს მოკლებულია ზემოაღნიშნული ვაინახი ავტორების „ეთნოიდენტობის ძიების პროცესში“ გამოთქმული ვარაუდები, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ მიუთითებენ ვაინახების საერთო ისტორიის რიგ საკითხებზე და ხმარობენ მსგავს ტერმინებს, როგორიცაა ჩეჩენი და ჩეჩური სახელმწიფო. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეჩნეთის და ჩეჩენის, როგორც ცალკე ქვეყნისა და ეთნოსის წარმოშობა, გაცილებით გვიანდელი პროცესია, ისტორიული წყაროების გაანალიზებით მეტნაკლებად ნათელი ხდება, თუ როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა ღურძუკთა, ქისტთა და ღლიღვთა ეთნოიდენტობის ფორმირება და თუ ღურძუკი//ძურძუკი, ქისტი და

დღიღვი ერთმანეთთან უწყვეტ კავშირშია, ჩეჩენი ამ ერთობას გარკვეულ წილად მოწყვეტილია. „როდის ჩამოყალიბდნენ ჩეჩნები, როგორც ეროვნება? XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ინგუშური ტომების მიგრაცია მთიანი ზოლიდან დღევანდელ ჩეჩნეთის დაბლობზე, ამასთან ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელ გადასახლებულ ვაინახებიდან უნდა ჩავთვალოთ ყარაბულაყები ანუ არშთხოელები, ნახევრად მომთაბარე მესაქონლეები. ამ ემიგრაციამ გამოაძევა გრებენის კაზაკები თავიანთი თავდაპირველი განსახლების ტერიტორიიდან მდინარე სუნჯიდან, მდინარე თერგის გადაღმა“ (იაკოვლევი.1928.197) „ჩაჩნები თავიანთ წარმომავლობას გოლიათ ნოხჩეს (ნახჩის) უკავშირებენ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მას შვიდი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგანაც მთელი ჩაჩანი ხალხი წარმოიშვა. სხვა ვერსიით, მისი შვილები 12 ცალკეულ ოჯახად დაიყვნენ. სხვა ლეგენდა ჩაჩნების წარმომავლობას ორ ძმას: ჩარმოს და შოთოს უკავშირებს. ჩაჩნებს სხვა გენეალოგიური ლეგენდებიც აქვთ. ჩაჩნების ერთი შტოს ჩანთელთა (ანუ ითუმელთა) საფუძვლის ჩამყრელი იყო საქართველოდან გადმოსახლებული ითუმ ლიუნგიევი. მისი ერთ-ერთი შთამომავალი ყოფილა ჯალი. ჯალის ჰყოლია შვილები: ბარზგარი, ბაგომატიგარი, ეჟი-გარი, ხამატი-გარი და მურთაზ-გარი (გადმოცემის ჩამწერის განმარტებით, „გარი“ გვარის დანაყოფს აღნიშნავდა „ (თოფჩიშვილი. 2007.40) შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორი ხალხის იდენტობები ყალიბდებოდა არა ერთიან ეთნო-კულტურულ სივრცეში, არამედ ორ სხვადასხვა ეთნო-კულტურულ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ სივრცეებში. ამრიგად, ღურძუკი შესაძლებელია ყოფილიყო გაერთიანება რამდენიმე საზოგადოებებისა, რომლის სამართალმემკვიდრედ პოლიტიკურ, ეთნიკურ და სოციალურ-კულტურულ ჭრილში, ჩვენი აზრით, გვევლინება დღევანდელი ინგუშეთი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსული ადმინისტრაციული მოწყობით, ყოფილი ღურძუკეთის ტერიტორიას იკავებს ინგუშეთი: „ინგუშების ტომს, რომელიც იკავებს ბარსა და ქვაბულებს კავკასიის მთებისა, თერგის მარჯვენა მხრიდან არღუნის სათავეების და ფორტანგის დინებამდე მიეკუთვნებიან: 1) ნაზრანელები, კომბულეის საზოგადოებასთან ერთად, 2) ჯარიახელები, 3) ყარაბულაყები, 4) ცორელები, 5) ახლო ქისტები, მელხე-

ბის მცირე საზოგადოებასთან ერთად. 6) ღალღაი, 7) გალაშელები და 8) შორეული ქისტები.“ (Сборник документов и материалов. 2014.478) სწორედ მათ ტერიტორიებზეა განსახლებული ვახუშტისეული ქისტი, ღურძუკი და ღლიღვი. შესაბამისად, ერთობას ისტორიულად უნდა ეარსება სწორედ ამ ტერიტორიაზე. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაინახთა ერთობის არსებობა მცირე ისოტიულ მონაკვეთებს მოიცავდა, ხოლო მათი ეთნოიდენტობის ფორმირების ძირითადი ნაწილი კი მიმდინარეობდა მცირე საზოგადოებებისა და მცირე ეთნიების შიგნით, როგორიცაა: ღალღა, ნოხჩო, ორცხო, აჭა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პრობლემური ხასიათისაა თავად ინგუშის, როგორც ეთნოიდენტობის არსებობა, ვინაიდან რუსეთის „კავკასიური პოლიტიკის“ საფუძველზე ინგუშთა (იმ სახელწოდებით, რომლითაც მსოფლიო მათ იცნობს) წარმოშობის კერა არ არის დღეს ინგუშეთის შემადგენლობაში. ასევე, საინტერესოა, დღეისათვის ვაინახთა უფრო მცირე საზოგადოებების როლი, ვინაიდან, ორცხოს გააჩნია საკუთარი ენდო (ორცხო) და ეგზო (ყარაბულაყი) ეთნონიმი, განსახლების ტერიტორია, Ордохой мохк (ორცხოელიების მიწის) სახით და დამოუკიდებელი მმართველობის სისტემა. დღეს მათი ნაწილი ინგუშია, ნაწილი ჩეჩენი, რადგან მათი სამოსახლო ტერიტორია სწორედ რომ ამ ორ რესპუბლიკას შორისაა გადანაწილებული. შესაბამისად, ნაწილი თავს ინგუშად მიიჩნევს, ნაწილი ჩეჩენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორცხოელები იყვნენ სწორედ დასავლეთ ვაინახების, ეთნოკულტურული ერთობის წევრები. ამაზევე მიუთითებს ჭ ფონემის არსებობა მათ დიალექტში. მაგრამ, ასევე არის ნაწილი, რომელიც თავს მიიჩნებს არა ღალღად ან ნოხჩოდ, არამედ ორცხოდ და ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომელიც მიიჩნევს ორცხოს თუხუშად ან შაჰარად. და მართლაც, როგორც ჩანს ორცხოს, როგორც ცალკე ვაინახურ ეთნოსად ჩამოყალიბებას, ხელი შეუშალა მუჰაჯირობის პროცესმა. უფრო რთულადაა სიტუაცია აჭა-ს ანუ აჰიელთა შემთხვევაში. აღნიშნულმა საზოგადოებამ გამოჰყო საკუთარი თავი, ეთნონიმით და ისტორიულად ის არ გახდა ნაწილი არც ერთი ეთნიკური ერთობისა. მას მოიხსენიებენ როგორც ცალკეულ საზოგადოებას, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის ჩეჩენი ხალხის ნაწილია. ასევე, რთულადაა სიტუაცია მელხისა და მა-

ისტის თემებისათვის, ვინაიდან, როგორც წყაროები იუწყებიან, მელხები და შორეული ქისტები, ინგუშური ოკრუგის წევრებია და ეთნო-კულტურულადაც განეკუთვნებიან იმ ერთობას, რომელსაც ჩეჩნეთი თავის ღროზე გამოეყო და განაგრძო განვითარება მეტწილად ბარის ტერიტორიაზე. შესაბამისად, აღნიშნული მდგომარეობა მათი ეთნოიდენტობის ფორმირებაში გარკვეულ წილად გაორებას იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსეევი. ვ. პ. 1974. -Алексеев В. П. Происхождение Народов Кавказа. Москва.
2. ანდერსონი.ბ.2003.- წარმოსახვითი საზოგადოებანი. თბილისი. First published by Verso 1983.
3. ახმადოვი. შ.ბ. 2002.- Ахмадов. Ш. Б. Чечня и Ингушетия в XVIII – начале XIX Века. Грозный.
4. აღწერა სამეფოსა საქართველოსა 1941. – ლომოური. თ. ბერძენიშვილი.ნ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.
5. ბერჟე .ა.პ. 1991. – Берже. А. П.. Чечня и чеченцы. Грозный.
6. გიულდენშტედტი ი.ა. 1809- Гильденштедт И.А. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа. Санктпетербург.
7. გრეკოვი ბ.დ ; იაკუბოვსკი ა.იუ. 1937.- Греков Б.Д. Якубовский А.Ю. Золотая Орда (очерк истории улуса Джучив период сложения и расцвета в XIII–XIV вв). Ленинград.
8. გრეკოვი. ბ.დ; იაკუბოვსკი ა.იუ.1950. – Греков Б.Д. Якубовский А.Ю. Золотая Орда и её падение. Москва .
9. დახკილგოვ შ.ბ.2005. – Дахкильгов Ш.Э. Страницы Истории Ингушетии. Нальчик.
10. დეშერიევი. იუ. დ. 1963 – Дешериев Ю.Д. Сравнительно-историческая грамматика нахских языков. Грозный.
11. ეგოროვი ვ. ლ.1985. – Егоров В.Л. Историческая География Золотой Орды в XIII-XIV вв. Москва. Глава II.
12. ეთნოსები საქართველოში. 2008. თბილისი.
13. ვაგაპოვი. ა. 2006.- Вагапов. А. Происхождение этнонимов чечен и нохчи. Грозный.
14. თოფჩიშვილი. რ. 2012.- კავკასიის ეთნოლოგია. თბილისი.
15. თოფჩიშვილი. რ. 2007. – კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია ეთნიკური კულტურა. თბილისი.
16. ითონიშვილი. ვ. 2006. – ალექსანდრე ყაზბეგი. თბილისი.
17. იაკოვლევი ნ.ფ. 1928. – Яковлев. Н.Ф. К вопросу об общем наименовании родственных народов (чеченцы и ингуши). Записки северо-кавказского краевого горского НИИ. Ростов-на-дону.
18. იაკოვლევი ნ.ფ. 1925. Ингуши. Популярный очерк.
19. კრუპნოვი ე.ი. 1971. – Крупнов. Е.И. Средневековая Ингушетия. Москва.

20. მალსაგოვი ბ.მ. 2014. – Мальсагов. Б. В. стране Башен и легенд. Ростов-на-Дону.
21. მეტრეველი მ. 1991.- მეფე თამარი, თბილისი.
22. პანტიუხოვი ი.ი. 1901- Пантюхов И.И.. Ингуши. Антропологический очерк. Тифлис.
23. რაკოვიჩი დ.ბ. 1911. – Раковичъ Д.В. Прошрое Владикавказа. Грозный. 1990.
24. სომხური გეოგრაფია 1877.- Патканов К. П. Армянская география VII века по Рх. Санктпетербург.
25. სკაჩკოვი ა. 1905. – Скачков А. О постройке башни в Донисаре. Газ. «Терские ведомости».Владикавказ. № 36,
26. სმიტი ე.დ. 2008 – ნაციონალური იდენტობა.თბილისი. First published in the UK by Penguin Books Ltd, 1991.
27. ფარეულიძე. რ.2011.- ჩეჩნური ენა. თბილისი.
28. ყაუხჩიშვილი. ს. 1955.- ქართლის ცხოვრება,თბილისი.
29. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. 1969.- ნაკვეთი I. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თობოშვილი, მ. ცინცაძე. თბილისი.
30. ჩხარტიშვილი. მ. 2020. – ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევით-სათვის რელევანტური თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი. თბილისი.
31. ჯავახიშვილი, ივ. 1948. – ქართველი ერის ისტორია, წ. 2, თბილისი.
32. ჯანაშვილი, მ. 1895. – საქართველოს ისტორია. თბილისი.
33. Очерки этнографий чеченцев и ингушей. 1990. Грозный.
34. Сборник документов и материалов. 2014.- Ингушетия в политике Российской Империи на Кавказе XIX Век.
35. Сборник сведений о Кавказских горцах. 1870. том III.

თავი IV.
დადესტნის ცალკეული ხალხების
ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია

შესავალი

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა შორის დღემდე გრძელდება კამათი რას უნდა მოიცავდეს საკუთრივ ეთნიკური ისტორია, როგორია მისი საგნობრივი სფერო. ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში ნ. გ. ვოლკოვა წერდა იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი ძირითადი სადისკუსიო საკითხი, რომელიც ეთნიკური ისტორიის მკვლევრებმა უნდა გადაწყვიტონ, – ეს არის ამ უკანასკნელის მიმართება ეთნოგენეზთან. თავად ის მხარს უჭერდა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის გამიჯვნას, მიუთითებდა რა, რომ მისი პოზიცია შეესაბამებოდა ზოგიერთი ცნობილი მეცნიერების თვალსაზრისს. ამასთან ერთად, ნ. ვოლკოვა აღიარებდა, რომ რიგი ავტორები „ეთნიკური ისტორიის“ ცნებას განიხილავდნენ ძალზე ფართოდ, რთავდნენ რა მასში ეთნიკური ერთობების ფორმირების პროცესს, ანუ ეთნოგენეზს. ეთნიკური ისტორიის ფართო გაგებას გვთავაზობდნენ პ. ნ. ტრეტიაკოვი, ვ. ვ. პიმენოვი, ნ. ა. კრასნოვსკაია, ბ. ო. დოლგიხი, ვ. პ. ალექსევი, ზ. ვ. ანჩაბაძე, ი. ა. ფედოროვი, ნ. ა. ტომილოვი და ბევრი სხვა¹.

ნ. გ. ვოლკოვა იზიარებს ნ. ა. ტომილოვის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ეთნიკური ისტორიის საგნობრივ სფეროში შედის „ისტორიულ-კულტურული ერთობების ჩამოყალიბების (ფორმირების), განვითარებისა და დაცემის ან ტრანსფორმაციის პროცესები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა სახეობებისა და ჯგუფების ეთნიკური და ეთნოსოციალური პროცესები. ეთნიკური ისტორია სწავლობს ისტორიულ-კულტურული ერთობების სისტემების დინამიკას, ანუ ამ სისტემების კომპონენტების ფორმირებასა

¹ См.: Волкова Н. Г. Этническая история: содержание понятий // Советская этнография. -1985. № 5. С. 21.

და მათ ეთნიკურ თვისებებს, კომპონენტებში ცვლილებებს, პირველ რიგში ამ კომპონენტების ეთნიკურ თვისებებს, მათ ფუნქციონირებას. ისტორიულ-კულტურული ერთობების სისტემების ეს დინამიკა შეისწავლება ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიასთან ურთიერთკავშირში, ამასთან, მნიშვნელოვანია ისტორიულ-კულტურული ერთობების არაოდენ ჩამოყალიბების და განვითარების, არამედ მათი ტრანსფორმაციის მიზეზების, კანონზომიერების კვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასპექტს, ჩემი აზრით, დიდ ყურადღებას უთმობენ ისტორიკოსები, ნაკლებს კი – ეთნოგრაფები, ხოლო არცთუ იშვიათად ეს უკანასკნელნი საერთოდ იგნორირებულნი არიან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ისტორია რეალურად წარმოადგენს ცოდნის დარგს, რომელიც ისტორიასა და ეთნოგრაფიას შორის მომიჯნავეა”¹.

კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები მუდამ იყო კავკასიოლოგების დიდი ყურადღებისა და შესწავლის საგანი, თუმცა ეთნოისტორიული კვლევის ხარისხი, მათი უზრუნველყოფა აუცილებელი წყაროებით სპეციალისტებისთვის ყოველთვის როდი იყო დამაკმაყოფილებელი, კერძოდ, არათანაბარი იყო აღნიშნული პრობლემის ორი შემადგენლის – ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის – თემატიკისადმი მიდგომა: განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და დღესაც ეთმობა ეთნოგენეზის საკითხებს².

ამასთან ერთად, აშკარაა, რომ ეთნოგენეტიკური კვლევა არ შეიძლება აიგოს რომელიმე ერთი მეცნიერების მონაცემებზე. ეთნიკური ისტორიის თანამედროვე კვლევებში, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იყოს განსხვავებული ხასიათის წყაროები: წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ანთროპოლოგიური და სხვ., თუმცა სარწმუნო დასკვნებისთვის, ლ. ი. ლავროვის თანახმად, კომპლექსური მიდგომაც კი შეუძლებელია საკმარისი იყოს – „აუცილებელია, რომ დასკვნები გამომდინა-

¹ Томилов Н. А. Этническая история как направление в отечественной науке 1970-1990-х годов // Вестник Омского университета. Серия «Исторические науки». 2016. № 3 (11). С. 43-58.

² Страницы отечественного кавказоведения / под ред. Н.Г. Волковой. М.: Наука, 1982. С. 72.

რეობდეს ისეთი ფაქტებიდან, რომლებიც დათარიღებასა და ეთნიკურ ლოკალიზაციას ექვემდებარება“¹.

ეთნიკური ისტორიის კვლევებში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ხაზი²: პირველი (წარმოდგენილია ძალზე მცირე ნაშრომებში) – ეს არის გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული საერთო რეგიონული ხასიათის კვლევები, რომლებშიც ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნის, სამხრეთ კავკასიისა და მთელი კავკასიის ხალხების შესაბამის მასალებზე დაყრდნობით უნდა განიხილებოდეს ეთნიკური ისტორიის ცალკეული საკითხები. კვლევების სხვა მიმართულება წარმოდგენილია შედარებით მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ეს არის ცალკეული ეთნოსების ეთნიკური ისტორიის შესწავლა. დღეისათვის არსებობს სპეციალური კვლევები დაღესტნის ზოგიერთი ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესახებ. კონკრეტული ეთნოსების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის გეგმაზომიერი კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შეიქმნას მთელი დაღესტნის ეთნიკური ისტორიის შემაჯამებელი ნაშრომი.

ზემოაღნიშნულ პრობლემას აქვს ერთი არცთუ უმნიშვნელო ასპექტი. საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოლიტიკური არასტაბილური სიტუაციის პერიოდში დაღესტნის ეთნიკური ისტორიის შესწავლამ პოლიტიკურად ანგაჟირებული მკვლევარებისა და საზოგადო მოღვაწეების მხრიდან სერიოზული ზეწოლა განიცადა და მეცნიერება პოლიტიკური კონიუნქტურის სამსახურში ჩააყენა. ეს პროცესები შედარებით მკვეთრად გამოვლინდა დაღესტნის ხასიათის რეგიონში³. ეს მაგალითი პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებისა და მისი გავლენისა დაღესტნის ეთნიკური ისტორიაზე ერთადერთი არ ყოფილა – მსგავსი ვითარება სხვაგანაც შეიქმნა. ამითაა განპირობებული განსაკუთრებული ყურადღება არაოღენ საკუთრივ დაღესტნის ეთნიკურ ისტორიაზე, არამედ მოცე-

¹ Лавров Л.И. Карачай и Балкария до 30-х годов XIX в. // КЭС. 1969. Вып. 4. С. 55-119.

² Страницы отечественного кавказоведения... С. 72.

³ См.: Хапизов Ш. М. К изучению этнокультурной ситуации в среднем течении междуречья Аксая и Акташа (северный Дагестан) в I-II тыс. н.э. // История, археология и этнография Кавказа. Т. 15. № 3. 2019. С. 390-411.

მული საკითხის ისტორიოგრაფიაზეც, რასაც მოცემული კვლევა ეძღვნება.

4.1 კავკასიის „ჰუნები“

II საუკუნის მეორე ნახევარში, ეთნონიმი „ჰუნები“ („უნები“) პირველად მოიხსენიება გვიანანტიკურ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში. ეს ეთნონიმი იმ დროის ორ წყაროში გვხვდება: დიონისე პერიეგეტეს ოიკუმენეს (დასახლებული დედამიწის) პოეტურ აღწერაში და კლავდიუს პტოლემეოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“. ეთნონიმი „ჰონკის“ ფორმით სომხურ წერილობით წყაროებშიც გვხვდება, კერძოდ, აგათანგელოსის, ფავსტოს ბუზანდის, ელისეს, მოვსეს ხორენაცის, ლაზარ პარპეცის და შემდგომი ავტორების შრომებში.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნეში ჰუნების გარკვეული ჯგუფის კავკასიაში¹ მიგრაციის შესახებ თვალსაზრისი ეფუძნება დიონისე პერიეგეტის (დაახლ. ახ. წ. 160) მიერ „უნების“ ჩრდილო-დასავლეთ კასპიის რეგიონში ლოკალიზაციას, თუმცა, ამჟამად მტკიცედ არის დადგენილი, რომ დიონისეს „დედამიწის აღწერილობის“ ადრეულ სიებში ამ რეგიონის მცხოვრებლები ფინელები ანუ თინები (Θύναι)² არიან. მ. ს. გაჩიევი ამაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს, „რადგან დასავლეთ კასპიის რეგიონში ჰუნების ყოფნის შესახებ მცდარ მოსაზრებას, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნის შუა პერიოდიდან, სხვა არასწორი მოსაზრებებიც მოჰყვა, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, დასკვნა ამ ზონის ყოფილი კავკასიური და ირანულენოვ-

¹ См.: Бернштам А.Н. Очерк истории гуннов. Л., 1951. С. 135; Фёдоров Я.А., Фёдоров Г.С. Ранние тюрки на Северном Кавказе. М., 1978. С. 28, 47–48; Джафаров Ю.Р. Гунны и Азербайджан. Баку, 1985. С. 12–13; Гмыря Л.Б. Прикаспийский Дагестан в эпоху Великого переселения народов: Могильники. Махачкала, 1993. С. 278, 282; Гмыря Л.Б. Страна гуннов у Каспийских ворот. Махачкала, 1995. С. 9, 46.

² Дионисий Александрийский (Периегет). Описание ойкумены. Ст. 730 / Вступ. ст., пер. с др.-греч. и коммент. Е.В. Илюшечкиной // Вестник древней истории. 2006. № 2. С. 240.

ანი (სარმატული) მოსახლეობის გამოდევნის ან ასიმილაციის, მასკუტების სამეფოში ჰუნურ-თურქული დომინირების აღიარების, თურქების ამიერკავკასიაში (აზერბაიჯანში) ადრეული შეღწევის და ა.შ.¹.

ამ მხრივ, ი.გ. სემენოვი ამტკიცებს, რომ სომხური წყაროების ჰონებმა დაღესტნის მთისწინეთში შეღწევა დაიწყო არაუგვიანეს IV საუკუნის პირველი ნახევრისა და „პოლიტიკურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ბალამბერის ჰუნებთან, რომლებმაც ვოლგა მხოლოდ 370 წელს გადალახეს და თავდასხმები დაიწყეს ჯერ ალანებზე, შემდეგ კი გოთებზე“². ამ შემთხვევაში, ი.გ. სემენოვის თანახმად, აუცილებელი ხდება განვასხვაოთ ჰუნები, რომლებიც მე-4 საუკუნის 70-იან წლებში ვოლგისპირეთიდან ცენტრალური ევროპისკენ გაემართნენ, მათგან, ვინც დაღესტანში იმავე საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ გამოჩნდნენ, და საიმისოდ, რომ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთში არ აგვერიოს, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა უკანასკნელთათვის დაღესტნელი ჰუნები გვეწოდებინა (ლ.ბ. გმჟრია მათ კასპიის ჰუნებს უწოდებს).³). შეიძლება ითქვას, რომ სომხური წყაროების ეთნონიმი „ჰონკ“ კონკრეტულად დაღესტნელ ჰუნებს ეხება და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იყო ის დაკავშირებული პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რომელთა შემადგენლობაში დაღესტნელი ჰუნებიც⁴ შედიოდნენ.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კ. ვ. ტრევერი მიიჩნევდა, რომ ჰონები დაღესტნური ტომი იყვნენ და არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე მცხოვრებ ჰუნებთან⁵. თუ ჩვენ მივმართავთ ქართულ წყაროებს შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ XII საუკუნეში მათ დაღესტნურენოვანი ხალხების ისტორიული ტერიტორიის საზღვრები შემდეგნაირად გამოკვეთეს: „და მისცა ლეკანს ქვეყანა დარუბანდის ზღვიდან

¹ Гаджиев М.С. Этническая карта Северного Кавказа в период поздней античности // Вестник ДНЦ. 2019. № 72. С. 24-25.

² Семенов И.Г. Восточнокавказские этнонимы в раннесредневековых армянских источниках // Восток (Oriens). 2012. № 5. С. 34.

³ Гмыря Л.Б. Страна гуннов у Каспийских ворот. Махачкала, 1995. С. 23, 24.

⁴ Семенов И.Г. Восточнокавказские этнонимы в раннесредневековых армянских источниках // Восток (Oriens). 2012. № 5. С. 34-35.

⁵ Тревер К.В. Очерки по истории и культуре Кавказской Албании (IV в. до н.э. – VII в. н.э.). М.–Л., 1959. С. 192-193.

ვიდრე კომეკის მდინარემდე, ჩრდილოეთით ხაზარეთის დიდ მდინარემდე. და მისცა კავკასს ქვეყანა ლომეკის¹ მდინარიდან ვიდრე კავკასიის დასასრულამდე დასავლეთით”². სწორედ ამ საზღვრებში ჩამოყალიბდა VI საუკუნეში „ჰუნების სამეფო“, რომლის საფუძველსაც ადგილობრივი მოსახლეობა ქმნიდა³. კითხვის ამგვარ ფორმულირებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ქართული შუა საუკუნეების წყაროების თანახმად, დაღესტნურენოვანი ტომების („ლეკების“) ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც „ხუნძების“ სახელით არიან ცნობილნი, კასპიის დაბლობის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ზოგიერთი მომთაბარე ხალხის ზეწოლის გამო მთიანი დაღესტნის რეგიონებში გადასახლდნენ⁴.

ქართულ წყაროებში საუბარია ნომადური ტომების გაძლიერებაზე, რომლებიც წყაროში „ხაზარების“ სახელით მოიხსენიებიან. მათ დაიპყრეს მთელი ჩრდილოეთ კავკასია. ამასთან კავშირში აღინიშნება, რომ მისცა თავის მამის ძმისწულს ხაზართა მეფემ ლეკანის ნაწილი, აღმოსავლეთით დარუბანდის ზღვიდან ლომეკის მდინარემდე. და მისცა რანისა და მოვაკანის ტყვეები და დამკვიდრდა ის იქ, ქვეყანაში, რომელიც ლეკანის ნაწილი იყო. ხოლო ხოზონიხი, რომელიც უწარჩინებულესი იყო ლეკანის შთამომავალთა შორის, მივიდა და დაჯდა მთის ნაპრალში, ააშენა ქალაქი და უწოდა თვისი სახელი ხოზანახეთი”⁵. ცნობილი დაღესტნელი ისტორიკოსების, მ. გ. გაჩიევის, ო. მ. დავუდოვის და ა. რ. შიხსა-

¹ В примечаниях к последнему изданию труда Леонти Мровели, пишется, что под названием Ломеки следует понимать реку Арагви [Картлис Цховреба (История Грузии) / под ред. Р. Метревели. Тбилиси, 2008. С. 437]. Однако это предположение противоречит всем остальным локализациям, мнению прочих источников, которые начиная с XIX в. отождествляли Ломеки с рекой Терек. К примеру Давид Багратиони, автор исторического сочинения XIX в. «История Грузии», владения Лекоса ограничивает Каспийским морем и рекой Терек [Давид Багратиони. История Грузии / изд. А.А. Рогава. Тбилиси, 1971. С. 31].

² Картлис Цховреба (История Грузии) / под ред. Р. Метревели. Тбилиси, 2008. С. 14. Ломеки якобы р. Арагви. См. С. 437.

³ История Дагестана. М., 1967. С. 127.

⁴ Гаджиев М.Г., Давудов О.М., Шихсаидов А.Р. История Дагестана с древнейших времен до конца XV в. Махачкала, 1996. С. 125.

⁵ Картлис Цховреба (История Грузии) / под ред. Р. Метревели. Тбилиси, 2008. С. 18.

იდოვის კოლექტიური ნაშრომის მიხედვით, ლეონტი მროველი, VII-VIII საუკუნეების მიჯნის მოვლენების აღწერისას, წერს დაღესტნელების (ლეკების) წინაპრების მიერ მათი პირვანდელი ეთნიკური ტერიტორიის („ლეკანის მემკვიდრეობა“) დაკარგვის შესახებ კასპიისპირეთის დაბლობზე კასპიის ზღვიდან დასავლეთით თერგის მდინარემდე (თანამედროვე ოსეთის ტერიტორიაზე) და მთებში მათი შემდგომი მიგრაციის შესახებ¹.

ჰონების კასპიისპირეთის დაბლობიდან ცენტრალურ ავარეთში მიგრაციის თემის მხარდაჭერისა და განვითარებისას, ა. კ. ალიკბეროვი მნიშვნელოვან შეცდომას უშვებს, როდესაც უგულებელყოფს ქართულ წყაროებში ამ ტომის კავკასიურენოვნების მკაფიო მითითებას. სიმპტომურია, რომ ა. კ. ალიკბეროვმა ქართული წყაროებიდან ცნობილი ავარების ლეგენდარული წინაპარი „ხუზუნისი“ რომელიც იმავე წყაროებში „ლეკანის შთამომავალი“, ანუ ძირძველი დაღესტნურენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელია, „ვიდაც ჰუნად“² მიიჩნია და თურქულენოვან ადამიანად გარდაქმნა.

მისი აზრით, „ჰუნო-სავირის მასივი, რომელიც კლანებისა და ტომების მხრივ მრავალფეროვანია, ნაწილობრივ არაკანის უღელტეხილზე გადის ხუნზახისკენ, რომელიც მათი ზამთრის რეზიდენცია და სარირის დედაქალაქი ხდება“³. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნა არსებობს, რომ აღარაფერი ვთქვათ მთებში წასული ჰონების არასწორ ეთნიკურ იდენტიფიკაციაზე. არ არსებობს არანაირი მითითება იმისა, რომ ჰონები არაკანის უღელტეხილით გაემგზავრნენ და ხუნზახი, თავისი ცივი კლიმატით, ვერ იქნებოდა ხონების ზამთრის რეზიდენცია. უფრო სავარაუდოა, რომ საუბარია იქ მათ ზაფხულში ყოფნაზე და არა ზამთარში. სხვა საკითხია ის, რომ შემდგომი ანალოგია ჰონების ცენტრალურ ავარეთში მიგრაციასა და ალანების მთებში უკან დახევას შორის, რაც მართებულად არის გადმოცემული⁴.

¹ Гаджиев М.Г., Давудов О.М., Шихсаидов А.Р. Указ. раб. С. 241.

² Аликберов А.К. Ранние хазары (до 652/653 г.), тюрки и Хазарский каганат // Хазары: миф и история. М., Иерусалим, 2010. С. 45.

³ Аликберов А.К. Ранние хазары...С. 45.

⁴ Там же.

ა.კ. ალიკბეროვი ჩრდილოეთ კავკასიაში „ჰუნების ქვეყნის“ სპარსულ სახელწოდებას „ხუნზანად“ ადადგენს¹, თუმცა, ამავე დროულად, მისი მცდელობა, ჰუნზანი დააკავშიროს გეოგრაფიულ სახელებთან – ჯიდანთან, ხაიზანთან/ხაიდანთან, აშკარად ხელოვნური ჩანს. დაღესტნის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ „ყველა ეს ვარიანტი (ხაიზანი, ხამზინი, ხაიზაჯი, ჯიდანი, კაიტაკი, ხაიდა) შეიძლება ჩაითვალოს ხაიდაკ სახელწოდების არაზუსტ ფორმებად, რომლებიც სრულიად მისაღებია არაბული დამწერლობის თავისებურებების გათვალისწინებით“². თავისი სტრუქტურით, ხუნზანი მსგავსია სახელწოდება ლაკზანისა, რომელიც გამოიყენებოდა დაღესტნის ტერიტორიის კახეთისა და შირვანის მომიჯნავე ნაწილის აღსანიშნავად, ანუ ორივე შემთხვევაში, სახელწოდების ფესვი გამოირჩევა – ლაკზ და ხუნზ (ავარიული ენიდან თარგმნილი – „ხუნზახელები“), რომელსაც ემატება სუფიქსი „-ან“.

საინტერესოა ა.კ. ალიკბეროვის მიერ მოყვანილი შემდეგი ანალოგია. კალანკატუაცის „ალუანკის ისტორიაში“ ჰუნების პრინცი ალპ ილიტვერი ხაზარ ხაკანის ვასალად არის მოხსენიებული, რომელიც „ჩრდილოეთის მეფე“ იყო. ალ-მასუდის თქმით კი, „ალ-ბაბის ხალხი დიდ ზიანს განიცდის ჰუნზანის სამეფოსგან, რომლის ხალხიც ხაზარეთის მეფეების მიწების შემადგენლობაში შედიან“³.

სომხურ (ფაჰლავურ) სახელწოდებას „ამხარ ჰონ-ქ“ — „ჰონების ქვეყანა“ — ასევე აშკარა ანალოგიები აქვს ჰუნზანთან. ის ჯერ კიდევ V საუკუნეში მოიხსენიეს ეგიშემ, ხორენაცმა და კალანკატუაციმ. ა.კ. ალიკბეროვის თანახმად, სახელები ჰუნზანი და ამხარ ჰონქ შეესაბამება ქართულ წყაროებში მოხსენიებულ „ხუნზებს“⁴. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს ეთნონიმი („ხუნდი“) დღემდე გამოიყენება ქართულ ენაში ავარების აღსანიშნავად. ასევე, XIX საუკუნის დასაწყისის წყაროების თანახმად, ადიღურ ენაში („ჩერქეზები“) არსებობდა „ლეზგების“ (ამ შემთხვევაში, რო-

¹ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 151-155.

² Гаджиев М.Г., Давудов О.М., Шихсаидов А.Р. История Дагестана с древнейших времен до конца XV в. Махачкала, 1996. С. 242.

³ Аликберов А.К. Ранние хазары... С. 57.

⁴ Аликберов А.К. Там же. С. 48.

გორც ჩანს, ავარების) აღნიშვნა „ხანიაშად ან ხანოაჩედ“¹. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იანოვსკიმ აღნიშნა, რომ „ქართველები ავარებს ხუნზანს (ჰუნების სამეფოს) უწოდებენ... ავარეთში მთავარ სოფელს ხუნზახი ჰქვია“. მან ასევე დააზუსტა, რომ „ავარები ლეკების ტომს მიეკუთვნებიან; მათ ოუარს ან ოარს უწოდებენ“².

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ არაბული წყაროების თანახმად, „ხუნზანის სამეფოს“ დაბლობი მოგვიანებით ხაზარეთის ნაწილი გახდა. ა.კ. ალიკბეროვი აღნიშნავს, რომ ალ-მასუდი სამანდარს ჰუნზანის დაბლობის დედაქალაქს უწოდებს, რომელიც ხაზარეთის შემადგენლობაში შედის³.

ა.კ. ალიკბეროვი, სარირის (ალ-მასუდი) დედაქალაქისა და „ჰუნების ქვეყნის“ (მოვსეს კალანკატუაცი) მაცხოვრებლების დამკრძალავი რიტუალების (გვამების გარშემო სამხედრო შეჯიბრებები, ცხენების რბოლა და ა.შ.) მსგავსების შესახებ ინფორმაციის მოყვანით, ლოგიკურ დასკვნამდე მიდის, რომ ეს მსგავსება ჰუნების ხუნზახის პლატოზე მიგრაციის შედეგია⁴. თუმცა, ამავდროულად, ა.კ. ალიკბეროვი აშკარად წარუმატებლად „ამყარებს“ აზრს, ტოპონიმიკური მონაცემებით, თურქულენოვანი ტომების არსებობის ხანგრძლივ ისტორიაზე მთიან ავარეთში⁵. დასტურად, მას შემდეგი სახელწოდებები მოჰყავს: სამი მდინარე – ანდიის ყოისუ, ავარეთის ყოისუ და ყარაყოისუ (ავარები მათ შესაბამისად ანდი-ორს, ავარს-ორს და ჩიერ-ორს⁶ უწოდებენ), ტერმინი „ყოისუ“ დაღესტნის რუკაზე დაამატეს თურქულენოვანმა მწიგნობრებმა, რომლებიც რუსეთის ადმინისტრაციასა და ჯარებში მსახურობდნენ, ასევე ერთი სოფელი, დაგბაშმა (მისი ნამდვილი სახელია რატლუ-ახვახი და 1930-იან წლებში დაგბაში ეწოდა დაღეს-

¹ Юлиус Клапрот. Описание поездок по Кавказу и Грузии в 1807 и 1808 годах / пер. с англ. К.А. Мальбахов. Нальчик, 2008. С. 208.

² Яновский А. О древней Кавказской Албании // Журнал Министерства народного просвещения. СПб.: Типография Императорской академии наук, 1846. Ч. LII. Отд. II. Сентябрь. С. 197.

³ Аликберов А.К. Ранние хазары... С. 57.

⁴ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 172.

⁵ Там же. С. 172-173.

⁶ Саидов М.С. Аварско-русский словарь. М., 1967. С. 620, 623.

ტნის ერთ-ერთი თურქულენოვანი ლიდერის ახირებით). ცოტა ქვემოთ მას მოჰყავს ავარული სოფლების სია, რომელთა სახელწოდებებს ა.კ. ალიკბეროვი ეთნონიმ „ჰუნებთან“ აკავშირებს, თუმცა სინამდვილეში მათ ამასთან არანაირი კავშირი არა აქვთ, რადგან ისინი ტოპონიმებია, რომლებსაც აქვთ მკაფიო ავარული სემანტიკა: ღუნები (ავარულიდან гъуни - „გროვა, თივის ზვინი“), გიონოდა (ავარულიდან гъин - „ციხე“, გიონოდა – „ციხეში“), ხიინდახი (ავარულიდან. – „თბილ ხეობაში“) და ა.შ. ამ სერიაში ა.კ. ალიკბეროვს ასევე სურს ლაკური სახელწოდების, ყაზიყუმუხის ყოისუს – ხუნის¹ ჩართვა. (ლაკ. Хъун нех – „დიდი მდინარე“), თუმცა სინამდვილეში, არც ხსენებულ ავარულ სოფლებს და არც ლაკურ ჰიდრონიმს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, არანაირი კავშირი არ აქვთ ეთნონიმ „ჰუნებთან“. ამ შემთხვევაში, მკვლევარი შეცდომაში შეჰყავს დაღესტნის გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ცუდ ცოდნას და დაღესტნური ენების თითქმის სრულ იგნორირებას მის ეტიმოლოგიურ კვლევაში.

ეთნიკური ისტორიის საკითხთან დაკავშირებით, ასევე ღირს შუა საუკუნეების ვარაჩანის დასახლების არქეოლოგიური კულტურის ეთნოკულტურული კუთვნილების განხილვა, რომელიც დაღესტნელი ჰონების/ჰუნების დედაქალაქთან იდენტიფიცირდება. ვარაჩანი რამდენიმე ადგილას მდებარეობდა – ურცეკის ადგილას, იზბერბამთან ახლოს, ბუინაკსკის მახლობლად, შახ-სენგერის დასახლებასთან და ა.შ.² მ. ს. გაჯიევი აჩვენებს, რომ ურცეკი, არქიტექტურის, მატერიალური და სულიერი კულტურის თვალსაზრისით, წმინდა დაღესტნური ქალაქია და აქ ჰუნური კულტურის თვალსაჩინო ნიშნები არ იკვეთება³.

ამ კონტექსტში, ღირს კავკასიელი „ჰუნების“ საკითხის განხილვა, რომელსაც ო. ა. მუდრაკიც შეეხო. იგი ეთანხმება ნ. გ. ვოლკოვას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ მოვსეს ხორენაცის და მე-5 საუკუნეში ელისესა და ფავსტოს ბუზანდის სომხურ ქრონიკებში მოხსენიებულ ეთნონიმს, როგორც ჰონ-კს, არანაირი

¹ Аликберов А.К. Эпоха классического ислама... С. 176.

² Гаджиев М.Г., Давудов О.М., Шихсаидов А.Р. История Дагестана с древнейших времен до конца XV в. Махачкала, 1996. С. 184.

³ Гаджиев М.С. О местоположении Варачана // РА. 1995. №2. С. 29-35.

კავშირი არ აქვს ჰუნებთან, არამედ „ახასიათებს კავკასიურ ეთნოსს“. ელისე, აღწერს რა „ჰონების კარიბჭეს“, ანუ ამიერკავკასიაში მთის უღელტეხილს ან გასასვლელს, მას ათავსებს „ალანების კარიბჭესა“ (დარიალის ხეობა) და „ჩორის“ (დერბენტი) ჩრდილოეთით. ო. ა. მუდრაკი მას ასევე ათავსებს ავარიისა და ანდიკოისუს მდინარეების ზემო წელის რეგიონში (ავარ-ორი და ანდი-ორი)¹. ჰონები, ო. ა. მურდაკის თანახმად, სომხურ წყაროებში კავკასიელ ტომებს შორის მოიხსენიებიან და კავკასიელ ხალხებში ამ ეთნონიმის გავრცელების ანალიზისას იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „როგორც საკუთარი სახელი, ეს ეთნონიმი ტიპურია ცეზებისა და ავარებისთვის“². კერძოდ, ო. ა. მუდრაკის მიხედვით, ეს ხუნზახელებს, ხინდალალეებს, ღუნზიბალელებს და ჰინუხელებს ეხება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავარების ისტორიული ცენტრის სახელს. ხუნზახი სამნაწილიანი სახელია: „ხუნ-“ ტოპონიმის ფუძეა, „-ზ-“ მრავლობითი რიცხვის ნიშანია (ავარულში „ხუნზ“ მთლიანად ხუნზახის ხალხს აღნიშნავს), ხოლო ლოკატივის სუფიქსი „-ხ“, რომელიც ავარულში რადაცასთან „ახლოს“ ან „მახლობლად“ მდებარეობას აღნიშნავს. ამრიგად, ავარულში ოიკონიმი „ხუნზახი“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ხუნებთან ახლოს“.

შეჯამებისთვის, აღვნიშნავთ, რომ განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით, ყველაზე გამართლებულ თვალსაზრისი-ად მიგვაჩნია ცნობილი კავკასიოლოგი მეცნიერების – კ. ვ. ტრევერის, დ. ლ. მუსხელიშვილის, ნ. გ. ვოლკოვას, ა. ა. აკოფიანის და ო. ა. მუდრაკის თვალსაზრისი, რომლებიც კავკასიურ (სომხურ და ქართულ) და უძველეს წყაროებში მოხსენიებულ „ჰონებს“ ადგილობრივი, კავკასიური წარმოშობის ხალხად მიიჩნევენ³. ცნობილი კავკასიოლოგი მეცნიერი და ისტორიკოსი კამილა ტრევერი

¹ Мудрак О.А. Ранние хазары... С. 386.

² Там же. С. 387.

³ Тревер К. В. Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М.-Л., 1959. С. 191-193; Волкова Н.Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973. С. 128; Мухелишвили Д.Л. Из исторической географии Восточной Грузии (Шаки и Гогарена). Тбилиси, 1982. С. 11; Акопян А.А. Албания-Алуанк в греко-латинских и древнеармянских источниках. Ереван, 1987. С. 92-93; Мудрак О.А. Ранние хазары... С. 386.

აღნიშნავს: „სომეხი ისტორიკოსები, ფავსტოს ბუზანდიდან დაწყებული, ჰონებზე საუბრისას არანაირად არ გამოყოფენ მათ, არამედ ასახელებენ მათ იმავე კავშირში და თანაბარ პირობებში, უდავოდ კავკასიური წარმოშობის ტომებთან“¹. კავკასიაში ეთნიკური პროცესების ავტორიტეტული მკვლევარი, ნ. გ. ვოლკოვა, აჯამებს: „ის ფაქტი, რომ ადრეული შუა საუკუნეების სომხური წყაროების ჰონები არ არიან ჰუნები, არამედ კავკასიური წარმოშობის ხალხი ან ხალხებია, დასტურდება ჰონების მდებარეობით და ამ უკანასკნელთა კავკასიელი ხალხების წრეში შეყვანით“².

4.2. ეთნონიმი ავარ-ი და ავარების ეთნიკური ისტორია

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, აღმოსავლეთ კავკასიაში ავარების არსებობის შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშჩევი დალესტნის ავარებზე წერდა, როგორც ევროპაში ცნობილი ავარების ხალხის ნაწილზე³. ამავე თემას შეეხო მ. ვ. ლომონოსოვიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ „დალესტანში, დერბენტის მახლობლად, „როგორც ამბობენ, დღემდე ცხოვრობს ჩუდური წარმომავლობის ხალხი, რომლებიც ავარებად იწოდებიან“⁴. XIX-XX საუკუნეებში რუსულ სამეცნიერო საზოგადოებაში გრძელდებოდა დისკუსიები კავკასიაში ეთნონიმ ავარ-ის წარმოშობის თაობაზე. მაგალითად, პ. ზუბოვი 1835 წელს წერს, რომ ღუნაის იმ ავართა ნაწილია, რომელიც ევროპაში გადასახლდა⁵.

ზოგიერთი უნგრელი (ი. ერდელი, კ. ცეგლელი) და ევროპელი (ჯ. მარკვარტი, ვ. ფ. მინორსკი) მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ავ-

¹ Тревер К.В. Указ. раб. С. 192.

² Волкова Н.Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973. С. 128.

³ Татищев В.Н. История Российская. М.-Л., 1962. Т. 1. С. 253.

⁴ Ломоносов М.В. Древняя Российская история. СПб., 1766. С. 39-40.

⁵ Зубов П. Картина Кавказского края, принадлежащего России, и сопредельных оному земель; В историческом, статистическом, этнографическом, финансовом и торговом отношениях. СПб., 1835. С. 190.

არების ნაწილმა, დაახლოებით 600 წელს, აზიიდან ევროპაში სავარაუდო მოძრაობის დროს, ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების გავლით მთიან დაღესტანში შეადგნა, ადგილობრივ გარემოს შეერწყა და საკუთარი სახელწოდება მკვიდრ მოსახლეობას მისცა¹. ამჟამად ყველაზე პოპულარული ვერსიის თანახმად, რიგი ავტორები სავსებით დასაშვებად მიიჩნევენ თანამედროვე ეთნონიმ ავარების დაკავშირებას მომთაბარე ავარი ხალხის სახელწოდებასთან, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში VI საუკუნეში გამოჩნდნენ. ნ. გ. ვოლკოვას მოსაზრებით, არ არის გამორიცხული ავარების მცირე ჯგუფების წინ წაწევა მთიან რაიონებში, სადაც ისინი დროთა განმავლობაში ასიმილირდნენ ადგილობრივ კავკასიურ ენოვან მოსახლეობაში. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვია, ამ ხალხის კვალი სახელწოდებაში „ავარი“ შენარჩუნდა².

ეს ვერსია სულაც არ არის ახალი, რადგან დაფიქსირებულია შუასაუკუნეების ქართული ისტორიული წყაროს „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ (XVIII ს.-ის დასასრული) რედაქციაში. მასში მოცემულია ვერსია იმის შესახებ, რომ VI საუკუნის ბოლოს, ქართლში გვარამ-კურაპალატის მმართველობის დროს, ავარები გადასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაიმორჩილეს მთიანი დაღესტნის მოსახლეობა. ამ ავარებს ომი ჰქონდათ გვარამ-კურაპალატთან, რომლის დროსაც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის შუამავლად ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე (527–565 წწ.) გამოვიდა. ამის შემდეგ ისინი „შერიგდნენ“, ხოლო გვარამ-კურაპალატმა, თითქოს, „დაასახლა ისინი კავკასიის მთიან ხეობებსა და ხუნძახში, ისინი ღლესაც ავარებად იწოდებიან“³. აქ, სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ქართველი ისტორიკოსის გვიანდელ მცდელობასთან ქართველების მეზობლად ვინმე ავარების არსებობისა და VI საუკუნეში ამავე სახელწოდების ხალხსა და საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ არსებული ცნობე-

¹ См.: Агларов М.А. Этногенез в свете политантропологии и этнонимии в Дагестане: Politica-ethnica. Махачкала: Мавраевъ. 2013. С. 128-133.

² Волкова Н.Г. Из кавказской этнонимии // Материалы по этнографии Грузии. Вып. XXII. Хелеури (Сборник). Тбилиси, 1985. С. 109.

³ Картлис Цховреба. Пер. с древнегрузинского, предисловие и комментарии Г.В. Цулая. М., 1982. С. 21.

ბის გაანალიზებისა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული გადმოცემები გაცილებით გვიან ჩაიწერა და რთულია, ჩაითვალოს სანდო წყაროდ. მაგალითად, ს. ს. კაკაბაძის მიხედვით, გადმოცემა იმის შესახებ, რომ ქსნის ერისთავები „მოვიდნენ ავარებთან ერთად თურქესტანიდან ამ გვარამის ღროს“, 1799 წელს ჩაიწერა იოანე ბაგრატიონის მიერ¹. ამგვარად, საქმე გვაქვს მხოლოდ „წიგნურ ლეგენდასთან“.

ზემოაღნიშნული ქართული წყაროს ცნობების საფუძველზე, კავკასიოლოგი ტ. მ. აიტბეროვი მიიჩნევს, რომ VI საუკუნეში „იმპერიული ავარების“ ნაწილი ხუნძახის პლატოზე გადასახლდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეერია. შემდგომში ეს სახელწოდება ასევე ხდება სარირის ზოგიერთი მმართველის საკუთარი სახელიც. ამგვარად, იგი იზიარებს ვერსიას, რომ ავარები, მცირე რაოდენობით დამკვიდრდნენ რა თანამედროვე ავარიის ცენტრალურ მხარეში, ჩამოაყალიბეს მისი მმართველი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა თავად რაოდენობრივად ჭარბ ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ².

ილენტურია ა. ა. მამედოვას მოსაზრებაც – ერთ-ერთი თანამედროვე აზერბაიჯანელი ავტორისა, რომლის მიხედვითაც: „ავარების (ნამდვილი და ფსევდოავარების) ისტორიის ასეთი გააზრება გვაძლევს შესაძლებლობას გამოვთქვათ ვარაუდი იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ეწოდა ავარები ხალხს, რომლის წინაპრებადაც ჩვენ ლპინებსა და სილვებს მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ავარები დიდხანს არ დარჩენილან ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში, მათ გარკვეული გავლენა მოახდინეს ადგილობრივ ტომებზე. შესაძლებელია, რომ ევროპაში გადასახლების ღროს მათი ნაწილი დარჩა და შეერია ადგილობრივ ჩრდილოკავკასიურ ტომებს (ისტორიაში მრავალი ასეთი ფაქტია) და სწორედ მათ დაუტოვეს თავისი სახელწოდება სილვებსა და ლპინებს“³.

¹ Памятник эриставов / пер., исслед. и прим. С.С. Какабадзе. Тбилиси, 1979. С. 42. Прим. 22.

² Айтберов Т.М. Древний Хунзах и хунзахцы. Махачкала, 1990. С. 25-30.

³ Мамедова А.А. Авары в Азии, на Кавказе и в Европе // VI-е Дзагуровские чтения «От античности к возрождению». Материалы международной научно-методической конференции. Махачкала, 2007. С. 69-71.

მაგრამ ამ თვალსაზრისმა სხვა მკვლევართა მხრიდან კრიტიკა გამოიწვია. მათ არგუმენტად წარმოადგინეს ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების წყაროების მონაცემები. აზერბაიჯანელი მკვლევრის გ. გეიბულაევის აზრით, „ეთნონიმი ლბინ, ლპინ, ალბათ, იმ ავარების ნაწილის სახელწოდება იყო, რომლებიც ალბანეთში ცხოვრობდნენ და ქრისტიანები იყვნენ¹. ავარების სხვა ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთით ცხოვრობდა, სილვებად იწოდებოდა. დღეს ლპინების შთამომავლები საკუთარ თავს „ავარებს“ უწოდებენ. თუმცა ეს მათი ნამდვილი თვითსახელწოდება არ არის. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კავკასიური ეთნონიმი ავარი მომდინარეობს თურქული ეთნონიმიდან ავარ, მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა. პირველად ეთნონიმი ავარი, უდიებთან მეზობლად (ამ შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთ ალბანეთში მცხოვრებ უდიებთან, რომლებიც ავარების მეზობლად ცხოვრობდნენ), მოხსენიებულია სტეფანე ბიზანტიელთან², ანუ იმ პერიოდში, როდესაც თურქი ავარები (უფრო სწორად აბარები) ვერ იქნებოდნენ ალბანეთში“³. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებაში მიღებულია სტეფანე ბიზანტიელის მიერ მოხსენიებული „ოვარენები“ (owarene) თანამედროვე ავარების წინაპრებად მიჩნევა⁴, ისევე როგორც ძველსომხურ წყაროებში მოხსენიებული ავარ-ჰაზუ⁵.

გ. ა. გეიბულაევამდე ამავე მოსაზრებას თავის სტატიაში ასახუთებდა ცნობილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე ვ. მ. ბეილი-სი. მისი აზრით, ავარების წინაპრები ცნობილნი იყვნენ სახელწოდებით ავგარ ან ავხარ (Awhar), რომელიც შემდგომ არაბულ წყაროებში გარდაიქმნა ცნობილ ფორმად Awar, მაშინ როდესაც შუა აზიის ავარების სახელწოდების არაბული გადმოცემა არის „ალ-

¹ Аварское население в южной Аварии и в Алазанской долине было известно у античных авторов под названием сильвов и лпинов [Подробнее см.: Хапизов Ш.М. Поселения Джарского общества (историко-географическое и этнографическое описание микрорегиона в Восточном Закавказье). Махачкала, 2011. С. 14-24].

² Латышев В.В. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. СПб., 1893. Т. I. Вып. I. С. 271.

³ Гейбуллаев Г.А. К этногенезу азербайджанцев. Баку, 1991. Т. I. С. 154.

⁴ Новосельцев А.П., Пашуто В.Т., Черепнин Л.В. Пути развития феодализма: (Закавказье, Средняя Азия, Русь, Прибалтика). М., 1972. С. 40.

⁵ Товма Артсруни. История дома Артсруни. Тифлис, 1917. С. 144.

აბარი“¹. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ რუსული ეთნონიმი „ობრები“, რომელშიც ასევე გვხვდება „ბ“, და არა „ვ“.

ვ. მ. ბეილისის აზრით, ეთნონიმი Awar პირველად არაბულ წყაროებში გვხვდება სარირის მმართველის ტიტულის სახით².

შუა საუკუნეების სპარსელი ისტორიკოსები იბნ-რუსტე (მეცნიერი-ენციკლოპედისტი X საუკუნის პირველი ნახევარი) და გარდიზი (XI ს.) ამ მმართველს მოიხსენიებენ როგორც **اوار** [awar] და **اواز** [awaz]³. დაღესტნელი მკვლევრები (მ. აგლაროვი, ო. დავუდოვი და სხვ.) მიიჩნევენ, რომ Awar იყო სარირის მეფის „დინასტიური სახელი“. მაგალითად, ო. მ. დავუდოვის მიხედვით, სარირის ხალხს ავარები მხოლოდ IX საუკუნის შემდეგ უწოდეს, როდესაც ეს სახელი თავად ხალხზე გადაიტანეს⁴.

თუმცა არაბი ისტორიკოსი აბულ-ჰასან ალ-ბალაზური (გარდ. 892 წ.) ამტკიცებს, რომ ტიტულები, რომლებიც სასანიანთა მაჰინშაჰმა ხოსრო I ანუშირვანმა (501–579) დაღესტნის მმართველებს უბოძა — „მთის ხაკანი (khaqan al-jabal), რაც ნიშნავს „ტახტის მფლობელს“, წარმოდგენილია ამგვარად: **وهرارانشاه** [v.h.raransah] (სახელწოდების ვარიანტები: **وهرارانشاه, وهرارانشاه** [v.h.rar ransah] и [v.h.r raur.n.sah])“⁵. ამ სახელწოდების შედარებისას X საუკუნის სომეხი ავტორის, თომა არწრუნის მიერ მოხსენიებულ ხალხს Aurhaz-k'-თან და ფორმასთან Auhar, რომელიც გამოყენებულია დაღესტნის ავარების სახელწოდებად 1424 წლის ნაშრომში „Zafer-name“, ვ. ფ. მინორსკიმ დაასკვნა ამ სახელწოდებების სიახლოვე ალ-ბალაზურის ტერმინთან⁵.

ვ. ფ. მინორსკი გვთავაზობს ალ-ბალაზურის მიერ გამოყენებული ტიტულის გაშიფვრის შემდეგ მოდელს. Aurhazk'-ში — ავარების X საუკუნის სომხურ სახელწოდებაში k' არის მრავლობითის

¹ Бейлис В.М. Из истории Дагестана VI-XI вв. (Сарир) // Исторические записки. Вып. 73. М., 1963. С. 256.

² იქვე. С. 255.

³ Hudud al-Alam. The Regions of the World (A Persian Geography 372 a.h. – 982 a.d.) / translated and explained by V. Minorsky. London, 1937. P. 447.

⁴ Давудов О.М. Материальная культура Дагестана албанского времени (III в. до н.э. – IV в. н.э.). Махачкала, 1996. С. 232.

⁵ Hudud al-Alam... P. 447-448

სუფიქსი, ხოლო rh-შეთანხმება, ჩვეულებრივი გადანაცვლებით,/მეტათეზისით უნდა შეესაბამებოდეს hr- -z-ს ამ სახელწოდებაში, ვ. ფ. მინორსკის მიერ განიხილება, როგორც ირანული წარმოშობის სუფიქსი, როგორც Gur-z, Lak-z, Lay-z. შესაბამისად, სომხური ფორმა *Auhra-z (< Auhar-z) იდენტურია უფრო გვიანდელ სპარსულ Auhar-სთან (> Avar)), და ამ ჭრილში შეგვიძლია ადვადგინოთ ალ-ბალაზურის ტიტული, რომელიც შედგება სახელისაგან + სუფიქსი z + სუფიქსი an, რაც შეეხება ფორმას **وہار** [v.h.rar], ვ. ფ. მინორსკი ვარაუდობს, რომ ეს არის რთული სახელის ტრანსკრიფციის რამდენიმე მცდელობის შედეგი, რომელიც შეიცავდა ელემენტებს **ورا** (* ვავ, რა, ალევ), რომლებიც წერილობით ხშირად ერევათ ერთმანეთში. ერთ-ერთი ასო **ر** [რა] შესაძლოა ზედმეტია და ***وہرا** **[v.h.ra]-ს (ან უკეთესი **اورہ** **[uh.r]) მეშვეობით მივდივართ სომხურ ფორმამდე. წინასწარი რეკონსტრუქციით ეს ტიტული შემდეგნაირად გამოიყურება: Auhar-z-an-shah (ანუ, „მაჰი ავარ სახელწოდების ხალხისა“)¹.

ვ. მ. ბეილისი არგუმენტირებულად ეწინააღმდეგება ვ. ფ. მინორსკის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც სარირის მმართველი დინასტია ალთაური წარმოშობის იყო². ვ. მ. ბეილისი, სხვადასხვა შუასაუკუნეების წყაროების ანალიზის საფუძველზე, არ ემხრობოდა კავკასიელი ავარების ეთნონიმის კავშირს შუა აზიის მომთაბარე სამყაროსთან³. იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ ხოსრო ანუშირვან I-ის მმართველობის დასაწყისისთვის (531–579) სარირის ტერიტორიაზე არსებობდა სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც ატარებდა ირანული წარმოშობის ტიტულს (Auhar-z-an-shah), იგი ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ ავარ-მომთაბარეებს დაემორჩილებინათ ძნელად მისადგომი მთიანი რეგიონი, იქ დამკვიდრებულიყვნენ და სასანიანთა მოკავშირეები გამხდარიყვნენ⁴. ამგვარად, იგი, ისევე როგორც გ. ა. გეიბულაევი, ერთმანეთისგან განასხვავებს კავკასიელ და შუააზიურ ავარებს, მათ სრუ-

¹ Hudud al-Alam... P. 447-448

² Бейлис В.М. Указ. раб. С. 255.

³ იქვე. С. 256.

⁴ Бейлис В.М. Указ. раб. С. 256.

ლიად განსხვავებულ ხალხებად მიიჩნევს, რომელთაც „აერთიანებს“ მხოლოდ სახელწოდების მოჩვენებითი იდენტურობა.

ვ. მ. ბეილისის დასკვნები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში ცნობილმა ავარებმა ჩრდილოეთ კავკასიაში სულ რამდენიმე წელი დაჰყვეს. ცნობილია, რომ 560-იან წლებში „ავარები, რომლებიც დუნაისა და სავაზე მ-ივიდნენ, გადაადგილდებოდნენ კასპიის ჩრდილოეთი ნაპირებიდან და სამხრეთრუსული სტეპებიდან“¹. პირველად ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩენის შემდეგ, 558 წელს, ალანთა „მეფის“ საროზიის შუამავლობით, ავარები შევიდნენ კავშირში ბიზანტიასთან, რომელიც იმ დროს ირანთან ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხოლო 560–561 წლებში ავარებმა გადალახეს დონი, დაამარცხეს სლავები და საბოლოოდ დასახლდნენ დუნაის შუა დინებაზე, სადაც ჩამოაყალიბეს ავარების კაგანატი, რომელმაც გააერთიანა საერთო ენის არმქონე სხვადასხვა ტომი². იმავდროულად, ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, უკვე 530-იან წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში არსებობდა სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც შუასაუკუნეების სპარსულ წყაროებში ცნობილია როგორც Awhar.

აქედან გამომდინარე, სხვაგვარად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული სირიული წყაროს — „ფსევდო-ზაქარია მიტილენელის ქრონიკის“ ცნობები. აღნიშნული ქრონიკის ნაწყვეტი, რომელიც 561 წელს შეიქმნა, მიუთითებს, რომ დერბენტის კარიბჭეების მიღმა ცხოვრობდნენ შემდეგი ხალხები: „ავგარ (ვარ. აუგარ), საბირ, ბურგარ, ალან, კურტარგარ, ავარ, ხასარ, დირმარ, სირურგურ, ბაგრასიკ, კულას, აბდელ, ეფტალიტი“³. პირველი ეთნონიმი — ავგარ/აუგარ — უნდა განიხილებოდეს თანამედროვე ავარების წინაპართა აღსანიშნავად, ხოლო „ალან“-ისა და „кyртаpгap“-ის შემდეგ მოხსენიებული ეთნონიმი „ავარ“ — როგორც პანონელი

¹ Пигулевская Н.В. Сирийская средневековая историография. 2011. С. 322.

² См. История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М., 1988. С. 98-99.

³ Гадло А.В. Этническая история Северного Кавказа IV – X вв. Л.: Изд-во Ленинград. ун-та, 1979. С. 100-101; Пигулевская Н.В. Сирийская средневековая историография: исследования и переводы. СПб., «Дмитрий Буланин», 2011. С. 595.

ავარები, რომლებიც იმ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ალანების, კუტრიგურების („кутригур“) და ავარების ერთობლივი მოხსენიება კავკასიაში, მათ ღუნაიზე ერთობლივი გადასახლების ფაქტებთან ერთად, ადასტურებს ჩვენს ვერსიას.

ამრიგად, გამოდის, რომ თითქოსდა ავარები, რომლებიც შუა აზიიდან მოვიდნენ, მხოლოდ რამდენიმე წლით შეჩერდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში და ამ დროის განმავლობაში მოასწრეს დაემორჩილებინათ დიდი სიმდიდრის არმეონე და ამიტომ ნაკლებად მიმზიდველი, ამასთანავე ძნელად მისადგომი მთიანი რეგიონი, რომლის ხანგრძლივად დამორჩილებაც შემდგომში ვერ შეძლეს ვერც არაბებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც თემურლენგმა და ვერც სხვა დამპყრობლებმა. შესაბამისად, თეორია, რომლის მიხედვითაც რომელიღაც მომთაბარე ტომმა, რომელიც საკუთარ მღევრებს გაექცა, „გზადაგზა“ შეძლო აღნიშნული რეგიონის დაპყრობა და მრავალ საუკუნედ დამორჩელება, აშკარად გამოგონილად გამოიყურება და ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული.

ამასთანავე, ეთნონიმ Awar-ის კვლევისას, მკვლევარები არც კი ფიქრობს ამ სიტყვის საკუთრივ ავარულ ეტიმოლოგიაზე.

ამასთანავე, ავარული/ხუნძური ენის ლექსიკა სხვა მონათესავე ენებთან შედარებისას კავკასიური ენების საფუძველზე ახსნის საშუალებას იძლევა. აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა ამ სტრიქონების ავტორის სპეციალური სტატია¹. სტატიაში დასაბუთებულია მოსაზრება, რომ ეთნონიმ Awar-ს სავსებით შესაძლებელია, ჰქონდეს სწორედ კავკასიური, კერძოდ, ავარიული/ხუნძური ეტიმოლოგია. ამან შესაძლოა, შუქი მოჰფინოს იმ ეთნიკურ პროცესებს, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში მიმდინარეობდა აღმოსავლეთ კავკასიაში და ამ პროცესების შედეგად ამ სახელწოდების ხალხის წარმოშობას. თავდაპირველად, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, მას ჰქონდა ფორმა Awhar (avaxl + ar, ал, ანუ „მრავლობითის სუფიქსი“?), ხოლო შემდგომში წერილობით წყაროებში დამკვიდრდა ფორმით Awar, თუმცა XIV-XV საუკუნეების

¹ Хализов Ш.М. К вопросу о происхождении этнонима Awar // Вестник ИИАЭ. 2016. № 2. С. 99-106.

ცალკეულ წყაროებშიც ეს ეთნონიმი კვლავ ინარჩუნებს ფორმას Awhar. მისი მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ადამიანები ყამირი, აუთვისებელი მიწებიდან“ და დაუკავშირდეს მათ თვითიდენტიფიცირებას, როგორც კასპიისპირეთის დაბლობებიდან მოსულებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში დაცარიელდა მოსული ტომების შემოსევების შედეგად. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ასახულია „ქართლის ცხოვრებაში“. აღნიშნული წყაროს მიხედვით, ლეკების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ხუნძები ეწოდება (რომლებშიც, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდნენ ცენტრალური ავარები), გადმოსახლდა მთიანი დაღესტნის რაიონებში¹. წყაროში საუბარია გარკვეული მომთაბარე ტომების გაძლიერებაზე, რომლებიც მემატიანის მიერ მოხსენიებულია, როგორც „ხაზარები“ (მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ეს ანაქრონიზმია), რომლებმაც დაიმორჩილეს მთელი ჩრდილოეთ კავკასია. ამასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „ხოზანიხი, როგორც ლეკის სხვა შთამომავლებზე უფრო დიდებული, წავიდა და დასახლდა მთის ნაპრალში, იქ ააშენა ქალაქი და დაარქვა მას თავისი სახელი — ხოზანიხეთი“². აღნიშნული მოვლენების დათარიღება შესაძლებელია იმით, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეს მოხდა სპარსელთა გაძლიერებამდე, ანუ სასანიდთა იმპერიამდე, რომლებმაც „ზღვის კარიბჭესთან ააშენეს ქალაქი და უწოდეს მას დერბენტი“³. ვინაიდან სპარსელთა გაძლიერებას, ანუ სასანიდთა იმპერიის შეიქმნა III საუკუნეში, ხოლო დერბენტის ციხე აშენდა V საუკუნეში, „ხოზანიხის“ გადასახლება უფრო ადრე, სავარაუდოდ ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უნდა მომხდარიყო.

მსგავსი, გეოგრაფიული, უფრო სწორად რელიეფური პრინციპით ჩამოყალიბდა ეთნონიმი лъарал — „ბარის მცხოვრებლები“ (თანამედროვე გაგებით — „ყუმუხები“). შესაძლებელია,

¹ Гаджиев М.Г., Давудов О.М., Шихсаидов А.Р. История Дагестана с древнейших времен до конца XV в. Махачкала, 1996. С. 125.

² Картлис Цховреба (История Грузии) / под ред. Р. Метревели. Тбилиси, 2008. С. 18.

³ Картлис Цховреба (История Грузии) / под ред. Р. Метревели. Тбилиси, 2008. С. 18.

ანალოგიურად ჩამოყალიბდა ეთნონიმი „аварал“ — „სტეპებისა და ვერანი ადგილების მცხოვრებლები“?

ამის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი დაკვირვება. ანდიელთა — ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავარიული სუბეთნოსის (გვანალ) — თვითსახელწოდება აზრობრივი მნიშვნელობით ემთხვევა ეთნონიმ Awar-ს. ამას ადასტურებს ავარიული კლასიკოსის, ჰამზათ წადასას შემოქმედების ენა, რომელიც იყენებდა სიტყვებს გვანილ უმმატ (ასევე ერთძირიანი სიტყვა გვანილლუი) მნიშვნელობით „ადამიანები ველური, ვერანი ადგილებიდან“ (гIалхулал, ракъ жубалареб къавм)¹, ანუ ვერანი ან ყამირი მიწებიდან. ხუნძური ენის ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ფიქსირდება, თუმცა არსებობს ერთძირიანი სიტყვები მსგავსი მნიშვნელობით: гванзу — „ვერანი ადგილი, სავანე“; гванзих — „ძალიან შორს“²; гванзан — „უხეში, უზრდელი“³.

P.S.

ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ზოგიერთი ავტორი ცდილობს თავს მოგვახვიოს იდეა, თითქოს ეთნონიმი „ავარები“ სრულიად უცხოა ამ ხალხის წარმომადგენლებისთვის. მათი შეხედულებით, სახელწოდება ავარები ამ ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მოახვიეს თავს. თუმცა ფაქტები შუა საუკუნეების პერიოდის ავარიის წერილობითი წყაროებიდან საწინააღმდეგოს ადასტურებს. ამას თვალსაჩინო მაგალითით გაჩვენებთ. არაბულენოვან ლიტერატურაში ამა თუ იმ ავტორის ეროვნული კუთვნილების მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენდა მისი ნისბა. ამასთან დაკავშირებით მივმართავთ წინასაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს — დურგელელი ნაზირის თხზულებას, რომელიც დადესტნელი მეცნიერების X–XX საუკუნეების ბიოგრაფიებს ეძღვნება. მასში იგი ასახელებს შუა საუკუნეების ყველა ცნობილი ალიმის ნისბას, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია მათი ეროვნული კუთვნილების დაზუსტება. თავად ავტორი ავარი არ არის, არამედ ყუმუხური

¹ ХIамзатил ХIажияв. ЦIадаса ХIамзатил адабияб ирс. Баянал. МахIачхъала, 2010. Гь. 52 (на авар. яз.).

² Саидов М. Аварско-русский словарь. М., 1967. С. 147

³ Саидова П.А. Диалектологический словарь аварского языка. М., 2008. С. 96.

სოფლის დურგელის მკვიდრია, ამიტომ მისი ანგაჟირებულობაში დადანაშაულება შეუძლებელია.

მაშ ასე, მოვიყვანოთ არასრულ სიას შუა საუკუნეების მეცნიერების — ავარების შესახებ, რომლებიც ნაზირ ად-დურგელის მიერ არიან მოხსენიებულნი, თავიანთი ნისბებით, ანუ თვითიდენტიფიცირებით¹: შაბან ალ-უბუდი ალ-ავარი (XVII ს., სოფ. ობოდა, ხუნზახის რაიონი), აბუბაქრ არ-რუგუდჟი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. რუგუდჟა, გუნიბის რაიონი), ჰადის ალ-მაჩადი ალ-ხიდალი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. მაჩადა, შამილის რაიონი), ალი ალ-არგუნი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. არგვანი, გუმბეთის რაიონი), მუჰამმად ტიტაღავის ძე ალ-ყარათი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. ყარათა, ახვახის რაიონი), მანილაჰ ალ-ყარახი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. ტლიახ/ჩარადა, ჩაროდინის რაიონი), აბუბაქრ ალ-აიმაკი ალ-ავარი (XVIII ს., სოფ. აიმაკი, გერგებილის რაიონი), ზაგალავ ალ-ხვარში ალ-ავარი (XIX ს., სოფ. ხვარში, ცუმადინის რაიონი), ჰაჯიალი ალ-კულეცმი ალ-ავარი (XVIII–XIX სს., სოფ. კულეცმა, ლევაშინის რაიონი), აბუბაქრ ალ-ჩირკავი ალ-ავარი (XIX ს., სოფ. ჩირკეი, ბუინაკსკის რაიონი), ნაიბები ტურაჩი ალ-ყარათი ალ-ავარი და გალბაც ალ-ყარათი ალ-ავარი (XIX ს., სოფ. ყარათა, ახვახის რაიონი) და სხვ. ზემოაღნიშნული სოფლების გარდა, ნისბა „ალ-ავარის“ მატარებელთა შორის მითითებულია შემდეგი სოფლების მცხოვრებლებიც: ტლაილუხ, ალაკ, კუდალი, ტლოხ, კუდუტლი, სალთა, კულაბ, სოგრატილი, გოჩობ, უნტიბ, ანსალთა, არაკანი, კოლო, გინიჩუტლი, გაწალუხ, ხარაჩი, გუნუხ, იტლაბ, ტანუსი, ხელეტური, ურადა, ხარიკოლო, ბაგინუბ, ხარახი, ხახიტა, ცულდა, გამსუტლი, ტელეტლი. ად-დურგელის მეცნიერთა სიაში არ არის არც ერთი ცუნტინის რაიონის მკვიდრი, რის გამოც ისინი არ არიან ნისბა „ალ-ავარის“ მატარებელთა სიაში.

ად-დურგელის სიის გარდა, შესაძლებელია სხვა მაგალითების მოყვანაც, თუ როგორ იყენებდნენ ავარი მეცნიერები ნისბას „ალ-ავარი“ როგორც თვითიდენტიფიცირების საშუალებას. ნაშრომში „ატ-

¹ Назир ад-Дургели. Улада умов в биографиях дагестанских ученых (Нузхат ал-азхан фи тараджим улама Дагистан): дагестанские ученые X – XX вв. и их сочинения / пер. с араб., комент., факс., изд., указ. и библиогр. Подгот. А.Р. Шихсаидовым, М. Кемпером, А.К. Бустановым. М., 2012. С. 42, 48, 53, 54, 56, 70, 75, 94, 97.

Тасриф ал-маъкүд Шарх васат ал-максүд“ მუჰამმადთაჰირ ალ-ყარა-ხიმ საკუთარი თავი მიუთითა როგორც „მუჰამმადთაჰირ ალ-ყარა-ხი ალ-ავარი“¹. 1885-86 წლებში გარდაცვლილი და კახის რაიონის სოფელ შოტავარში დაკრძალული, ჩაროდინის რაიონის სოფელ არჩი-ბის მკვიდრი, XIX საუკუნის სუფიურ თხზულებებში მოიხსენიება როგორც მუჰამმად არ-რუჩი ალ-ავარი².

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი ეთნოგრაფი მ. მაგომედხანოვი: „დაღესტნის ხალხების ეთნიკური თვითშეგნება შეიძლება შევადაროთ „ტაქსონომიურ კიბეს“, რომლის პირველი საფეხური სოფლის საზოგადოებასთან იდენტობაა. მაგალითად, სოფ. რუგუჯის მკვიდრი ანდალალელთა საზოგადოებაში თავს, პირველ რიგში, რუგუჯელად აღიქვამს; ზოგადად ავარებს შორის იგი ანდალალელია; დაღესტნის სხვა ხალხების წარმომადგენლებისთვის — ავარია; ხოლო რუსეთისთვის — დაღესტნელი. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგივე რუგუჯელი რუგუჯელების, ანდალალელების, ავარების ან დაღესტნისა და რუსეთის სხვა ხალხების გარემოში თავს არ გრძნობს რუგუჯელად, ანდალალელად, ავარად, დაღესტნელად და რუსეთის მოქალაქედ. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად აქტუალური და ინფორმაციულია იდენტობის ესა თუ ის ჰიპოტაზის კომუნიკაციის კონკრეტულ მომენტში“³.

ეს მოსაზრება დასტურია იმისა, რომ შუა საუკუნეებშიც, ნის-ბებში მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ კონკრეტული სოფლის მკვიდრი პირველ რიგში საკუთარ დასახლებასთან ახდენდა იდენტიფიცირებას, შემდეგ — რეგიონთან და შემდგომ — ეროვნებასთან. მაგალითად, სოფ. რუგუჯის (დღევანდელი გუნიბის რაიონი) მკვიდრი, XIX საუკუნის ცნობილი ხელნაწერების გადამწერი (მხოლოდ კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება მის მიერ გადაწერილი 8 წიგნი), მკითხველების წინაშე

¹ Шихсаидов А.Р., Омаров Х.А. Каталог арабских рукописей (Коллекция М.-С. Саидова). Махачкала, 2005. С. 100.

² Айтберов Т.М., Хапизов Ш.М. Елису и Горный магал в XII-XIX веках (очерки истории и ономастики). Махачкала, 2011. С. 361.

³ Магомедханов М.М. Этноязыковые процессы у народов Западного Дагестана // Вестник Института ИАЭ. Махачкала, 2006. № 3. С. 107-108.

თავს ასე წარმოგვიდგენს: „კურბან მუჰამმად იბნ სუგურ-ბეკ ალ-ავარი ალ-ანდალავი არრუგუდჟი“¹.

XVIII საუკუნის სხვა ხელნაწერების გადამწერი საკუთარ თავს 1781 წლის 18 მარტს გადაწერილი წიგნის ბოლოს ასე მოიხსენიებს: „მუჰამმად იბნ აბდალლაჰ ალ-ბაცადი ვილაიათ ალ-ავარიდ-ან“².

შუა საუკუნეების დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერი კი თავის ხელნაწერებში თავს ასე ასახელებს: „მუჰამმად იბნ მუსალავ ალ-კუდუკი ალ-ავარი“³.

ცხადია, რომ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან ძველ-ავარიულ ტომებს ჰქონდათ სხვადასხვა ეთნონიმი. მაგალითად, პლინიუსის ანდაკები შედარებულია დაღესტნის ანდიელებთან, ხოლო კარატასეები — ავარიულ სახელწოდებასთან კარატაელები-სა, Klaparalal და მათი სოფლის საზოგადოებების კავშირთან კარატა (ავარ. Klapatlaca — „კარატადან“) მთიან დაღესტანში⁴. ანდიის მდინარე ანდის-კოისუს ზემო წელში განსახლებული ავარული ტომი ცნობილია როგორც „სილვები“ (ვარიანტები: სული, სილე)⁵. მათ გვერდით ცხოვრობენ დიდოელები — წუნთის ავარების წინაპრები. სომხურ წყაროებში ისინი მოხსენიებულნი არიან როგორც დიდოი/დიდოცი⁶, ხოლო ანტიკურ ავტორებთან — დიდურებად (Plin. Nat. Hist. 6.29: Diduri; Ptolem. 5.8.22: Δίδουροι). მათი

¹ Гварамия Р.В., Канчавели Н.Г. Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе Академии наук Грузии (коллекция L- Выпуск II). Тбилиси, 2002. С. 559.

² Гварамия Р.В., Канчавели Н.Г. Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе Академии наук Грузии (коллекция L- Выпуск II). Тбилиси, 2002. С. 354.

³ Гварамия Р.В., Канчавели Н.Г. Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе Академии наук Грузии (коллекция L- Выпуск II). Тбилиси, 2002. С. 263.

⁴ Гаджиев М.С. Этническая карта Северного Кавказа в период поздней античности // Вестник ДНЦ. 2019. № 72. С. 20.

⁵ Тревер К.В. Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М.-Л., 1959. С. 192; Волкова Н.Г. Из северо-кавказской этнонимии // Ономастика Кавказа. Махачкала, 1976. С. 182-183.

⁶ Семёнов И.Г. Восточнокавказские этнонимы в раннесредневековых армянских источниках // Восток (Oriens). 2012. № 5. С. 31.

ენდოეთნონიმი ცეზი ნიშნავს „არწივს“ (cej — „არწივი“); ავარები მათ უწოდებენ cunta-ს იმავე მნიშვნელობით cun-დან¹.

ასევე სწორია, რომ წარსულში ეთნონიმი „ავარი“ ძირითადად ხუნზახის პლატოსთან იყო დაკავშირებული, თუმცა აშკარაა, რომ შემდგომში იგი გავრცელდა ავარების განსახლების მთელ ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ არის სხვადასხვა ხალხების ისტორიაში, მათ შორის მსხვილი ევროპული ერების — სახელმწიფოების ისტორიაშიც. ეთნიკური ჯგუფების, როგორც ეთნოსის სტრუქტურის ელემენტების როლი დღემდე მკაფიოდ იკვეთება, ხოლო ევროპაში — კაპიტალიზმის განვითარებამდე. მაგალითად, „დიდი საფრანგეთის რევოლუციის წინ ნავარას, ბეარნის და სხვა პროვინციების მცხოვრებლები თავს ფრანგებად კი არ მიიჩნევდნენ, არამედ ცალკე „ხალხად“. საინტერესოა, რომ ჟანა დ'არკი, რომელიც ლოთარინგიაში დაიბადა, ჰყვებოდა, თითქოს ზეციდან ესმოდა ხმა: „წადი საფრანგეთში“. მის ეპოქაში საფრანგეთად ფაქტობრივად ითვლებოდა მხოლოდ ილ-დე-ფრანსი — მეფის დომენი. თან იმ პერიოდში, გარდა ფრანგებისა, საფრანგეთში ცალკე ეთნიკურ ჯგუფად არსებობდნენ პროვანსელები. თუმცა მოგვიანებით ისინიც შეერწყნენ ფრანგებს და იქცნენ ამ ერის ეთნოგრაფიულ ჯგუფად. თავად ილ-დე-ფრანსის მოსახლეობა კი, არა მხოლოდ შევიდა ფრანგული ერის შემადგენლობაში, არამედ მას საკუთარი სახელწოდებაც გადასცა“². ანალოგიურად, ისტორიული ავარის ცენტრის სახელწოდება გადაეცა ამ ხალხის ყველა წარმომადგენელს.

¹ Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. II. Л., 1973. С. 94.

² Чеснов Я.В. Название народа: откуда оно? // Советская этнография. М., 1973. Вып. 6. С. 137.

4.3. ეთნონიმი ლაკზ-ი და მისი წარმოშობა

ადრეული შუა საუკუნეებიდან ისტორიული დაღესტნის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ეთნოტოპონიმი Lakz. ამ ნისბას ატარებდა ზოგიერთი შუა საუკუნეების მეცნიერიც, მაგალითად, მამმუს ალ-ლაკზი ად-დარბანდი (1040–1110 წწ.)¹. ნისბიდან გამომდინარე, მამმუს ალ-ლაკზი დაიბადა დერბენტში (ბაბ ალ-აბ-ვაბე) ლაკზის ქვეყნიდან (ბილად ლაკზ) შთამომავლების ოჯახში, ან თავად ამ ქვეყანაში.

აღნიშნული ეთნონიმის lakz ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ე. ბენვენისტმა, ნ. ტრუბეტკოიმ და ვ. მინორსკიმ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ფორმა lakz წარმოადგენს ძველ აღმოსავლეთკავკასიურ სიტყვას მნიშვნელობით „ადამიანი“². ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საინტერესო ვარაუდი გამოთქვა პ. კ. უსლარმა: „...ხომ არ არის იგი (ოს. lag „ადამიანი“. – ი. ა., კ. მ.) დაკავშირებული ლეგებთან, ლეზგებთან, ლეზგინებთან?“³ თუმცა, თუ ეს მოსაზრება ინტუიციურ ხასიათს ატარებდა, ამ საკითხზე ვ. ი. აბაევის შენიშვნა ეფუძნება კავკასიური ენების დიდი მოცულობის მასალის კვლევას: „სიტყვა lag „ადამიანი“, „გლეხი“, „მონა“ ჩვენთვის წარმოგვიდგენია როგორც ძირძველი კავკასიური. ოსურში იგი შემორჩა როგორც კავკასიური სუბსტრატის ერთ-ერთი მკაფიო ნაშთი“⁴. ნ. ტრუბეტკოიზე დაყრდნობით ამავე აზრს ავითარებს ე. ბენვენისტიც⁵. ვ. ფ. მინორსკი ამ ელემენტს lak-ს ადგილობრივ, დაღესტნურ წარმოშობას მიაკუთვნებს და უკავშირებს სიტყვა lag-ს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის რიგ ენებში ნიშნავს „ადამიანს“. ხოლო ფორმა ლეზგ-(ინ) მას მიაჩნია მეტათეზის შედეგად წარმოქ-

¹ Аликберов А.К. ал-Лакзи, Маммус // Ислам на территории бывшей Российской империи: Энциклопедический справочник / сост. и отв. ред. С.М. Прозоров. М., 2006. С. 240-241.

² Бенвенист Э. Очерки по осетинскому языку. М., 1965. С. 127; Trubetskoy N. См. в кн. Melanges J. van Ginneken, Paris, 1937. С. 172; Минорский В.Ф. История Ширвана и Дербенда. М., 1963. С. 112.

³ Услар П.К. Этнография Кавказа. Языкознание. IV. Лакский язык. Тифлис, 1890. С. 18.

⁴ Абаев В.И. Осетинский язык и фольклор. М.–Л., 1909. Вып. I. С. 315.

⁵ Бенвенист Э. Указ. раб. С. 127.

მნილად¹. როგორც ჩანს, ეს ავტორები ასეთ დასკვნამდე მიდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ოსური სიტყვა *lag* (лак) „ადამიანი“, „კაცი“ წარმოშობით ირანული არ არის და ოსურ ენაში ჩრდილოკავკასიური ენებიდან შესულ ნასესხობად ითვლება; ამასთან, იგი არაერთმა მეცნიერმა (პ. კ. უსლარი, ვ. ი. აბაევი, ე. ბენვენისტი და სხვ.) დაუკავშირა ეთნიკურ სახელწოდებებს ლაკ, *leg*.

საინტერესოა, უკვე ოსურ ენაში დამკვიდრებული, ამ სიტყვის შემდგომი ბედი — იგი კვლავ ჩნდება დაღესტნურ ენებში. გარდა ამისა, იგი გვხვდება ნახურ ენებშიც — ჩეჩნურსა და ინგუშურში. უფრო მეტიც, აფხაზური და აბაზური ენების სხვადასხვა სიტყვის შემადგენლობაშიც ვ. ი. აბაევი აღნიშნულ ლექსემას გამოყოფს², ანუ იგი ოსურიდან გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ენათა უმრავლესობაში. თუმცა ამ ენებში მისმა ახალმა მნიშვნელობამ მიიღო ფორმა „მსახური“, „ყმა“, „მონა“. მსგავსი შემთხვევები სხვა ენებშიც ცნობილია³. და, რა თქმა უნდა, ამ ფაქტების ფონზე რთულია რაიმე საპირისპიროს თქმა ვ. ი. აბაევის სიტყვებზე, როდესაც იგი აღნიშნავს: „ცნება ‘ადამიანიდან’ სოციალურ წოდებამდე — მანძილი მცირეა...“⁴

ა. კ. ალიკბეროვი, მამმუსისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ სტატიაში, რომელიც შეტანილია ენციკლოპედიურ ცნობარში და ეძღვნება ისლამს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, სახელწოდებაში „Lak“-ს ხედავს მხოლოდ ლეზგინებს ან მათი განსახლების ტერიტორიას⁵, თუმცა თავის უფრო ადრეულ მონოგრაფიაში იგი წერს, რომ მოცემულ ეპოქაში შირვანის ტერიტორიაზე და ზოგადად, მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით, ლაკების/ლეკების შემკრები სახელწოდებით უნდა მოვიაზროთ „უდიური, წახურული, ავარული და სხვა ეთნიკური ჯგუფები“⁶.

¹ Минорский В.Ф. История Ширвана и Дербенда. М., 1963. С. 134.

² Абаев В.И. Осетинский язык и фольклор. М.—Л., 1909. Вып. I. С. 315.

³ См. Абдуллаев И.Х., Микаилов К.Ш. К истории дагестанских этнонимов Лезг и Лак // Этнография имен. М., 1971. С. 13-26.

⁴ Абаев В.И. Осетинский язык и фольклор. М.—Л., 1909. Вып. I. С. 315.

⁵ Аликберов А.К. ал-Лакзи, Маммус // Ислам на территории бывшей Российской империи: Энциклопедический справочник / сост. и отв. ред. С.М. Прозоров. М., 2006. С. 240-241.

⁶ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 194.

ა. კ. ალიკბეროვის მონოგრაფია¹ დიდწილად ეძღვნება აღმოსავლეთ კავკასიის ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებს². მონოგრაფიაში „კლასიკური ისლამის ეპოქა“ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ლეზგიური ქვეჯგუფის ხალხთა განსახლების ტერიტორიას და მათ შორის — პოლიტიკურ წარმონაქმნ ლაკზს³. ზოგადად, აქ იგრძნობა, რომ ავტორის სახელმძღვანელო ხაზს, რაც სრულიად სამართლიანია, წარმოადგენს ა. რ. შიხსაიდოვის თეზისები⁴. მაგალითად, ლეზგისტანის სიფართოვის შესახებ აღნიშნულია, რომ „ლაკზი მოიცავდა დიდ ტერიტორიას სამურის მარჯვენა ნაპირზე“⁵. ო.მ. დავუდოვი ასევე მიიჩნევს, რომ „ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდა მოსახლეობა, რომელიც ლაპარაკობდა ნახურ-დაღესტნურ ენებზე. კავკასიური ალბანეთის ტომების ნაშთების მიხედვით, იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ ტომები, რომლებიც თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც ბინადრობდნენ“⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ფ. მინორსკის სამხრეთ ლეზგისტანის ბარის ნაწილი დაღესტნურენოვანი ეთნოსების თავდაპირველი განსახლების ზონის შემადგენლობაში შეჰქონდა; შაბრანი (დევიჩინის რაიონი PA) და მიშკიური // მასკატი (ხაჩმაზის რაიონი PA) — ტერიტორიებია, რომელთა მიწებიც თავდაპირველად „ლეზგიურ სამთავროებს“ ეკუთვნოდა⁷. აქ აღნიშნული ასევე ეხება ხურსანს (დაახლოებით, შაჰდადის ხალხების ზონა) და ხელნაწერებში დაფიქსირებულ მონაკვეთს „ვარდან“-ს (სამურის გაღმა მიშკიურის ნაწილი), რომელსაც ვ. ფ. მინორსკი „ლაკზების

¹ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе: Абу Бакр ад-Дарбанди и его суфийская энциклопедия «Райхан ал-хакаик» (XI-XII вв.). М., 2003.

² Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 43-231.

³ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 89-129.

⁴ Шихсаидов А.Р. Вопросы исторической географии Дагестана X-XIV вв.: Лакз, Гумик // Восточные источники по истории Дагестана, Махачкала, 1980. С. 65-70; Шихсаидов А.Р. Очерки истории, источниковедения, археографии средневекового Дагестана. Махачкала, 2008. С. 153-168; Рамазанов Х.Х., Шихсаидов А.Р. Очерки истории Южного Дагестана. Махачкала, 1969.

⁵ Аликберов А.К. Эпоха классического ислама на Кавказе. М., 2003. С. 194

⁶ Давудов О.М. Материальная культура Дагестана албанского времени (III в. до н.э. — IV в. н.э.). Махачкала, 1996. С. 220.

⁷ Минорский В.Ф. История Ширвана... С. 108.

ტერიტორიას“ მიაკუთვნებს¹; შესაძლოა, რომ ხურსი (მრავლობითში — ხურსან), რომელიც ა. ნ. გენკოს მიხედვით ბემ-ბარმაქის მახლობლად ლოკალიზდება², შეესაბამებოდეს ლეზგების ახლობელი მცირერიცხოვან ხალხს — კრიზებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად ლეზგებითა და თაბასარანებით დასახლებული მიწები დერბენტის გარშემო და სამურის ქვედა დინებაში XIII–XIV საუკუნეებში განადგურდა მონღოლთა შემოსევებისა და ასევე ჰულაგუიდებსა და ოქროს ურდოს შორის სამხედრო მოქმედებებისა და დამპყრობელი თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად. ამ პერიოდში დაღესტნის ნაწილს ეწოდა „Ulus“, რადგან აქ განთავსებული იყო მონღოლური ჯარების ბანაკი. მაგალითად, XIV საუკუნეში, 1367 წლის ევროპული რუკის მიხედვით, დერბენტის სამხრეთით მდებარეობდა ჰულაგუ ხანის შთამომავლების — ილხანთა სახელმწიფოს Caraol („ყარაული“). მათი სახელმწიფო მოიცავდა ირანსა და მეზობელ რეგიონებს³.

შემდგომ, XVI–XVII საუკუნეებში, ირანში მმართველმა სეფიანთა დინასტიამ სცადა ამ მიწების ათვისება და დასახლება მისი ერთგული მომთაბარე თურქულენოვანი ტომებით, რომლებიც ისლამის შიიტურ მიმართულებას მისდევდნენ. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა შაჰ აბას I-ის დროს, როდესაც დერბენტთან მიმდებარე ტერიტორიებზე თურქულენოვანი ტომი — ჰადარი, გადაასახლეს, რომლის ძირითადი ამოცანა იყო „ლეზგიური თარეშების მოგერიება“⁴. სეფიანთა ისტორიულ მიშკიურში (ამჟამინდელი ხაჩმაზის რაიონი, აზერბაიჯანი) და ულუსში დაასახლეს შემდეგი ტომები: უსტაჯლუ, ყაჯარები, ბაიათები, ყარაკოიუნლუ. ა. ბაკიხანოვის მიხედვით, რომელმაც ეს და სხვა ტომები

¹ Минорский В.Ф. Указ. раб. С. 109, 112-6 (карта), 115.

² Генко А.Н. Арабский язык... С. 87. См. также Гаджиев М.С. Этапы градостроительной и фортификационной деятельности Сасанидов на Восточном Кавказе // Ирано-дагестанские культурно-исторические связи: сборник докладов международной конференции. Махачкала, 2006. С. 29.

³ Криштопа А.Е. Дагестан в XIII – начале XV вв. Очерк политической истории. М.: Таус, 2007. С. 116.

⁴ История Азербайджана. Баку, 1958. Т. I. С. 266.

ჩამოთვალა, ისინი „წარმოიშვნენ თურქებისა და სხვა ხალხებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ სპარსეთსა და თურქეთში“¹.

ლაკზის ლოკალიზაციის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ა. კ. ალიკბეროვის შეფასება ემთხვევა ა. რ. შიხსაიდოვის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეთნონიმ „ლაკზ“-ში მხოლოდ სამხრეთ დაღესტნის ხალხებს ხედავს. მის ოპონენტებს ალ-მასუდის ცნობა მოაქვთ, რომელიც ალ-ლაკზის ქვეყანაში „დუდანიას“ ათავსებს, ანუ წუნტინელ ავარებს, აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ მონაცემების მიხედვით, „ხოზონიხი“ (ავარების ლეგენდარული წინაპარი, რომელმაც დააარსა ხუნზახი) არის „ყველაზე ცნობილი“ ლეკანის გვარში². ი. ხ. აბდულაევისა და კ. შ. მიკაილოვის სპეციალური კვლევა იმ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ეთნონიმი „ლეკი“ ყველა დაღესტნურენოვან ხალხს ეკუთვნოდა³.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ლეკები ანტიკური ავტორების ლეგებთან არის გაიგივებული (Λήγαι – Strabo. 11.5.1). ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეთნონიმი „ლეგი“ ძველლუზგიურ ტომებს ეკუთვნოდა⁴, სხვები — თანამედროვე ლაკების წინაპრებს, რომელთა თვითსახელწოდებაა ლაკია⁵, ხოლო მესამე ჯგუფი, ლეგს ქართულ წყაროებში არსებულ ეთნონიმ ლეკთან აიგივებს და მას დაღესტნური ხალხების შემკრებ სახელწოდებად მიიჩნევს⁶. ი. გ. სემიონოვმა სცადა აღნიშნული მოსაზრებების აკუმული-

¹ Аббас-Кули-Ага Бакиханов. Гюлистан-и-Ирам / ред., комм., ук. З.М. Буниятова. Баку, 1991. С. 22.

² Давудов О.М. Материальная культура Дагестана албанского времени (III в. до н.э. – IV в. н.э.). Махачкала, 1996. С. 224.

³ Абдуллаев И.Х., Микаилов К.Ш. К истории дагестанских этнонимов лезг и лак // Этнография имен. М., 1971. С. 13-26.

⁴ Шихсаидов А.Р. Ислам в раннесредневековом Дагестане (XII–XV вв.). Махачкала, 1969. С. 32–33; Шихсаидов А.Р. Вопросы исторической географии Дагестана X–XV вв. (Лакз, Гумик) // Восточные источники по истории Дагестана. Махачкала, 1980. С. 67.

⁵ Халантьян Г. Армянские Аршакиды. Т. 1. М., 1903. С. 264.

⁶ Магомедов Р.М. Проблемы происхождения дагестанских народов в дореволюционной историографии // Ученые записки Дагестанского государственного университета. Махачкала, 1960. С. 37–56; Минорский В.Ф. История Ширвана и Дербенда X–XI вв. М., 1963. С. 134; Абдуллаев И.Х., Микаилов К.Ш. К истории дагестанских этнонимов лезг и лак // Этнография имен. М., 1971. С. 13-16; Давудов О.М. Об этнокультурной характеристике памятников

ირება და გამოთქვა ლოგიკური ვარაუდი, რომ ეთნონიმი ლეგ/ლეკი ფართო მნიშვნელობით შეიძლებოდა გამოყენებულიყო ყველა დაღესტნური ტომის აღსანიშნავად, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით — ძველლეზგიური ტომების აღსანიშნავად¹.

უფრო კონკრეტიზებულია მ. ს. გაჯიევის დასკვნა, რომლის მიხედვითაც „სავარაუდოდ, ანტიკური ავტორების ეთნონიმი ლეგ (ეთნონიმ გელთან ერთად), რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავდა, უნდა განიხილებოდეს როგორც შემკრები (ისევე როგორც ქართული ლეკი), განსხვავებით ძველსომხური წყაროების ეთნონიმ ლეკისგან, სადაც იგი ფიგურირებს როგორც კავკასიური ალბანეთის კონკრეტული ტომის აღმნიშვნელი“².

4.4. ეთნონიმი დარგო და მისი წარმოშობა

რ. მაგომედოვის აზრით, „დარგულების ცალკე ეთნოსად ჩამოყალიბების დასაწყისი ასევე სათავეს იღებს რკინის ხანის ადრეულ პერიოდში (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი), როდესაც მიმდინარეობდა დაღესტნის მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობის თანდათანობითი და შეუქცევადი განცალკევება. სავარაუდოდ, ყაზიყუმუხის ყოისუს აუზის აღმოსავლეთით და ულლუჩაისა და რუბასის წყალგამყოფის ჩრდილოეთით“³. დარგულები თვითსახელწოდებას რ. მაგომედოვი უკავშირებს ტერმინს „დარგო“, რომლის ქვეშაც მეზობელი ხურებას ჯგუფის ტერიტორიულ-ფედერაციული გაერთიანება (დარგ. – „თემი, სახალხო ლაშქარი, ჯარი“) უნდა ვიგულისხმოთ. ტერმინის „დარგო“ ეტიმოლოგიას რ. მ. მაგომედოვი უკავშირებს ფესვს „დარკ“, რომელიც დარგულ ენაში „შიგნეულს, შიგნეულობას“ ნიშნავს. მისი აზრით,

Прикаспийского Дагестана // Этнокультурные процессы в древнем Дагестане. Махачкала, 1987. С. 45.

¹ Семёнов И.Г. Восточнокавказские этнонимы в раннесредневековых армянских источниках // Восток (Oriens). 2012. № 5. С. 27-38.

² Гаджиев М.С. Этническая карта Северного Кавказа в период поздней античности // Вестник ДНЦ. 2019. № 72. С. 21.

³ Магомедов Р.М. Даргинцы в дагестанском историческом процессе. Махачкала: Дагестанское книжное издательство, 1999. С. 11.

ხალხის ცნობიერებაში „დარგო“ აღიქმება როგორც „შუაგული“, „დაგუელთა სამშობლო“¹. ეს გარკვეულ საფუძველს იძლევა ხალხის თვითაღქმის რეკონსტრუქციისათვის (აღდგენისთვის) იმ შორეულ პერიოდში, როდესაც იგი იწყებდა თავის აღქმას არა უბრალოდ მეზობელი ტომების ჯგუფად, არამედ გარკვეულ ახლონათესაურ ეთნიკურ ერთობად. ამგვარად, დარგუელთა წინაპრები საკუთარ განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევდნენ იმას, რომ ისინი ბინადრობდნენ დაღესტნის რაღაც „შიდა“ ნაწილში, რაც მათ, სავარაუდოდ, განასხვავებს სხვა რაღაც „გარე, გარეგანი“ მიწების მოსახლეობისგან. ამრიგად, იკვეთება ე. წ. „შიდა ტერიტორიული ბირთვი“, რომელიც დასახლებული იყო თანამედროვე დარგუელთა წინაპრებით — სივრცე, რომელიც სამხრეთით შემოსაზღვრულია მდინარეების ულლუჩაისა და რუბასის წყალგამყოფებით, ჩრდილოეთით მდინარე შურა-ოზენის ხეობითა და დასავლეთით მდინარე დარგო-ჰერქის აუზით². ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ წარსულში აკუშა-დარგოს მცხოვრებლები „დარგალა“-ს ცნებაში არ მოიაზრებდნენ კადარს, გუბდენს, სირხას, მურიეს, მიურეგოსა და ქაიტაგს³. რ. მ. მაგომედოვის იდეები არ არის ახალი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მსგავს ეტიმოლოგიებს აყალიბებდნენ პ. უსლარი, ლ. ზაგურსკი და ე. ი. კოზუბსკი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ „დარგა“ ნიშნავს „თავისუფალი საზოგადოებების მიერ შექმნილ კავშირს“⁴. ამასთან, პ. უსლარი მას სიტყვა „დარგისგან“ (შიგნეული, შიგნეულობა) აწარმოებდა და თვლიდა, რომ „დარგუა არ შეიცავდა ლინგვისტურ ცნებას“, არამედ მხოლოდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცნებას⁵. ეთნოგრაფი მ.-ზ. ოსმანოვი ასევე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეთნონიმი „დარგო“ თავის თავში მო-

¹ Магомедов Р.М. Даргинцы в дагестанском историческом процессе. Махачкала: Дагестанское книжное издательство, 1999. С. 13, 14.

² Магомедов Р.М. Даргинцы в дагестанском историческом процессе. Махачкала: Дагестанское книжное издательство, 1999. С. 14.

³ Магомедов Р.М. Даргинцы в дагестанском историческом процессе. Махачкала: Дагестанское книжное издательство, 1999. С. 15.

⁴ Услар П. Хюркилинский язык. Тифлис, 1892. С. 103; Загурский Л. Этнологическая классификация кавказских народов // Кавказский календарь на 1888 г. Тифлис, 1887. С. 8; Дирр А. Современные названия кавказских племен // СМОМПК. Тифлис, 1909. Вып. 40. С. 15; Козубский Е.И. Дагестанский сборник. I. С. 43.

⁵ Услар П. Хюркилинский язык. Тифлис, 1892. С. 103.

იცავს „შიდა“ ოლქის ცნებას „გარესთან“ მიმართებით. შემდგომ მ.-ზ. ოსმანოვი წერს: „იმისთვის, რომ გარკვეული საზოგადოებრივი ან ეთნიკური ჯგუფის მიმართ ჩამოყალიბდეს ტერმინი „შიდა“, „მთიელი“, „მიუდგომელ ადგილებში მცხოვრები“ მკვიდრი, როგორც ჩანს, საჭიროა, რომ თავდაპირველად როგორც დაბლობი, ისე შიდა მთიანი ნაწილი საერთო ენის მექონე ეთნიკური ერთობით იყოს დაკავებული“. მ.-ზ. ოსმანოვი ავითარებს ამ აზრს და მიიჩნევს, რომ „გარე“ დარგულები სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ყუმუხების წინაპრები¹. გ. ს. ფედოროვი წერს, რომ ამ აზრის განვითარებით შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ „გარე“ დარგულები თანამედროვე ყუმუხების წინაპრები არიან, თუმცა თავად იგი ამ მოსაზრებას სრულად არ იზიარებს².

როგორც გ. ს. ფედოროვი აღნიშნავს, ჩრდილო-აღმოსავლეთ დაღესტნის მთისწინეთში (კარაბუდახკენტის და ნაწილობრივ ბუინაკსკის რაიონებში), ისევე როგორც სამხრეთ ყუმუხების გარემოში, შემორჩენილია მრავალი ჰიდრონიმი, ტოპონიმი და სხვადასხვა ტერმინი, რომლებიც უდავოდ მიეკუთვნება ე. წ. ფუძეენას, რომელზეც ოდესღაც მეტყველებდა ყველა დაღესტნელი, მათ შორის ყუმუხთა წინაპრებიც. აი ზოგიერთი მათგანი: къакъа, хола, гьалгъа, къанда, гъе, гожа, къаза, къапа, чухтү, сюнкү, дам, тал, гебен, анакъ, шинта, чаплек, пурх, гъаси, үцикар, сага, гьурцес, ламкъа, шилакъай, бекенез და სხვ. თარგმანში ეს სახელწოდებები ნიშნავს: ხეობა, დიდი გუნდა, ხვლიკი, მოკლე (წვრილი, კუნა), კაკაბი, ჩრჩილი, მღედრი, თოხი, არახჩინი, თავსაბურავი, ცომის დასამზადებელი დაფა, დოლი, ტირიფი, ზვინი, გამოქვაბული-მრწყავი (არაღრმა), კვერი, ჭვარტლი, სწორი მოედანი (სკამი), ბიძაშვილი (მამიდაშვილი, დეიდაშვილი), ყამირი მიწა, კვირტები, ტალახი, წყლისა და თიხის ნარევი, სათავო წყარო. შესაძლებელი იქნებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სიტყვების მოყვანა, რომლებიც გვხვდება ყუმუხურ ენაში, მაგრამ დარგულ დიალექტს ეკუთვნის. ამ ეტაპზე ამ ჩამონათვალით შემოვიფარგლოთ. ტოპო-

¹ Османов М.-З. Расселение и численность даргинцев в XVIII-XIX вв. // Дагестанский этнографический сборник. Махачкала, 1974. Вып. I. С. 153.

² Федоров Г.С. Этнические процессы в северо-восточном Дагестане в V-XIII вв. // Развитие феодальных отношений у народов Северного Кавказа. Махачкала, 1988. С. 246-247.

